ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

!! 2 !@ bfydfhb7 @)!$

18 (6319)

afcb5 #) stshb

9 იანვრიდან!
ვფ[ფკბ სფჯ,ფ4 +
ეს სამყაროა
კოსმოსი
!) კფჰბ






# ვინ აშვილებს სუროგაციის გზით დაბადებულ ბავშვებს უცხოეთში

გვ.2

დროა უკვე, შეირჩეს ვიღაც გენერალურ პროკურორად, დაინიშნოს და დაიწყოს პროკურატურამ მუშაობა ყველა ამ საკითხთან დაკავშირებით. დროულად იქნას გამოძიებული ეს საქმეები.

## ირაკლი ღარიბაშვილი: ქურდულ სამყაროსთან მიდგომა არ გადაიხედება“



გვ.4

## ვახტანგ ხმალაძე ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ

გვ.5

„კანონპროექტის წარსადგენად არავის ნებართვა არ მჭირდება“



## რა უხარია ნოდარ ხადურს

გვ.2





## სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები შევა

გვ.4

## სომხეთი და რუსეთი საქართველოს“ გაყოფას გეგმავენ



გვ.5



## მე-20 საუკუნის დასაწყისში ცხინვალში სულ ორი ოსური ოჯახი ცხოვრობდა“

გვ.6

ISSN 1987-9385

## პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი კანონიერ ქურდობასთან“ დაკავშირებული მუხლის გამკაცრების მომხრეა

კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსი ირაკლი ქადაგიძე მიიჩნევს, რომ „ქურდული სამყაროს“ წევრობასთან და „კანონიერ ქურდობასთან“ დაკავშირებული სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის გადახედვა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება დადებითი, თუ ის გამკაცრდება. როგორც მან გუშინ „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, აღნიშნული მუხლი ან არ უნდა გადაიხედოს, ან არ უნდა შემსუბუქდეს. მისივე თქმით, არაერთი პოლიციელია გარდაცვლილი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სწორედ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში, მაგრამ ისინი არავის ახსოვს.

„ეს არის ნარკობიზნესი, იარაღით უკანონო ვაჭრობა და ის ე.წ. ქურდული გარჩევები, რასაც ჩვენი თაობა შეეწირა. დღეს საქართველოში ისმის კითხვა, ვის სჭირდება ამ მუხლის გაუქმება ან გადახედვა?! ისევ და ისევ იმ ორგანიზებული დანაშაულის ლიდერებს სჭირდებათ ეს. დღესდღეობით დსთ-ს წევრ ქვეყნებში რეგისტრირებულია დაახლოებით 1000 კანონიერი ქურდი, საიდანაც 500 კანონიერი ქურდი არის საქართველოს მოქალაქე“, — განაცხადა ირაკლი ქადაგიძემ.

მისივე განმარტებით ესენი არიან ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები და ბერძნები, რომელბიც დაიბადნენ და გაიზარდნენ საქართველოში. „საფრთხე ჩანს იმ კუთხით, რომ სასჯელაღსრულებიი დაწესებულებებში გაჩნდნენ ისევ მაყურებლები, რომელბიც ითხოვენ „ობშიაკში“ პატიმრებისგან თანხის შეტანას. თუ მთავრობას აქვს პოზიცია, რომ ეს კანონი ან არ გადაიხედება ან არ შემსუბუქდება, ჩვენ ამას მხარს დავუჭერთ“, — აღნიშნა მან. შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის და პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ვახტაგ ხმალაძის განცხადებით, „ქურდული სამყაროს“ წევრობასთან და „კანონიერ ქურდობასთან“ დაკავშირებული სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი გადასახედია.

მედიანიუსი

## ლაშა ჩხარტიშვილი ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს



არასამთავრობო ორგანიზაცია „გრინფისის მხარდამჭერთა ჯგუფის“ წევრი ლაშა ჩხარტიშვილი ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს.

ჩხარტიშვილი მერიასთან მიმდინარე აქციაზე რამდენიმე გუშინ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 166-ე და 173-ე მუხლით დააკავეს, რაც წვრილმან ხულიგნობასა და სამართალდამცავისთვის წინააღმდეგობის გაწევას გულისხმობს. ჩხარტიშვილი სწორედ მაშინ დააკავეს, როდესაც აქციის მონაწილეებმა მერიის შენობას სიმბოლურად ცოცხალი ჯაჭვი შემოავლეს.

სასამართლო კი მისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებაზე ხვალ იმსჯელებს.

აქცია მერიასთან ვაკის პარკის ტერიტორიაზე სასტუმროს მშენებლობის აკრძალვის მოთხოვნით მიმდინარეობდა. ამ დროისთვის აქცია მერიასთან დასრულებულია.

მედიანიუსი

# რა უხარია ნოდარ ხადურს

შორენა გონგლაძე

**მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ხელისუფლება აქტიურად მუშაობს ეკონომიკის განვითარებასა და სხვადასხვა წარმოების გახსნაზე (რაზეც დღეს ქვეყნის პრემიერმა ისაუბრა), ფაქტია, რომ ქვეყანაში ეკონომიკური კუთხით სიტუაცია დღითიდღე მძიმდება. ხელისუფლება შექმნილ ვითარებას ან რეალურად ვერ აფასებს, ანდა სირაქლემის პოზაში ყოფნას ოპტიმალურ გამოსავლად მიიჩნევს. ამის თვალსაჩინო მაგალითია დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძის განცხადება, რომელიც ბიზნესასოციაციის წევრებთან შეხვედრაზე გააკეთა.**

— თუ დავინახავთ, რომ ლარის კურსის მერყეობა ინფლაციურ პროცესებში გადაიზრდება, პოლიტიკის გამკაცრებას დავიწყებთ, — განაცხადა გიორგი ქადაგიძემ. მისი თქმით, ბოლო ორი წლის განმავლობაში დეფლაციური ფონის გამო მონეტარული პოლიტიკა შერბილებული იყო.

— ჩვენ გვაქვს მცურავი გაცვლითი კურსი, რაც ნიშნავს, რომ კურსი არის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების ე.წ. ავტომატური სტაბილიზატორი. ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენ გვქონდა დეფლაციური ფონი, ამიტომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში გვქონდა შერბილებული მონეტარული პოლიტიკა. ამას დაემატა მეოთხე კვარტალში ბიუჯეტის დეფიციტის ათვისება. ამ ყველაფერმა კი, სხვა ფაქტორებთან ერთად, გაცვლით კურსზე ზეწოლა წარმოქმნა. თუ ჩვენ დავინახავთ, რომ ეს ინფლაციურ პროცესებში გადაიზრდება, პოლიტიკის გამკაცრებას დავიწყებთ, რათა ინფლაცია იყოს სამიზნე ნიშნულის მახლობლად, — განაცხადა ქადაგიძემ.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის შეფასებით, განსაკუთრებით სენსიტიურია მოსახლეობის ის ნაწილი, ვისაც სესხი დოლარში აქვს აღებული და შემოსავალი აქვს ლარში.

— სწორედ ამიტომ ჩვენი პოლიტიკა მთელი ამ წლების განმავლობაში არის ლარში სესხზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაც უკვე სახეზეა — ფიზიკური პირების სესხების ნახევარზე მეტი ლარში არის გაცემული და ეს გაგრძელდება, — განაცხადა ქადაგიძემ.

რაც შეეხება შეხვედრის თემას, როგორც ქადაგიძემ განაცხადა, ძირითადი თემა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება, საგადამხდელო ბალანსი და მონეტარული პოლიტიკა იქნება.

— შეხვედრის მთავარი მიზანია, ბიზნესსექტორს ჰქონდეს სწორი მოლოდინები და ადეკვატური ინფორმაცია მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, ვინაიდან მოლოდინი დიდ გავლენას ახდენს მათ გადაწყვეტილებებზე, — განაცხადა გიორგი ქადაგიძემ.



ცოტა ხნის წინ ქადაგიძემ განაცხადა, რომ გასულ წელს ლარი აშშ დოლართან მიმართებით 4,5 პროცენტით გაუფასურდა, თუმცა ეკონომიკურ და ფინანსურ სტაბილურობას საფრთხე არ ემუქრება. მისი თქმით, ლარის კურსის მართვა ხელოვნურად არ ხდება და ეროვნული ვალუტა საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს ასახავს:

— წლის პირველ ნახევარში განხორციელდა ზეწოლა ლარის კურსის გამყარებაზე, კერძოდ, ეროვნულმა ბანკმა შეიძინა 550 მილიონი დოლარი, ხოლო წლის მეორე ნახევარში წნეხი იყო გაუფასურებაზე, რა დროსაც ეროვნულმა ბანკმა გაყიდა 220 მილიონი დოლარი. საბოლოო ჯამში, ჩვენ შევინარჩუნეთ სავალუტო რეზერვების ადეკვატური დონე, რაც არის სამი მილიარდი. ეს ხდება იმ პირობებში, როდესაც 2013 წელს ჩვენ გადავიხადეთ სავალუტო ფონდის სესხი 240 მილიონი დოლარის ოდენობით. მომავალი წლის მესამე კვარტალში დავასრულებთ სავალუტო ფონდის სესხის გადახდას და 1994 წლიდან პირველად ეროვნულ ბანკს არ ექნება საგარეო ვალი.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განცხადებით, ბანკის მთავარი ამოცანაა, არ დაუშვას ფასების ზრდა:

— ჩვენი მთავარი ამოცანაა, არ დავუშვათ ინფლაციური წნეხის ასახვა ეკონომიკის ზრდასა და ფასების სტაბილურობაზე. თუ ეს ასე მოხდა, ჩვენ შევწყვეტთ შერბილებულ მონეტარულ პოლიტიკას და გავამკაცრებთ. საქართველო მომავალშიც შეინარჩუნებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმს, რაც გულისხმობს იმას, რომ ლარი ხან გამყარდება, ხან გაუფასურდება, თუმცა მოძრაობის ამპლიტუდა არ იქნება ისეთი, რომ ქვეყნის ეკონომიკა დააზიანოს. კურსის ფორმირებაში ბევრი ფაქტორი მონაწილეობს, რომელთაგან ძირითადია შერბილებული მონეტარული პოლიტიკა, საბიუჯეტო ხარჯების გააქტიურება და იმპორტის ზრდა.

ქადაგიძის თქმით, კურსის მერყეობა საფრთხის შემცველი არ არის: კლასიკური ეკონომიკური თეორიის მიხედვით, ლარის კურსის გამყარების ტენდენცია საშუალო და გრძელვადიან პერიოდში იქნება მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს ეკონომიკა გაიზრდება უფრო მაღალი ტემპით, ვიდრე მისი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკა. ჩვენი ამოცანა არ არის კურსის კონტროლი. ჩვენი ამოცანაა ფასების კონტროლი და ინფლაციის შენარჩუნება. კურსის მერყეობა ჩვეულებრივი მოვლენაა და საკმარისი რეზერვების გათვალისწინებით, საქართველოს ეკონომიკასა და ეროვნულ ვალუტას საფრთხე არ ემუქრება, — განაცხადა ქადაგიძემ, მისი თქმით, 2014 წლის ბიუჯეტში დაგეგმილი მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებელი 5%-ია. 2013 წლის 11 თვის მონაცემებით, ინფლაცია 0,6 პროცენტია.

მართალია, ქადაგიძე ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევს, რომ არ დაუშვან ქვეყანაში ფასების ზრდა, არა მგონია, ამ ყველაფრის დანახვას დიდი ექსპერტობა სჭირდებოდეს. ფასების ზრდა სახეზეა, სახეზეა ლარის კურსის მნიშვნელოვანი ვარდნა და კიდევ სხვა ეკონომიკური პრობლემები, რასაც შელამაზებული განცხადებების კეთება კი არა, რეალური მოქმედება სჭირდება.

თუმცა, მანამ გიორგი ქადაგიძე და მასთან ერთად ქვეყნის ხელისუფალნი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე ზრუნავენ, ფაქტია, რომ, ლარის კურსის ვარდნასთან ერთად, სახეზეა ეკონომიკური სტაგნაცია. არანაკლებ რეალობასაა მოწყვეტილი ეკონომიკის თუ ფინანსთა მინისტრების ოპტიმისტური განცხადებები, ქვეყნის ეკონომიკის ყვავილობასთან დაკავშირებით. მსგავსი რამ ორი რამით შეიძლება იყოს მხოლოდ გამოწვეული ან სრული უმეცრებითა და არაკომპეტენტურობით, ანდა მიზანმიმართული ქმედებით, რომელსაც ქვეყანა დაღუპვისკენ მიჰყავს. იმედია, ხელისუფლების საახალწლო სიზმრები მალე დამთავრდება და რეალურად შეუდგება პრობლემებზე მუშაობას.

## დემოკრატიული მოძრაობა“ ხელისუფლებას მოუწოდებს გულდასმით მოეკიდოს იპოთეკის საკითხს

პარტია „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“ სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებს აკრიტიკებს და მას ხელისუფლების მიერ გადადგმულ კიდევ ერთი უპასუხისმგებლო ნაბიჯს უწოდებს.

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც თითქოს დაზარალებული მესაკუთრეების მდგომარეობის შემსუბუქებას ეხება, ყველაზე მარტივად რომ ვთქვათ, სხვა არაფერია თუ არა მოსახლეობისთვის თვალის ახვევა“ — ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

პარტიაში განმარტავენ, რომ იპოთეკა ზოგადად, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტი — მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, სამწუხაროდ დღევანდელი რელობიდან გამომდინარე ე.წ. კერძო მევახშეების შემოსავლის წყაროდ იქცა. დაზარალებული მესაკუთრეები, რომლებიც უკიდურესი აუცილებლობიდან გამოდინარე ხშირად არც კი ფიქრობდნენ იმ სავალალო შედეგებზე, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებას, მახინჯი კანონმდებლობის მსხვერპლნი არიან.

პარტიაში მიიჩნევენ, რომ მცდელობა გამოსწორდეს არსებული სავალალო ვითარება საკანონმდებლო დონეზე მაინც, შორსაა სალი აზრისგან.

„დემოკრატიული მოძრაობა“ განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ქვაკუთხედი კერძო ავტონომიურობისა და მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპზე დგას. დაუშვებელია სახელმწიფოს მხრიდან ერთი მხარის უფლებების დასაცავად მეორეს ინტერესების უხეში უგულვებელყოფა. კანონმდებელთა არგუმენტი, რომ კრედიტორის უფლება, ნებისმიერი სარგებელი მიიღოს სესხად გაცემული თანხიდან ზედმეტად ლოიალურია კრედიტორებისადმი და პირიქით, დისკრიმინაციულია მოვალის მიმართ, არ არის საკმარისი იმისათვის რომ ხელისუფლებამ თვალის ახვევის მიზნით, დააწესოს პროცენტის ზღვრული ოდენობა და ისიც მხოლოდ კერძო მევახშეთათვის და არა საბანკო და საკრედიტო დაწესებულებებისათვის. ახალი რეგულაციას კი, რომელიც ავალდებულებს ნოტარიუსს განუმარტოს მხარეებს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისას სამართლებრივი შედეგები, პარტია მიესალმება, თუმცა აცხადებს, რომ ეს საკმარისი არ არის, რადგან ხშირად გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი თანხმდება არათანაბარ პირობებს, გარკვეული თანხის მიღების მიზნით.

„იქმნება შთაბეჭდილება, რომ დღევანდელი ხელისუფლება, თავს არიდებს რელურად გადაჭრას ათასობით მოქალაქის პრობლემა და ერთხელ და სამუდამოდ დააფიქსიროს საკუთარი მკაფიო პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით“ — ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

„დემოკრატიული მოძრაობა“ მოუწოდებს ხელისუფლებას გულდასმით მოეკიდოს ზემოთ ხსენებულ საკითხს და გადადგას ქმედითი ნაბიჯები. მათი თქმით, საკანონმდებლო დონეზე პრობლემის მოგვარების მცდელობა მისასალმებელია, თუმცა ცვლილებების განხორციელება უნდა მოხდეს გონივრულად, ღრმა ანალიზისა და ყველა ასპექტის გათვალისწინებით, რომ არ მოხდეს საზოგადოების ერთი ჯგუფის უფლებათა მოჩვენებითი დაცვის ხარჯზე, მეორე მხარის ინტერესების ცალსახა უგულვებელყოფა.

ნიუსპრესი

## ირაკლი ალასანიამ თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წარმომადგენლები მიიღო

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წარმომადგენლები იმყოფებიან. გუშინ, 22 თურქი სამხედრო მაღალჩინოსანი, გენერალლეიტენანტ ათილა გიულანის ხელმძღვანელობით, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ მიიღო. ოფიციალური ინფორმაციით, თავდაცვის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე ირაკლი ალასანიამ სტუმრებს საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარებაში შეტანილი წვლილისა და ჰუმანიტარული მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. მხარეები ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებსა და სამომავლო გეგმებს შეეხნენ. საუბრის ერთ-ერთი თემა სამხედრო მრეწველობის სფეროში თანამშრომლობაც იყო. თავდაცვის მინისტრმა თურქეთის გენერალური შტაბის წარმომადგენლებთან საქართველოს ნატოში ინტეგრაციის საკითხებზე, ISAF-ის მისიასა და მის შემდგომ პერიოდზე, ასევე რეგიონში არსებულ უსაფრთხოების გარემოზე გაამახვილა ყურადღება.

„თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალიტეტთან ტრადიციული შეხვედრა გაიმართა, რომელიც წელიწადში ერთხელ ეწყობა. ვისაუბრეთ საქართველო-თურქეთის სამხედრო თანამშრომლობის ასპექტებზე. ჩვენ ძალიან კმაყოფილი ვართ იმ დინამიკით, რომელიც თურქეთთან სამხედრო ურთიერთობებში გვაქვს. ვგეგმავთ მომავალში უფრო გავზარდოთ ჩვენი ურთიერთობები სამხედრო ინდუსტრიის კუთხითაც. დღეს კიდევ ერთი ნიშანდობლივი შეხვედრა გაიმართა ორმხრივ ურთიერთობებში, რომელიც მუდმივად გაგრძელდება და მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება“ — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.



მედიანიუსი

ახალი თაობა

ლფვაეყტ,კტ,ბ5 ყბყჯ ,ფრეჰფტ7 პეჰფ, ,ტჰბტ7 ცჯცჯ უჯუბყფიდბკბ
ვსფდფჰბ ჰტლფმნჯჰბ 2 ცჯცჯ უჯუბყფიდბკბ
ჰტლფმნჯჰბ 2 კფკბ ფცკფყბიდბკბ
ჰტლფმნჯჰბც ვჯფლუბკტ 2 იჯჰტყფ ვფჰცფუბიდბკბ

რჯყცეკნფყტ,ბ
ჯსფჰ ყბყბფიდბკბ7 ლფდბს .ბაბფყბ
ცფაბყფყცჯ ცფვცფეჰბ 2 რკფჰფ ,ფკფდფტ

ცფჰტრკფვჯ ცფვცფეჰბ 2 -(-)-
უფდჰწტკტ,ბც ცფვცფეჰბ 2 ვტჰფ, კტდტჰფიდბკბ
ლბჰტმნჯჰბ 2 პეჰფ, ,ტჰბტ

ლფრფ,ფლჯყტ,ფ 2 ბყუფ ლდფკბიდბკბ7 ყჯყფ რფყლტკფრბ7 ვპბფ მჯმფიდბკბ

ვბცფვფჰსბ5 მ8 ს,ბკბცბ7 X□,□□□I□□□ჩ □8 1)7 ვტ-№ ცფჰსეკბ8
ნტკტაჯყბ□აფმცბ 2(-)-(!
დტ,-უდტჰლბ www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

უფპტსბ უფვჯლფც !((№ ოკბც № ბდკბცბლფყ

## სოჭის ოლიმპიადამდე რუსულ მხარესთან საგანგებო შეხვედა არ შედგება“

სოჭის ოლიმპიადის წინ საქართველოსა და რუსეთს შორის მაღალი დონის საგანგებო შეხვედრა არ გაიმართება. — ამის შესახებ რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ ჟურნალისტებს გუშინ მთავრობის სხდომის დაწყებამდე განუცხადა. მისი თქმით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინს კი იგი სავარაუდოდ, თებერვლის ბოლოსთვის შეხვდება. როგორც აბაშიძე განმარტავს, მხარეები სავაჭრო-ეკონომიკურ ,ჰუმანიტარულ-კულტურულ ურთიერთობებსა და სატრანსპორტო კომუნიკაციებზე მსჯელობას გააგრძელებენ.

,,ბოლო ხანს, მას შემდეგ, რაც რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა შესაბამისი განცხადება გააკეთა, სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე ვსაუბრობდით. ამ შეხვედრაზე რუსული მხარისაგან მოვისმენთ, თუ რას გულისხმობს ეს განცხადება. თუკი რუსეთი ასეთ ნაბიჯს გადადგამს და საქართველოსთან სავაჭრო რეჟიმს გააუქმებს ან მნიშვნელოვნად გაამარტივებს, ამას მივესალმებით. ეს მათი გადასაწყვეტია“, — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ

**მედიანიუსი**

## ბუნებრივი აირით მოწამვლის შედეგად მამაკაცი გარდაიცვალა

ბუნებრივი აირით ისანში შუა ხნის მამაკაცი გარდაიაცვალა. მამაკაცი სახლში მარტო იმყოფებოდა. შემთხვევა კი სავარაუდოდ გვიან ღამით მოხდა. 3 დღის ძებნის შემდეგ ადგილზე ოპერატიული დახმარების სამსახური ჩაერთო. მომხდარის ზუსტი მიზეზის დასადგენად გარდაცვლილს ექსპერტიზა უტარდება.

**მედიანიუსი**

## ვინ რა აჩუქა სამინისტროებს

არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი, კანონი, თავისუფლება“ სამინისტროებისათვის ნაჩუქარი უძრავმოძრავი ქონების შესახებ ახალ ინფორმაციას აქვეყნებს. კვლევის ფარგლებში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხრიდან მოწოდებული იქნა ყველა იმ ხელშეკრულებების ასლები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს სხვადასხვა კომპანიების მხრიდან სამინისტროსთვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემას.

1700 ფურცელზე არსებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ 2008 წლის იანვრიდან 2012 წლის ივლისის ჩათვლით (მას შემდეგ საჩუქრად ქონების გადაცემა არ ფიქსირდება) ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 322 820 983,62 ლარის და 3 097 231,00 აშშ დოლარის უძრავ-მოძრავი ქონება მიიღო საჩუქრად. აქედან 9 249 034,79 ლარის და 2 736 331 აშშ დოლარის ღირებულების ავტომანქანა გადაეცა. მჩუქებელ კომპანიებში გვხვდება ცნობილი ბრენდები. კერძოდ, „ტოიოტა ცენტრი თბილისი“, „მათე მოტორსი“, „გუდვილი“, „ირაო“, „იბერია ავტო“ და მრავალი სხვა. მათ მიერ ნაჩუქარი ავტომანქანების ღირებულება შეადგენს 3 585 558 ლარს და 2 615 831 აშშ. დოლარს.

მოწოდებული მასალებიდან ასევე ირკვევა რომ სამინისტროს, ნაციონალური მოძრაობის მართველობის პერიოდში გადაეცემოდა მილიონობით ლარის ღირებულების წილები სხვადასხვა კომპანიებში, რომელიც რატომღას თარიღების მიხედვითაც კი ემთხვევა ერთმანეთს. არსამთავრობო ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ 2008 წლის აგვისტოშიც, სექტემბერშიც, ნოემბერშიც და დეკემბერშიც, მაშინ როდესაც ქვეყანაში უმძიმესი მდგომარეობა იყო, ქართულ ბიზნესს იმდენად ულხინდა რომ არ იშურებდა მთავრობისთვის ავტომანქანებს, წილებს, ცეცხლსასროლ იარაღს და სხვა ქონებას. არასამთავრობო ორგანიზაციისათვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, არსებობს ნაჩუქარი ქონება, რომლის ღირებულება ხელშეკრულებაში მითითებული არაა და ამ ეტაპზე მიმდინარეობს ამ მონაცემების დაზუსტება.

„ადამიანი, კანონი, თავისუფლება“ უახლოეს მომავალში წარმოადგენს კვლევას, სადაც დეტალურად იქნება მოცემული ყველა უწყებისთვის გადაცემული ქონებების შესახებ ინფრომაცია, მათი ღირებულება და ის კომპანიები, რომლებიც ფიქსირდებიან მჩუქებლებად.

**მედიანიუსი**

# ვინ აშვილებს სუროგაციის გზით დაბადებულ ბავშვებს უცხოეთში

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძესთან

***— ბატონო შალვა, ვიდრე პოლიტიკურ საკითხებს მიმოვიხილავთ, მართლმადიდებლური საკითხებიც პრობლემატური გახდა ჩვენს ქვეყანაში. თქვენთვისაც ცნობილია, რომ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია პატრიარქის საშობაო ეპისტოლემ. თქვენ რა დამოკიდებულება გაქვთ ამ თემის მიმართ?***

— ზოგადად ერთ რამეს ვიტყვი და ეს საკმაოდ ცნობილი ფაქტია, როდესაც ადამიანები ტირანიიდან დემოკრატიაში გადადიან, მერე ისეთნაირად იქცევიან, იმდენად უცნაურ ქცევებს ავლენენ ადამიანები, რომ ფსიქოლოგებს კომენტარის გაკეთებაც კი უჭირთ. საკმაოდ არაადეკვატურს. ფსიქოლოგებს შესწავლილი აქვთ ეს საკითხი და უმეტეს შემთხვევებში ასეა.

***— ანუ არაადეკვატურად ვიქცევით?***

— თუ დავაკვირდებით, ყველა სფეროში ამდაგვარ სიტუაციაშია მთელი ერი. რაღაცა საკითხისადმი არანორმალურად გავგიჟდებით, ან პირიქით, საერთოდ ყურადღებას არ ვაქცევთ. არაადეკვატურად ვიქცევით. ალბათ ფსიქოლოგების შეფასებები მცდარი არ იყო და შორს არ არის იმ შეფასებიდან, რა მდგომარეობაშიც დღეს ჩვენ ვიმყოფებით. რელიგიურ თემას რაც შეეხება, ეს თემა ჩემთვის საკმაოდ ცნობილია — სუროგაციის თემა. ის ქალბატონი ხაჭაპურიძე, რომელიც გამოვიდა საპატრიარქოსთან გამართულ აქციაზე, რომელმაც პირველად გააპროტესტა ეს საკითხი, მე კარგად ვიცნობ ამ ადამიანს. თავიდან ორმა ქალბატონმა გააჟღერა ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი პოზიცია, ერთი არის ეს ხაჭაპურიძე და მეორე კუკუნაშვილი. ეს ის კუკუნაშვილია, თვეში ერთხელ რომ ქორწილი აქვს და მილიონერი ვარო იძახის. მე საზოგადოებას და საპატრიარქოსაც მინდა შევახსენო, რომ კუკუნაშვილის წინააღმდეგ პროკურატურაში საჩივარი შეიტანა სწორედ ხაჭაპურიძემ. საკმაოდ სერიოზულ სკანდალთან გვაქვს საქმე, ახლა ისეთ რაღაცას გეტყვით მე. ხაჭაპურიძე ბრალს სდებს კუკუნაშვილს, რომ ის სუროგაციის წესით საქართველოში ჩასახულ ბავშვებს უცხოეთში ჰომოსექსუალურ წყვილებზე ყიდის. როდესაც ამაში კუკუნაშვილს ბრალი დასდო ხაჭაპურიძემ, გამოძიება დაინტერესდა ამ თემით და როგორც ჩემთვის არის ცნობილი, ახლაც უნდა მიმდინარეობდეს გამოძიება. კიდევ ბევრი რამე ვიცი, მაგრამ ამ ეტაპზე მეტს აღარ ვიტყვი.

***— მაინც რა არის თქვენთვის ცნობილი?***

— მე არა მაქვს მეტის თქმის უფლება, მაგრამ ერთს ვიტყვი, როგორც ვიცი, უნდა მიმდინარეობდეს გამოძიება იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ორგანიზაციის უკან, რომელსაც კუკუნაშვილი ხელმძღვანელობდა და რომელიც უცებ გახდა ფინანსურად ძლიერი ორგანიზაცია, რომელიც საქართველოში სუროგაციის გზით დაბადებულ ბავშვებს უცხოეთში გეი წყვილებზე ყიდის, ამის უკან იდგა სანდრა რულოვსი. როგორც ჩანს, გამოძიებას აქვს მასალები ამ ყველაფერთან დაკავშირებით, რომ სანდრა რულოვსი იდგა ამ ყველაფრის უკან. მე ამ კუთხით საკმაოდ ბევრ საკითხში ვარ ჩახედული, თუმცა არ მინდა მოვლენებს წინ გავასწრო.

***— იმის თქმა გინდათ, რომ ამ ფირმის ფასადური სახეა კუკუნაშვილი და ამ ყველაფრის უკან ყოფილი პირველი ლედი სანდრა რულოვსი დგას?***

— დიახ, ამ ინფორმაციამ გაიჟღერა და მე, როგორც ვიცი, გამოძიება ამ საკითხით დაინტერესებულია. მე შემხვდნენ კიდევაც საკმაოდ მაღალი რანგის ჩინოსნები, გამომძიებლები და ჩვენ შორის გაიმართა ამ თემასთან დაკავშირებით საუბარი, რომ ნაციონალურ მოძრაობაში ამ ორგანიზაციის მეშვეობით შემოედინებოდა ფული. გარდა ამისა, გამოძიებას ინფორმაციები ამ ქალბატონი ხაჭაპურიძისგანაც გააჩნდა, რომ საქართველოდან უცხოელ გეი წყვილებზე იყიდებოდა ბავშვები. საერთოდ საქართველოში კანონი ამას კრძალავს, ჰომოსექსუალურ წყვილებზე ბავშვების გაყიდვას, მაგრამ არ იკრძალება ეს სხვა სახელმწიფოებში, შესაძლებელია, რომ აქ ჩასახული ბავშვი უცხოეთში გაიყიდოს. მე ამ შემთხვევაში ვსაუბრობ იმაზე თუ რა და როგორ შეიძლება საკანონმდებლო დონეზე.



როგორც ჩანს, საპატრიარქოს ამდაგვარი თემის წამოჭრა უნდოდა, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ის რაც მიწოდებული იქნა საპატრიარქოსთვის ექსპერტების, ან არ ვიცი ვისი მხრიდან, არ იყო მთლად შესწავლილი და კარგად გაანალიზებული. ელემენტარულად რომ დაინტერესებულიყვნენ და კარგად მოეძიებინა საპატრიარქოს ამ თემასთან დაკავშირებით ინფორმაცია, გაცილებით მეტს გაიგებდა და კუკუნაშვილს არ ექნებოდა იმის თქმის საშუალება, რაც თქვა და ეკლესიის წინააღმდეგ რომ გაილაშქრა. ამის თქმის მორალური საფუძველი არ ექნებოდა. ახლა ადგეს და ამ ჩემი ინტერვიუს მერე გააკეთოს ეს განცხადება. მე მტკიცებით არაფერს არ ვამტკიცებ, ქალბატონი ხაჭაპურიძე ედავება მას ამ საკითხებში. ამაზე გამოძიებაც მიმდინარეობს და სად მიმდინარეობს და როგორ, წავიდეს კუკუნაშვილმა და არკვიოს. საპატრიარქოში არის სპეციალური სამსახური, დასხდნენ და ამოსწიონ კუკუნაშვილთან დაკავშირებული საკითხები, მისი ფეისბუქის გვერდიდანაც ბევრ რამეს შეიტყობენ. მე მასთან დაკავშირებულ მასალებს გავეცანი 7-8 თვის წინ.

***— იმის თქმა გინდათ, რომ თუ სერიოზულად მიყვებიან, შესაძლოა, სერიოზული და სკანდალური ფაქტები გახდეს ცნობილი?***

— რასაკვირველია. ზოგადად გამოძიებას ვთხოვ, დადგა უკვე, ხალხო, საქმის კეთების დრო. ხომ ხედავთ, თავისით ტივტივდება საკმაოდ ბევრი თემა. რა გამოძიება და სამართლიანობის აღდგენა, ეს თემები თავისით ამოდის, აღარ ეტევა ტყავში. რაც არ უნდა მალო, შუბი ხალთაში უკვე აღარ იმალება. ბევრი თემა ცხოვრებას თავისით ამოაქვს წინა პლანზე. დროა უკვე, შეირჩეს ვიღაც გენერალურ პროკურორად, დაინიშნოს და დაიწყოს პროკურატურამ მუშაობა ყველა ამ საკითხთან დაკავშირებით. დროულად იქნას გამოძიებული ეს საქმეები. დღეს მოვისმინე, რომ თურმე კეზერაშვილს უნდა მოეხსნას ბრალი ტელეკომპანია „იმედთან“ დაკავშირებით. რამენაირად კეზერაშვილიც გაამართლოს ამ სასამართლომ. კეზერაშვილმა რომ ნიჟარაძეს მთელი ქონება წაართვა და კაცი ქუჩაში დატოვა, დღემდე გამოძიებული არ არის პროკურატურის მიერ.

***— თავადვე გადახვედით პროკურორის თემაზე, საერთოდ რატომ დაინიშნა ფარცხალაძე და ვინ იყო მისი ლობისტი?***

— რატომ დაინიშნა არ ვიცი, კულუარებში რა ხდებოდა, ჩემთვის არ არის ცნობილი და პირდაპირ გეტყვით, არც მაინტერესებს. მას შემდეგ, როცა ჩემი საკითხი დააყენა ბიძინა ივანიშვილმა, მთავარი პროკურორის პირველ მოადგილედ უნდა დავნიშნულიყავი და მერე ჩემს სკამზე ლაშა ნაცვლიშვილი ჩაეკვეხა, ამის შემდეგ საერთოდ პროკურატურაში მიმდინარე მოვლენები ნაკლებად მაღელვებს. აღარ მაინტერესებს. კადრები ბევრი ჰყავთ და ვინც გაეხარდებათ, ის დანიშნონ, მე წარმატებას ვუსურვებ. ფაქტი ერთია, როცა მთავარ პროკურორად ინიშნება მსგავსი წარსულის მქონე პირი, სპეცსამსახურებს უნდა გააჩნდეთ ამის შესახებ რაღაც ინფორმაცია.

***— ხომ არ გამოდის, რომ ფარცხალაძე ისევ ნაციონალების ინტერესებს ემსახურებოდა და ხელისუფლებას იმიჯს უფუჭებდა?***

— რა ნაციონალები, რის ნაციონალები. მე არ გამიგონია აქ შევარდნაძისტი, მიშისტი, მე ვიცოდი მარტო ზვიადისტები. მიშისტი შეიძლება კიდევ ორი-სამი გამოშტერებული ქალი იყოს. ესენი არიან სკამისტები, ფულის ხალხი, რომლის გამოც სამშობლოსაც გაყიდიან! ახლა, პატრიოტი თუ ხარ შენი ქვეყნის, სად მიდიხარ, შე კაი დედმამიშვილო?! „ქართული ოცნების“ ყველა წევრს ფარცხალაძემ ჩაგვაფურთხა სულში და ნამუსში. რა ნამუსით უნდა შეხედოს მაგან ღარიბაშვილს?! ვიღაცა ხარ, შენ ხომ იცი შენი ბიოგრაფია?! სად მიდიხარ, რომ მიდიხარ?! შენ ხომ იცი, ნომერ პირველი ფიგურა რომ გახდები, იქ ამოგიღებენ ყველა დეტალს, სად დედის ძუძუ გიწოვია და სად ჯვარი დაგიწერია, ყველაფერს დაგიდებენ წინ! სად მიდიხარ, რომ მიდიხარ?! მან ამით „ქართული ოცნება“ დააყენა დარტყმის ქვეშ! დღეს ადვოკატები მხვდებიან პროცესებზე და დამცინიან — კიდევ მეოცნებე ხარ შალვაო?! აი ამ დღეში ჩაგვაყენა ამ ვიღაცა ფარცხალაძეა თუ მარცხალაძე. წაიკითხონ კანონი, სად გაგონილა, მთავარ პროკურორად ინიშნებოდეს ნასამართლევი?! ასევე კანონში უნდა ჩაიწეროს შემდეგი მუხლი: არ შეიძლება პროკურორად დაინიშნოს კაცი, რომელსაც არა აქვს პროკურატურის ორგანოებში მუშაობის არანაკლებ ხუთი წლის გამოცდილება. პროკურატურა სულ სხვა სისტემა, სულ სხვა ორგანოა! ასევე ხუთ წელზე მეტ ხანს არ შეიძლება მთავარ პროკურორად იყოს ერთი და იგივე კაცი.

***— საკმაოდ ბევრ კანდიდატზე მიდის საუბარი, თუმცა პრემიერს ჯერ კონკრეტულად არ დაუსახელებია არავინ...***

— მთავარია, დანიშნონ ნორმალური კაცი, პროკურატურაში ნამუშევარი, ვინც იცის პროკურატურის სისტემა.

***— საუბრისას ბრძანეთ, რომ ჩემს ადგილას ლაშა ნაცვლიშვილი ჩაეკვეხაო. ვის ინტერესებში შედიოდა ეს?***

— ვერ გეტყვით. მე ვიცი, რომ ბიძინა ივანიშვილმა დამნიშნა, იქ იყო უსუფაშვილი, იქ იყო საგანელიძე, უსუფაშვილის კაბინეტში ვიყავით, სადაც მითხრა, რომ შენ დაინიშნები პროკურორის პირველ მოადგილედ და უხელმძღვანელებ გამოძიებასო. როცა ის პრემიერ-მინისტრად დანიშნეს, სწორედ იმ დღეს მოხდა. შენ სწორედ იქ მჭირდებიო. გავიდა ორი კვირა, სამი კვირა და კბილაშვილს ხომ არ დავუწყებდი ხვეწნას, შენი ჭირიმე, დამნიშნე შენ მოადგილედ-მეთქი. მოგვიანებით გავიგე, რომ დაინიშნა ნაცვლიშვილი. ვუთხარი, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ-მეთქი, რაც მოხდებოდა, კარგად ვიცოდი.

***— დღეს ძალიან ბევრ ბრალდებებს უყენებენ ნაცვლიშვილს...***

— ვერ გეტყვით, შეიძლება ზოგი მართალია, ზოგიც ტყუილი, მაგრამ ფაქტია, რომ პროკურატურამ ვერ იმუშავა. ცხადი იყო, რომ ფარცხალაძის წარსულიდან გამომდინარე მოხდებოდა ბევრი გაუგებრობა. კაცს, რომელსაც არა აქვს გავლილი პროკურატურის სკოლა, არ შეიძლება ის დაინიშნოს მთავარ პროკურორად. ასე არის მთელ მსოფლიოში.

***— რაც შეეხება ქვეყანაში მიმდინარე სხვა საკითხებს?***

— სხვა რა გითხრათ, სერიოზული საკადრო ცვლილებებია გასატარებელი. პირდაპირ გეტყვით, რამდენიმე სამინისტრო საერთოდ გასაუქმებელია, თანაც სასწრაფოდ. გასაუქმებელია სამხარეო სისტემები. ახლა მარტივ მაგალითს გეტყვით, ავიღოთ სამხარეო სამსახურები, თუნდაც ყველაზე უწყინარი სამინისტრო — სოფლის მეურნეობის სამინისტრო. სოფლის მეურნეობის სამინისტროში არსებობს, ვთქვათ, თანამდებობა მინისტრის მოადგილე, რომელიც კურირებს დასავლეთ საქართველოს, მერე იმას ჰყავს დეპარტამენტის უფროსი, იმას ჰყავს სამმართველოს უფროსი და მერე ამ სამხარეოს ჰყავს ზედამხედველები ამ რაიონზე, იმ რაიონზე და ბოლოს ყველაფერი დადის იქამდე, რომ ამდენი ჩინოვნიკი აკონტროლებს ერთ საწყალ გლეხს. განსასაზღვრია ავტომანქანებითა და თანამდებობრივი შეღავათებით სარგებლობის საკითხი. ჩადით გერმანიაში, ბრენვერის სასამართლოს თავმჯდომარე ველოსიპედით დადის. რა გახდა ეს საქართველო?! ერთი ამიხსენით, ამხელა ქვეყანას, რამხელაც საქართველოა, რაში სჭირდება ცალცალკე სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროები?! ერთად არ შეიძლება ეს ყველაფერი რომ იყოს? ან კიდევ სპორტის, კულტურისა და განათლების სამინისტრო, არ შეიძლება, ერთად რომ იყოს? ან რად გვინდა ამდენი სამხარეო სტრუქტურები? ახლა სოზარს არ ვერჩი, კარგი მინისტრია, მომწონს, მაგრამ რა საჭიროა სასჯელაღსრულების სამინისტრო, დეპარტამენტი არ იკმარებს?! ამას დეპარტამენტი ვერ გაართმევს თავს? ის, რაზეც მე ვსაუბრობ, რომ გაუქმდეს, არ იყოს ამდენი სამინისტრო, ეს ზუსტად ერთი მილიარდია, ეს დაანგარიშებული აქვთ ეკონომისტებს, ჰაერზე კი არ ვლაპარაკობ. ზუსტად ერთი მილიარდი და აშენდება ასი ქარხანა ამ ერთ მილიარდად. ვფიქრობ, ზუსტად ასე მოიქცევა პრემიერ-მინისტრი და მინისტრთა კაბინეტი.

***— ოცნების გზაც ჯერ პირად ჯიბეზე გადის? ასეა?***

— არა, ასე არ არის, ეს ნაციონალებს უნდათ ასე წარმოაჩინონ, ბევრი გაკეთდა. ციხეებში სიტუაცია გაუმჯობესდა. არც ერთი პატიმარი არ აკონტროლებ ციხეს. პატრული უფრო წესიერი და ადამიანური გახდა. კრიმინოგენური სიტუაცია არ არის გაუარესებული. შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკა სწორი არ არისო, რომ დანაშაული შემცირდაო, როგორ არ არის სწორი, სწირია. დღეს ვიყავი ციხეში, ადრე ადვოკატი რომ შევიდოდა ციხეში, ადგილი არ იყო, რიგებში ვიდექით, პატიმარი რომ გვენახა. დღეს ხუთი-ექვსი ოთახი იყო დაკავებული, დანარჩენი იყო ცარიელი. აბსოლუტური წესრიგია ციხეში.

***— რა თქმა უნდა, დადებითი მხარეებიც არის...***

— უამრავი დადებითია. რომ გაიძახიან ნაციონალები ეკონომიკა, ეკონომიკაო, თვითონ რა ეკონომიკა ჰქონდათ? მიატანინებდნენ ბიზნესმენებს მილიონებს, მერე, თუ ჭკუით არ იქნებოდა, ციხეშიც გაუშვებდნენ და ეგ იყო მაგათი ეკონომიკა. ახლა ხადურს რა ეკონომიკა უნდა აეყვავებინა ერთ წელში?! ფორსირებულ შეტევას ახორციელებენ მის წინააღმდეგ ნაციონალები, არადა, ხადური მართლაც სერიოზულად მუშაობს. ნაციონალებს დაავიწყდათ, რა ხდებოდა სააკაშვილის დროს? მთელი ბიუჯეტი მაგათ აღვირახსნილ ცხოვრებას ხმარდებოდა! ოცნებამ ბევრი კარგი რამ გააკეთა, მე რასაც ვამბობ, ეს არის ჯანსაღი კრიტიკა, მე მაქვს ამის უფლება. გული თუ შეგტკივა, უნდა უთხრა! ნაციონალებს კი კრიტიკის მორალური უფლება არა აქვთ. მართალია, გაეპარათ ფარცხალაძის ამბავი, მაგრამ ხომ მოხსნეს, რა, ახალაიასავით დატოვეს სამსახურში?! ხომ გამოასწორეს სიტუაცია. ძალიან ბევრია გასაკეთებელი, ბევრი სამუშაოა, ურთულესი სიტუაცია. კატასტროფული მემკვიდრეობა დარჩა ამ ხელისუფლებას. შემდეგი წლები უკეთესი იქნება, ახლა ეს შავბნელი სიტუაცია გასავლელი გვაქვს.

# ირაკლი ღარიბაშვილი: ქურდულ სამყაროსთან მიდგომა არ გადაიხედება“

ნათია ხურცილავა



მთავრობის სხდომა გუშინ გაიმართა. მინისტრთა კაბინეტის წევრებმა რამდენიმე საკითხი განიხილეს. თუმცა, ყველაზე აქტუალური საკითხი, რომელზეც მინისტრებმა და პრემიერმა ღარიბაშვილმა კომენტარები გააკეთეს, სისხლის სამართლის კოდექსში შესაძლო ცვლილებაა, რომელიც ქურდული სამყაროსადმი დამოკიდებულებას ეხება. თუმცა, როგორც გაირკვა, ამ მიმართულებით ცვლილებები არ იგეგმება. საზოგადოების გარკვეულ წრეებში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია გავრცელებულმა ინფორმაციამ, თითქოსდა ქურდული სამყაროს წარმომადგენლებს ე.წ. კანონიერ ქურდებს საქართველოში „ხელ-ფეხი ეხსნებათ“. როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები ჩვენთან საუბარში აცხადებენ, აღნიშნული საკითხი აგორებულია და ამ თემით სპეკულაცია პირველ რიგში ყოფილი ხელისუფლების ინტერესებშია.

აღნიშნულ საკითხს პრემიერი ღარიბაშვილი გამოეხმაურა და მან ამ საკითხზე მთავრობის სხდომის დაწყებამდე ისაუბრა.

მთავრობის კანცელარიის პრესსამსახურის ცნობით, ირაკლი ღარიბაშვილი ქართულ ტელეარხებზე გასული იმ სიუჟეტებით დაინტერესდა, სადაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები შეიმჩნეოდა.

— ჩემთვის გაუგებარია, რატომ კეთდება მსგავსი უპასუხისმგებლო განცხადებები და კიდევ ერთხელ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ხელისუფლების პოზიცია ურყევია — ქურდულ სამყაროსთან მიდგომა არ გადაიხედება, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

აღნიშნულ საკითხზე კომენტარი ასევე გააკეთა სასჯელაღსრულების მინისტრმა. სოზარ სუბარის განცხადებით, ქურდული სამყაროს წევრობის საკითხზე თითქოსდა დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ნაციონალებმა წარმოუდგენელი ისტერიკა ატეხეს.

სუბარი ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნავს, რომ გამკაცრების გარდა, ქურდულ სამყაროსთან მიმართებით არანაირი ცვლილების განხორციელება არ იგეგმება.

— მართალია, დეკემბერში ციხეებში მიმდინარე შიმშილობების ნაწილი სწორედ ამ დებულების შეცვლის მოთხოვნით დაიწყო, თუმცა მთავრობა ამ საკითხზე დიალოგის დაწყებას გამორიცხავს, — ამბობს სუბარი.

სოზარ სუბარი კრიმინალურ ავტორიტეტებთან თანამშრომლობაში ყოფილ ხელისუფლებას აკრიტიკებს და აღნიშნავს, რომ სამინისტრომ ე.წ. ავტორიტეტების საშუალებით წარსულში ციხის მართვის რამდენიმე ფაქტი გამოაქვეყნა.

მინისტრის განცხადებით, სამინისტროს ასევე მრავალი ფაქტის გამოქვეყნება შეუძლია, თუმცა, იმის გამო, რომ კრიმინალური ავტორიტეტები სამინისტროს დაცვის ქვეშ არიან, ამიტომ მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გვარების გამოქვეყნება არ იგეგმება. როგორც მინისტრი აღნიშნავს, სწორედ ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტები თანამშრომლობდნენ ადმინისტრაციასთან, რომელიც მათ პატიმრებზე ზემოქმედებისთვის იყენებდა.

— კრიმინალური ავტორიტეტების მეშვეობით ადმინისტრაცია პატიმრებს სჯიდა, შიმშილობას აწყვეტინებდა და აიძულებდა, რომ სტრასბურგიდან განაცხადები გამოეტანათ. მათი ვინაობის გამჟღავნება მათთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანას ნიშნავს და სამინისტრო ამ ნაბიჯისგან თავს იკავებს. ძალიან ბევრჯერ და მკაფიოდ მითქვამს მეც და მთავრობის წევრებსაც, რომ ქურდულ სამყაროსთან მიმართებით კანონმდებლობა თუ არ გამკაცრდება, სხვა მხრივ არანაირი ცვლილება არ იქნება, არც პოლიტიკური და არც კანონმდებლობაში. მიუხედავად იმისა, რომ დეკემბერში მოშიმშილე პატიმრების გარკვეული ნაწილი ამ მუხლის ცვლილებასთან დაკავშირებით შიმშილობდა, არაერთხელ მითქვამს, რომ შეიძლება ნებისმიერ საკითხზე დიალოგი, თუმცა ამ საკითხზე დიალოგი არავისთან შედგება. ეს არის მთავრობის პოლიტიკა და არანაირი ცვლილება არ შეეხება, — განაცხადა სუბარმა.

სოზარ სუბარი აცხადებს, რომ არსებობს ასეულობით ფაქტი იმისა, თუ როგორ თანამშრომლობდა ნაციონალური მოძრაობა კრიმინალურ ავტორიტეტებთან, თუმცა სამინისტრო ამ ფაქტებს მსჯავრდებულების უსაფრთხოებიდან გამომდინარე არ ასაჯაროებს.

— რაც შეეხება იმას, მართლაც ვინ მართავდა და როგორ მართავდნენ „ნაციონალები“ ციხეებს, ამის რამდენიმე ფაქტი გამოვაქვეყნეთ. სხვა დროს კიდევ შეგვიძლია, უფრო მეტი გამოვაქვეყნოთ, უბრალოდ, ვერიდებით ერთი მიზეზის გამო, პატიმრები მიუხედავად იმისა, კრიმინალური ავტორიტეტები არიან თუ არა, ვიდრე ისინი ციხეში იქნებიან არიან ჩვენი დაცვის ქვეშ და მათ უსაფრთხოებაზე ჩვენ ვზრუნავთ. ჩვენ რომ მათი გვარები გამოვაქვეყნოთ, რომლებიც ადმინისტრაციასთან თანამშრომლობდნენ და მათი მეშვეობით ადმინისტრაცია სხვა პატიმრებს სჯიდა, აქრობდა შიმშილობას, აიძულებდნენ, რომ სტრასბურგიდან საჩივრები გამოეტანათ და ასე შემდეგ, ეს იქნება სასიკვდილო განაჩენი ამ ადამიანებისთვის და, ბუნებრივია, ჩვენ ამას ვერიდებით, — განაცხადა სოზარ სუბარმა.

როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, მისთვის უცნობია, რატომ მოხდა აღნიშნული საკითხის წამოწევა.

— განხილული არც იქნება და არც უნდა იყოს ეს საკითხი. არ ვიცი, რატომ მოხდა მისი წამოწევა. მე წინააღმდეგი ვარ, — გვითხრა ალექსანდრე ჭიკაიძემ.

მოგვიანებით სასჯელაღსრულების სამინისტრო საპარლამენტო უმცირესობის წევრის ნუგზარ წიკლაურის განცხადებასაც გამოეხმაურა.

— „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ნუგზარ წიკლაურმა სრულიად უპასუხისმგებლო და ცილისმწამებლური განცხადება გააკეთა, რომ, თითქოს, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე მხარს უჭერს ქურდულ სამყაროს და თითქოს ციხეში კრიმინალური სამყაროს გავლენა გაიზარდა. კანონიერი ქურდობისა და ქურდული სამყაროს წევრობის დასჯადობის შესახებ მოქმედი საკანონმდებლო ნორმა და პოლიტიკა რომ არ გადაიხედება, ამასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობამ მტკიცე პოზიცია მრავალჯერ დააფიქსირა, ეს ასევე ძალიან მკაფიოდ დაადასტურა თავად იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრმა სოზარ სუბარმა ასევე არაერთხელ აღნიშნა, რომ ვერავითარი წინააღმდეგობა და ინსინუაციები ამ მიდგომას ვერ შეცვლის. რაც შეეხება, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების უსაფუძვლო და აზრს მოკლებულ განცხადებებს, — ნათქვამია განცხადებაში.

სოზარ სუბარის უწყება ყოფილ ხელისუფლებას იმ დოკუმენტურ მასალას ახსენებს, რომელიც, როგორც სასჯელაღსრულების სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, რეალურად არსებობს და ის ადასტურებს წინა ხელისუფლების კავშირებსა და თანამშრომლობას ქურდული სამყაროს წარმომადგენლებთან. განცხადებაში საუბარია კონკრეტულ სქემაზე, თუ როგორ ხდებოდა კრიმინალური ავტორიტეტების გამოყენება ციხის სამართავად.

— გვსურს, შევახსენოთ მათ, რომ არსებობს მტკიცებულებები, რითაც დასტურდება წინა ხელისუფლების მჭიდრო კავშირი და თანამშრომლობა ქურდული სამყაროს ე.წ. „ავტორიტეტებთან“. აღნიშნული დოკუმენტებით მტკიცდება, რომ კრიმინალური სამყაროს ლიდერები ერთდროულად, ერთი ან რამდენიმე დღით გადაჰყავდათ დაწესებულებიდან დაწესებულებაში და მათ ერთმანეთს ახვედრებდნენ. პარალელურად, მათთან შეხვედრის მიზნით სხვადასხვა დაწესებულებებიდან, ასევე ერთი დღით გადმოჰყავდათ „მაყურებლები“. სწორედ კრიმინალური სამყაროს დახმარებით იმართებოდა სასჯელაღსრულების სისტემა და მართვის ეს მეთოდი, ძალადობასთან ერთად, მთავარ ადგილს იკავებდა პენიტენციური სისტემის მენეჯმენტში. აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებისას, „ავტორიტეტების“ სიცოცხლისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით შეგნებულად არ ვუთითებთ მათ მაიდენტიფიცირებელ არც ერთ დეტალს, — ნათქვამია განცხადებაში.

სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში მითითებულია სასჯელაღსრულების კონკრეტული დაწესებულებები, საიდანაც ხდებოდა ქურდული სამყაროს წარმომადგენლების გადაყვანა ერთი დაწესებულებიდან მეორეში. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ე.წ. ავტორიტეტები ძირითადად გამოყენებულნი იყვნენ ადმინისტრაციის მიერ მოშიმშილე პატიმრების, პროტესტის მქონე მსჯავრდებულების დასაშოშმინებლად.

# სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები შევა

ნათია ხურცილავა

გუშინ სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში ცვლილებების პროექტის განხილვა გაიმართა. განხილვას არასამთავრობო სექტორისა და ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საკანონმდებლო ინიციატივები, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა, იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილე ალექსანდრე ბარამიძემ წარუდგინა სპეციალისტებს. როგორც ჟურნალისტებს ალექსანდრე ბარამიძემ განუმარტა, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ცვლილებების კანონპროექტი ჯარიმის კონცეპტუალურ ცვლილებას ითვალისწინებს.



— შემუშავებულია დღიური ანაზღაურების სისტემა, განსაზღვრულია მაქსიმალური ზღვარი დანაშაულის კატეგორიებისა და მიღებული თუ მისაღები შემოსავლის მიხედვით. გათვალისწინებულია ჯარიმის განწილვადების შესაძლებლობა. გაუქმებულია ჯარიმის დამატებითი სასჯელის სახით გამოყენების შესაძლებლობა, როცა ის არ არის გათვალისწინებული კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით. ასევე გაუქმებულია არასრულწლოვანისთვის დაკისრებული ჯარიმის მშობლისთვის დაკისრების შესაძლებლობა, — განმარტავს ბარამიძე.

აღნიშნული ცვლილების ავტორების განმარტებით, კანონპროექტით მოქმედი რედაქციისგან რადიკალურად განსხვავებულადაა დარეგულირებული პირობითი მსჯავრისა და გამოსაცდელი ვადის ინსტიტუტი. დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა შესაძლებელია არა მხოლოდ საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში, არამედ მოსამართლის ინიციატივითაც. მცირდება გამოსაცდელი ვადის მაქსიმალური ზომა.

კანონპროექტის თანახმად, მოსამართლე უფლებამოსილი იქნება, დანიშნოს კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელი (საკანონმდებლო მინიმუმის ნახევრამდე) შემამსუბუქებელი გარემოებების ერთობლიობისას.

— ცვლილებების დამტკიცების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება თავისუფლების შეზღუდვის გამოყენება ნებისმიერი მსჯავრდებულის მიმართ, რაც ხელს შეუწყობს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შემცირებას, — აცხადებენ კანონპროექტის ავტორები.

როგორც აღვნიშნეთ, გუშინ გამართულ განხილვას ესწრებოდნენ აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები, სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში შექმნილი სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის, სასამართლო რეფორმის, პროკურატურის რეფორმის, პრობაციის რეფორმისა და პენიტენციური სისტემის რეფორმის სამუშაო ჯგუფების წევრები.

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, ცვლილებათა პროექტი კიდევ ერთი ნაბიჯია „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ შემდგომი ლიბერალიზაციისაკენ.

# პროკურატურა თანამშრომლების გათავისუფლების მიზეზებს გაასაჯაროვებს

პროკურატურიდან თანამშრომლების გათავისუფლების საფუძვლები უახლოეს დროში გასაჯაროვდება — ამის შესახებ განცხადება მთავარმა პროკურატურამ გაავრცელა.

უწყების ცნობით, საზოგადოებაში აქტუალური განხილვის საგანი გახდა მთავარი პროკურატურიდან გათავისუფლებული პროკურორ-გამომძიებლების საკითხი.

მთავარი პროკურატურა განმარტავს, რომ თანამშრომლების სამსახურიდან დათხოვნის ყველა პროცედურა კანონის დაცვით განხორციელდა.

„თუ რომელიმე ყოფილი მუშაკი თვლის, რომ მისი უფლებები დაირღვა, კანონი შესაძლებლობას აძლევს, მიმართოს თბილისის საქალაქო სასამართლოს. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, მთავარ პროკურატურაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, უახლოეს დროში გასაჯაროვდეს ინფორმაცია იმ თანამშრომლების თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლების შესახებ, რომლებიც მასმედიის საშუალებით ცდილობენ საზოგადოება შეიყვანონ შეცდომაში გათავისუფლების რეალურ მიზეზებთან დაკავშირებით“ — აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

უწყების ინფორმაციით, 2012 წლის ოქტომბრიდან მთავარ პროკურატურაში მიღებულია 179 თანამშრომელი, ბოლო პერიოდში კი თანამდებობიდან 12 პროკურორ-გამომძიებელი გათავისუფლდა.

ამავდროულად, გასაჯაროვდება დეტალური ინფორმაცია ბოლო ერთი წლის განმავლობაში მთავარ პროკურატურაში განხორციელებული საკადრო ცვლილებების შესახებ.

ნიუსპრესი

# სასაზღვრო პოლიციას თურქეთის გენერალური შტაბის ხელმძღვანელები ეწვივნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბის, თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა ჯარის მოქმედი შტაბების, დეპარტამენტებისა და სამმართველოების ხელმძღვანელი პირები ესტუმრნენ.

თურქეთის რესპუბლიკის დელეგაციას სასაზღვრო პოლიციის უფროსმა, პოლკოვნიკმა ზურაბ გამეზარდაშვილმა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, პოლკოვნიკმა დავით ცინარიძემ და მისმა მოადგილემ, პოლკოვნიკმა ლევან მაჭავარიანმა უმასპინძლეს. შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო.

სასაზღვრო პოლიციამ უწყების შესახებ პრეზენტაცია გამართა, რომელიც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ცალკეულ მონაკვეთებზე არსებულ მდგომარეობას, პრობლემატიკას, გამოწვევებსა და რისკებს შეეხებოდა. დელეგაციის წევრები სასაზღვრო პოლიციაში მიმდინარე პროცესებს და ფუნქცია-მოვალეობებს გაეცნენ.

შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები დასახეს და სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებები გამოკვეთეს.

ნიუსპრესი

# აბაშიძის და კარასინის შეხვედრა თებერვლის ბოლოს გაიმართება

პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის საქართველო-რუსეთის საკითხებში ზურაბ აბაშიძის განცხადებით, მისი და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის შეხვედრა თებერვლის ბოლოს შედგება.

აბაშიძის თქმით, შეხვედრაზე სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე, სატრანსპორტო კომუნიკაციებზე, ჰუმანიტარულ-კულტურულ საკითხებსა და სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე ისაუბრებენ.

„ჩვენ კარგა ხანია ვიზები საერთოდ გავაუქმეთ, თუ რუსეთი ასეთ ნაბიჯს გადადგამს, რომ სავიზო რეჟიმი გააუქმოს ან მნიშვნელოვნად გაამარტივოს, ამას მივესალმებით“ — განაცხადა პრემიერის სპეციალურმა წარმომადგენელმა, რომელიც დღევანდელ მთავრობის სხდომას ესწრება.

ნიუსპრესი

# ვახტანგ ხმალაძე ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ

## „კანონპროექტის წარსადგენად არავის ნებართვა არ მჭირდება“

შორენა მარსაგიშვილი

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე მაგარ შარში აღმოჩნდა. რამდენიმე დღის წინ გაკეთებული განცხადების გამო, მისი ჩაქოლვის სურვილი ნახევარმა საქართველომ გამოთქვა.

ვახტანგ ხმალაძე მიიჩნევს, რომ ქურდული სამყაროს წევრობასთან და კანონიერ ქურდობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი გადასახედია. დეპუტატმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე სისხლის სამართლის კოდექსის 223/1-ე მუხლის ხარვეზზე ისაუბრა და განაცხადა, რომ კანონში ჩადებული ნორმა ე.წ. განსაზღვრულობის პრინციპს ვერ აკმაყოფილებს.

– კანონის ეს ნორმა არ მომწონს და თავის დროზე, როცა შემოიღეს, ძალიან კრიტიკულად ვუდგებოდი. ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება უნდა იყოს შეფასებითი, თუ რა არის ეს. კანონში ჩადებული ნორმა ვერ აკმაყოფილებს ე.წ. განსაზღვრულობის პრინციპს და ჩემთვის ეს არის მნიშვნელოვანი და პრობლემური. ზუსტად უნდა განისაზღვროს, რა არის კანონიერი ქურდობა და ქურდული მენტალიტეტი და უშუალოდ დაკავშირებული უნდა იყოს კონკრეტულ მოქმედებასთან, რომლის გამოც შეიძლება პირი გასამართლდეს. უტრირებას გავაკეთებ და ვიტყვი, რომ იმის გამო, რომ ვთქვათ, მე მომწონს ქურდები და მომწონს ქურდული ურთიერთობები, ამის გამო არ შეიძლება ციხეში ჩამსვან. ზოგადად დღის წესრიგში დგას სისხლის სამართლის კოდექსის რევიზიის საკითხი. იქ არაერთი ნორმაა შესაცვლელი და კონცეპტუალურად გადასახედი. ეს იმდენად რთული საკითხია, რომ სწრაფად ვერ ხერხდება, – განაცხადა რამდენიმე დღის წინ ვახტანგ ხმალაძემ.

ამას ნაციონალებში დიდი წიოკი მოჰყვა. ვახტანგ ხმალაძის განცხადებას ყველაზე მალე ნუგზარ წიკლაური გამოეხმაურა.

– ეს არის სიცრუე და არავინ არ გასამართლებულა ქურდული სამყაროსადმი გამოთქმული სიმპათიების გამო. ძალიან სამწუხაროა, რომ მმართველი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ქურდული სამყაროს მიმართ ღია და აშკარა მხარდაჭერას გამოხატავს. თუ კანონში ამ ტიპის ცვლილებები განხორციელდება, ეს იქნება მნიშვნელოვანი იდეოლოგიური მარცხი ქურდული სამყაროს წინაშე. განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ნათლად ჩანს, რომ ქვეყანაში კრიმინალი და ქურდული გარჩევების რაოდენობა იზრდება. ყველამ ვიცით, რომ დღეს ციხეს უკვე სრულად მართავს კრიმინალური სამყარო. მართავენ ე.წ. მეთვალყურეები და ზედამხედველები. სახელმწიფოს როლი არის მინიმიზებული და ახლა უკვე ეს სამყარო გამოდის ციხიდან და ის იწყებს მართვას ჩვენს ქუჩებში – ამაში ებმებიან ჩვენი თანამოქალაქეები და, რაც მთავარია, არასრულწლოვნები, – განაცხადა წიკლაურმა.



ხმალაძის ინიციატივა ქვეყნის მთავრობის მეთაურმა ირაკლი ღარიბაშვილმაც დაგმო. ამ გმობას ნაციონალების მხრიდან დიდი სიხარული მოჰყვა. დეპუტატმა გიგი წერეთელმა საგანგებო პრესკონფერენციაც კი გამართა. გიგი წერეთლის განცხადებით, ქურდების თემის წამოწევა ძალიან დიდი შეცდომა იყო.

– პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე დატუქსა ის ადამიანები, რომლებმაც ე.წ. კანონიერი ქურდების შესახებ კანონმდებლობის გადახედვის თემა წამოწიეს. ეს იყო ერთ-ერთი საკითხი, რომლითაც მთავრობის დღევანდელი სხდომა დაიწყო. ამ თემის წამოწევა ძალიან სერიოზული შეცდომა იყო. პრემიერმა განაცხადა, რომ არანაირი პოლიტიკა ე.წ კანონიერ ქურდებთან დაკავშირებით არ გადაიხედება. საინტერესო სწორედ ის იყო, რატომ წამოიწია შობის პირველივე დღეებში, მაშინ, როდესაც სხვა უამრავი პრობლემაა ქვეყანაში, მაინცდამაინც ეს თემა. ამას ალბათ გარკვეული საფუძვლები ჰქონდა და კარგი იქნება, თუ ამ საფუძვლების შესახებ ცნობილი გახდება. ამ კანონის თავის დროზე მიღებით, საზოგადოებამ სერიოზული ეფექტი დაინახა და მისი გადახედვის საჭიროება არ არსებობს. ოპოზიციის სწორი კრიტიკა მთავრობას ნაკლები შეცდომის დაშვების საშუალებას აძლევს, – აცხადებს წერეთელი.

საქართველოს სახალხო დამცველის თქმით, ქურდული სამყაროს წევრობასთან დაკავშირებული ნორმა ბევრ ბუნდოვანებას შეიცავს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ბრძოლა ორგანიზებულ დანაშაულთან არ უნდა გაგრძელდეს.

როგორც მან გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, კანონის აღნიშნული ნორმა ინტერპრეტირების საშუალებას არ უნდა იძლეოდეს.

– ჩვენთვის ცნობილია ძალიან ბევრი საქმე და ამ მუხლით არის გასამართლებული ბევრი პიროვნება, რომელიც რეალურად არ იმსახურებს და იმის გამო, რომ ძალიან ბუნდოვანებას შეიცავს ეს ნორმა, არიან საპყრობილეებში, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ბრძოლა ორგანიზებულ დანაშაულთან არ უნდა გაგრძელდეს, მაგრამ ნორმა უნდა იყოს უფრო მეტად კონკრეტული, რომ არ იძლეოდეს ინტერპრეტირების შესაძლებლობას. მიმაჩნია, რომ დღეს მოქმედი ნორმის ბევრნაირად გამოყენება არის შესაძლებელი. სწორედ ამიტომაც, მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია არის ის გამოსავალი, სადაც შესაძლებელია ნებისმიერი მსგავსი საქმის ხელახალი განხილვა და არა რაიმე კანონმდებლობის შეცვლით ან ახალი კანონის მიღებით ამ საკითხთან დაკავშირებით, – განაცხადა სახალხო დამცველმა.

„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე ქურდული სამყაროს შესახებ კანონის შესახებ პრემიერ-მინისტრის განცხადებას მწვავედ გამოეხმაურა. ნანა კაკაბაძემ „პირველ რადიოსთან“ საუბარში განაცხადა, რომ ირაკლი ღარიბაშვილი პირდაპირ ერევა საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციონირებაში და მას უნდა ახსოვდეს, რომ საქართველოს დირექტორი არ არის.

– პრობლემა გაცილებით სერიოზულია, ვიდრე ერთი კონკრეტული მუხლი, რადგან აღმასრულებელი ხელისუფლება ბედავს ასე ღიად და დაუფარავად ჩაერიოს საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციებში. ეს არ არის დამახასიათებელი დემოკრატიული სახელმწიფოსთვის, ეს არის ტოტალიტარული ქვეყნებისთვის დამახასიათებელი, რომ ყველაფერი უნდა იყოს ერთი ადამიანის ხელში. რა უფლება აქვს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს, ჩაერიოს საკანონმდებლო ორგანოს მუშაობაში?! – განაცხადა ნანა კაკაბაძემ.

ნანა კაკაბაძის განცხადებით, ანალოგიური შემთხვევა იყო ბიძინა ივანიშვილის „დროებითი პრემიერობის“ დროს, როდესაც პირველი მოსმენით გასული იპოთეკარების კანონპროექტი ივანიშვილის განცხადების შემდეგ, რომ „ეს აღარ გაგრძელდება“, დაიხურა ეს თემა და გაჩერდა. კაკაბაძის თქმით, იგივე გრძელდება დღევანდელი პრემიერის მხრიდანაც.

– იგივე ხდება დღესაც. ირაკლი ღარიბაშვილი არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. ის არ არის საქართველოს დირექტორი. მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში აქვს ჩარევის უფლება. ჩვენ სააკაშვილის დროს ვამბობდით, რომ პარლამენტი იყო ნოტარიული, დღეს უკვე საჯარო რეესტრიც კი აღარ არის. რასაც ხელისუფლება ეტყვის, იმას არეგისტრირებს. გაოცებული ვარ, როცა ასე ღიად მიმდინარეობს ძალადობა პარლამენტზე, რას ჰგავს ეს, ეს არის დემოკრატია?! – განაცხადა ნანა კაკაბაძემ.

აჟიოტაჟს ბოლოს ვახტანგ ხმალაძეც გამოეხმაურა. როგორც ჟურნალისტებთან საუბარში ხმალაძემ განმარტა, დეპუტატს კანონპროექტის მომზადების უფლება აქვს.

– ზოგადად გამოვთქვი პრეტენზია ნორმის მიმართ და ეს მხოლოდ დღეს არ გამომითქვამს, როცა ამ ნორმას იღებდნენ, მაშინაც მქონდა ეს ნათქვამი, რომ ეს ნორმა არ აკმაყოფილებს ე.წ. კანონის განსაზღვრულობის პრინციპს. ალბათ ვერ იპოვით თქვენ იურისტს, რომელიც ამაში არ დამეთანხმება, მაგრამ არის საფრთხეები, რომელსაც იწვევს ესა თუ ის ნორმა. ყოველ შემთხვევაში, მე ნამდვილად არ ვაპირებ რაიმეს ინიცირებას, მე რომ საჭიროდ ჩამეთვალა, ამას აქამდეც გავაკეთებდი. მე თუ საჭიროდ მივიჩნევ რაიმეს ინიცირებას, მე ამას გავაკეთებ ისე, როგორც ეს მიმაჩნია საჭიროდ და არავის ნებართვა მე ამისათვის არ მჭირდება, – განაცხადა ხმალაძემ.

# სომხეთი და რუსეთი საქართველოს“ გაყოფას გეგმავენ

## ცხინვალი კი რუსეთთან შეერთებაზე რეფერენდუმს ატარებს

შორენა მარსაგიშვილი

უკვე დიდი ხანია საუბრობენ იმაზე, რომ საქართველოს ჯავახეთში აუცილებლად შეექმნება პრობლემები. ბოლო დროს საკმაოდ გააქტიურდა რუსეთში მცხოვრები სომხური სათვისტომო. კვლავ დღის წესრიგში დადგა ჯავახეთის ავტონომიის საკითხიც.

ქართველი ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთი საქართველოს პროვოკაციას სწორედ ჯავახეთის ფრონტზე მოუწყობს. საქართველოს ხელისუფლება სომხეთთან ურთიერთობის გაფუჭებას არ ვარაუდობს. თბილისთან მეგობრულ ურთიერთობაზე ჭიკჭიკებენ ერევანშიც. ამის მიუხედავად, სომეხი პოლიტიკოსების ნაწილს ზოგჯერ მაინც წამოსცდება ხოლმე, რომ ჯავახეთი სომხური მიწაა. რასაც ოფიციალური ერევანი ოფიციალურად არ იზიარებს. გულში რას ფიქრობენ, ეს ძნელი წარმოსადგენი ნამდვილად არ იქნება.

სომხეთს საქართველოსთვის საფრთხის შემცველად აზერბაიჯანელი პოლიტოლოგი მუბარიზ აჰმედოღლუც მიიჩნევს. მისი თქმით, ერევანი და მოსკოვი მზად არიან საქართველო შუაზე გაიყონ. ამის თაობაზე ის აზერბაიჯანულ გამოცემა „ტრენდ.აზ“-ს ესაუბრა.

– სომხეთი საქართველოსთვის საფრთხეს წარმოადგენს. მას ქართულ მიწებზე პრეტენზია აქვს. სომეხ პოლიტიკოსებს სომხებით დასახლებული ჯავახეთის რეგიონი თავის მიწად მიაჩნიათ, – აცხადებს პოლიტიკური ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დირექტორი, პოლიტოლოგი მუბარიზ აჰმედოღლუ.

მისი აზრით, ოფიციალური ერევანი საქართველოს ტერიტორიულ პრეტენზიებს ღიად არ უყენებს. თუმცა ამის პარალელურად ერევანში ანტიქართული ორგანიზაციები თავისუფლად მოქმედებენ.

– ოფიციალური ერევნის პოლიტიკა ამ სფეროში სხვა არაფერია, თუ არა სომხური ეშმაკობა. ოფიციალური ერევანი საქართველოს მიმართ არ აყენებს ტერიტორიულ პრეტენზიებს, მაგრამ ჯავახეთის რეგიონში სეპარატიზმის გამღვივებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ერევანში სრულიად თავისუფლად ფუნქციონირებენ და თანაც სრული ფინანსური უზრუნველყოფის პირობებში. ის, რომ სომხები საქართველოში მდებარე ეკლესიებს თავისად მიიჩნევენ, ასევე აჩვენებს, რამდენად დიდია მსოფლიო სომხობის პრეტენზიები საქართველოს მიმართ, – აღნიშნავს აზერბაიჯანელი პოლიტოლოგი.

ქართული ეკლესიების მიმართ სომხებს მართლაც სერიოზული პრეტენზიები აქვთ. ერთ-ერთმა სომეხმა მეცნიერმა განაცხადა, საქართველოში მდებარე 600-ზე მეტი ეკლესია სომხურია და ქართველებმა მიისაკუთრესო.

სომეხი მეცნიერების ამ განცხადებაზე ჩვენი მეცნიერები სიცილ-კისკისით იხოცებიან, თუმცა საქმე სასაცილოდ ნამდვილად არ არის. სანამ ჩვენ ვხითხითებთ, სომხები მსოფლიოს უმტკიცებენ, რომ ლამის მთელი საქართველო მათააშენეს. ცოტა ხნის წინ ისიც კი დაადგინეს, რომ თოვლის პაპასაც თურმე სომხური წარმომავლობა აქვს.

აზერბაიჯანელი პოლიტოლოგის შეფასებით, სომხები საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მითითებით იმოქმედებენ. მისი თქმით, მსხვილი სახელმწიფოების ინსტრუმენტად ყოფნა, სომხების გენეტიკურ თავისებურებად იქცა.

– ინსტრუმენტად ყოფნა სომხებისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დამოუკიდებლობა და სოციალური უზრუნველყოფა. ის, რაც საქართველოში ხდება, ამ ქვეყანას სომხური ინსტრუმენტობის მიზნად აქცევს“, – ხაზი გაუსვა პოლიტოლოგმა.

მისი თქმით, სომხეთი არასუვერენული სახელმწიფოა და იძულებულია რუსეთის ყველა სურვილი შეასრულოს. სომხეთის მაღალი თანამდებობის მქონე ოფიციალური პირები აღიარებენ, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს, რუსეთმა სომხეთს საქართველოზე შეტევა უბრძანა.

– 2008 წელს სომხეთის უარი რუსული ბრძანების შესრულებაზე არ ნიშნავს, რომ სომხები რუსეთის შემდგომ ბრძანებებზეც უარს იტყვიან. სომხეთი 2008 წელთან შედარებით კიდევ უფრო ჩამორჩენილი გახდა. რუსეთმა გაცილებით მეტად გაზარდა თავისი სამხედრო-ეკონომიკური გავლენა სომხეთში. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს, სამხრეთ ოსეთთან ერთად, არსებობდა სომხებით დასახლებული 80 კილომეტრიანი ქართული მიწის მონაკვეთის დაპყრობის გეგმა და ქართული მიწების ხარჯზე, დაგეგმილი იყო სომხეთსა და რუსეთს შორის გეოგრაფიული კავშირის შექმნა. ახლახან, რუსეთის ხელისუფლებასთან დაახლოებულმა ერთ-ერთმა ექსპერტმა სომხეთსა და რუსეთს შორის სახმელეთო კავშირის არქონა დროებით მოვლენად მოიხსენია. მან ჯავახეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის არსებული ტერიტორია ისტორიულ ოსურ მიწად მოიხსენია და აღნიშნა, რომ ოსები მას უნდა დაეპატრონონ. შექმნილ სიტუაციაში ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ინიციატივა. პირველ რიგში, ოფიციალურმა თბილისმა უნდა დაიწყოს როგორც საქართველოსთვის, ასევე რეგიონული პროექტებისათვის საფრთხეების ღია და ყოველმხრივი განხილვა აზერბაიჯანთან ერთად. ამ სფეროში პირველი ინიციატივა საქართველოდან უნდა წამოვიდეს. სომხების მიერ შექმნილი პრობლემები შეიძლება გაცილებით ადვილად გადაწყდეს. მეორე რიგში, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ არ უნდა შეასრულოს ამერიკული მითითებები სომხეთთან დაკავშირებით და გაატაროს საკუთარი ინტერესების მოპასუხე პოლიტიკა, – თვლის აჰმედოღლუ.




რამდენიმე სომხურ ორგანიზაციას საქართველოსთან დაკავშირებით მართლაც ცუდი აზრები უტრიალებს თავში, თუმცა საეჭვოა, ახლო მომავალში რამე მოიმოქმედონ.

სომხური ორგანიზაციების მსგავსად, ცუდი აზრები უტრიალებთ თავში ცხინვალში მოქმედ პარტიებსაც. ერთ-ერთმა მათგანმა ხელმოწერების შეგროვება დაიწყო და რეფერენდუმის ჩატარებაც მოითხოვა. ორგანიზაცია „ერთიანი ოსეთი“ რეფერენდუმის გამართვას ერთი საპატიო მიზეზით ითხოვს. ცხინვალელების ნაწილს რუსებთან შეერთების სურვილი აწვალებს.

წლების წინ ცხინვალის რეგიონში ერთხელ უკვე ჩაატარეს რეფერენდუმი. მაშინ ცხინვალელებმა სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას დაუჭირეს მხარი. 2008 აგვისტოს ომის შემდეგ მოსკოვმა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი აღიარა. სამხრეთ ოსეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ განაცხადა, რომ ცხინვალს დამოუკიდებლობა არ სურდა და რუსეთთან შეერთებაზე იყო თანახმა.

ოფიციალურმა მოსკოვმა კოკოითის ეს სიტყვები სასწრაფოდ წაალებინა უკან. რუსეთი ხომ იმის დამტკიცებას ცდილობდა, რომ მათ აფხაზეთი და ცხინვალი საქართველოსგან დაცვის მიზნით აღიარეს. სინამდვილეში კი მათ ეს მიწები ფაქტიურად მიიტაცეს. რომელიმე რეგიონის ოფიციალურ მიერთების შემთხვევაში, საერთაშორისო თანამეგობრობას საკმაოდ მწვავე რეაქცია ექნებოდა.

საინტერესოა, ახლა რას იზამს რუსეთი? ეს რეფერენდუმი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩატარდება, თუ მოსკოვი იქნება თანახმა.

# მე–20 საუკუნის დასაწყისში ცხინვალში სულ ორი ოსური ოჯახი ცხოვრობდა“

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძესთან

***— ბატონო ნოდარ, იმ ბრძოლების შემდეგ, რაც განვლილი 20 წლის მანძილზე იყო, ჩოჩიევი აკეთებს განცხადებას, რომ „სამხრეთი ოსეთი“ არასოდეს ყოფილა საქართველოს შემადგენლობაში. ეს განცხადება, უბრალოდ, თავგასული სეპარატისტის განცხადებაა თუ მას იმედი წაერთვა, რომ ნამდვილ დამოუკიდებლობას მოიპოვებს და იმიტომ ლაპარაკობს ასე?***

— შინაარსობრივად ეს განცხადება სწორედ ის არის, რაც თქვენ ბრძანეთ — უმეცარი, უსირცხვილო, არაფრის მცოდნე და არავითარი ბარიერის მქონე, თავხედური, გათამამებული სეპარატისტის ბოდვაა. ახალს არაფერს შეიცავს, მაგრამ საინტერესო ისაა, რატომ აქვს დღეს ასეთი განცხადების გაკეთება ნაკარნახევი რუსეთისგან. როგორც ჩანს, პუტინს, რომელმაც იცის, რომ ჩიხშია საქართველოს ტერიტორიების აღიარების საკითხში, თავის ფინიებს ავალებს, რაც შეიძლება ავად იყეფონ. თავისთავად, ეს ავად ყეფა მისთვის საფუძველია, თქვას, ნახეთ, როგორი გამწარებულია აქ მოსახლეობაო. შინაარსობრივად, რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, დღეში ასჯერ რომ კეთდებოდეს ასეთი განცხადებები, ასჯერვე უპასუხოს, თანაც ერთი და იმავე სიტყვებით.

***— ცხინვალის რეგიონის ისტორიაზე არაერთხელ დამიწერია. ისტორიკოსებმაც ბევრჯერ თქვეს თავიანთი სიტყვა ამ კუთხის შესახებ, მაგრამ იძულებულს გვხდიან, კიდევ ერთხელ შევახსენოთ, რომ ის, რასაც ისინი „სამხრეთ ოსეთს“ უწოდებენ, ძირძველი ქართული მიწაა. თქვენ ბევრის მომსწრე ბრძანდებით და იცით, რა როგორ იყო. მოდით, ვისაუბროთ ამ თემაზე.***

— ეს ისეთი საკითხია, ყველაზე უფრო გონივრული და ნაყოფიერია ვილაპარაკოთ უბრალო ფაქტებით, უბრალო ისტორიით. კვალიფიკაციები, საერთოდ, ზედმეტია, არაფრისმთქმელია. რუსები საქართველოში რომ შემოვიდნენ 1801 წელი იყო. 10 თვის თავზე ანუ 1802 წელს რუსული ადმინისტრაციის პირველი პირი გერმანული წარმოშობის გენერალი კარლ კნორინგი პატაკს სწერს რუსეთს იმპერატორს და იმ მიწა-წყალს, სადაც კი ერთი ოსიც კი ცხოვრობს, სადაც კი ერთი ოსური ოჯახი მაინც ცხოვრობს (ერთი, ათი, თუ ოცდაათი), ყველაფერს უწოდებს „ასეტიას“. ის გულისხმობს საქართველოს ტერიტორიას და კავკასიის სამხრეთით მდებარე ტერიტორიას, უმატებს სახელს „იუჟნაიას“. რატომ? იმიტომ, რომ რუსულმა ნაწილებმა, რომლებიც დიდი ხანია კავკასიაში ომობენ, დაკავებული აქვთ დიდი ტერიტორიები ანუ მთელი ჩრდილო კავკასია.

***— ე.ი. ჩრდილო ოსეთიც.***

— ოსეთს ჩრდილოეთს არ უწოდებდნენ. ოსეთისთვის ჩრდილოეთის დარქმევა მაშინ მოუვიდათ თავში, როცა სამხრეთში გაუჩნდათ შანსი რაღაც პოზიციების მოპოვებისა. რუსებმა იციან, რომ ერთადერთი ხალხი ჩრდილო კავკასიისა, რომელიც რუსეთის გაბატონებას კავკასიაში ხელს უწყობს, არიან ჩრდილოკავკასიელი ოსები. ერთადერთი ერი, რომელიც რუსებს ეხმარებოდა ჩრდილო კავკასიის დაპყრობაში, ოსები იყვნენ, რომლებიც ცხოვრობდნენ ჩრდილო კავკასიაში.

***— რით აიხსნება მათი ამგვარი ქცევა?***

— ეს შეიძლება ახსნა იმით, რომ ოსები არიან ინდოევროპელები. კავკასიელი ხალხი ეგენი არ არიან. ოსები ჩრდილო კავკასიაში მოსული ხალხია, ან შეიძლება ახსნა იმით, რომ ძალიან ღარიბები იყვნენ და უნდოდათ ჩერქეზების მიწების დაკავება. რუსებმა ის მიწები დააკავებინეს. ჩერქეზებს დედა უტირეს, მისწიეს, მოსწიეს და ოსებს დააკავებინეს იქით ჩერქეზების მიწები, აქეთ — დასავლეთ კავკასიელებისა. რუსები ყველა წერტილს საქართველოში, სადაც კი ოსი ცხოვრობდა, მიზანმიმართულად უწოდებდნენ „ოსეტიას“. ადმინისტრაციულ ერთეულებს რომ ქმნიდნენ, იქაც ცდილობდნენ, „ასეტინსკი“ დაენახათ. მაგალითად, „ასეტინსკიე დისტანცია“. „დისტანცია“ ადმინისტრაციულ– ტერიტორიული სახელი იყო.

***— ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც ვიცი, საქართველოს გასაბჭოებამდე საქართველოში რაიმე სერიოზული ადმინისტრაციული ერთეული (1922 წლამდე) მათ არ ჰქონიათ.***

— დიახ, არავითარი...

***— რომ ყოფილიყო რაიმე საფუძველი და ძალაც ჰქონოდათ, არ მოერიდებოდნენ. რუსეთი ხომ მაშინვე შექმნიდა რაიმე ერთეულს? ეტყობა, მაშინ ისახებოდა გეგმები ჩვენი მიწების წართმევისა და ოსებისთვის***



***გადაცემისა.***

— რასაკვირველია.

***— როგორც ისტორიიდან ცნობილია, მე-20 საუკუნის დასაწყისში ცხინვალში სულ ორი ოსური ოჯახი ცხოვრობდა.***

— დიახ. მოგითხრობთ ისტორიას, როგორ გაჩნდნენ პირველი ოსები საქართველოში. მე-17 საუკუნეში მარბიელმა რაზმმა, ე.ი. ყაჩაღურმა რაზმმა აიკლო სოფელი ჯავა და მოსახლეობა გაწყვიტა. მარბიელმა რაზმმა საქონელი წაიყვანა, ხალხი კი დახოცეს. მე-17 საუკუნე ხომ ძალიან დიდი უბედურებების დრო იყო. ამიტომ იქ მოსახლეობის აღდგენა ვერ მოხდა.

***— მარბიელი რაზმი ოსებისა იყო?***

— დიახ, ჩრდილოეთიდან, მამისონის უღელტეხილიდან გადმოდიოდნენ. ეს ფაქტი ისტორიაში აღნიშნულია: „გაუკაცურდა ოვსთაგან“. გავიდა დაახლოებით 20 წელიწადი, ოსები ჩამოვიდნენ და ჯავაში დაიწყეს დასახლება. ჯავას ჰყავდა თავისი პატრონი — ქართველი თავადი ქობულაშვილი. ქართველმა თავადმა ქობულაშვილმა ეს მიწა მიჰყიდა სხვა ქართველ თავადს. ეს ნასყიდობის სიგელი ჩვენ გვაქვს. გარდა ამისა, შემდეგ ოსები კიდევ ცოტ-ცოტა ჩამოდიოდნენ ლტოლვილების სახით, ვიღაც შემოაკვდებოდათ ან რაღაც მიზეზით ჩამოდიოდნენ. შედეგად ლიახვის ზედა წელში გაჩნდა რაღაც პატარ-პატარა ოსური კუნძულები, ძირითადად ქართველი მოსახლეობის ფონზე. როდესაც მოხდა ყმა გლეხების გათავისუფლება საქართველოში ანუ 1864 წელს, მაშინ ქართველ მემამულეებს (თავად-აზნაურები მხოლოდ ქართველები იყვნენ. სხვა არავინ იყო, ცხადია.) ყმები წაართვეს, მაგრამ მიწა შეუნარჩუნეს. ამ მიწას ისინი ველარ ამუშავებდნენ. ამიტომ ქართველმა თავადებმა ჩრდილოეთიდან ანუ ნამდვილი ოსეთიდან დაიწყეს ოსების ხიზნებად მოყვანა. იაფი მუშახელი იყო. ჩამოიყვანდნენ, მიწას მისცემდნენ და ეტყოდნენ, ვთქვათ, თუ 100 ცხვარი გეყოლება, 70-ს მე მომცემო და ა.შ. ამით შეიქმნა მოსახლეობის მასა, რომელმაც მთელი მოსახლეობის ერთი მესამედი შეადგინა. ამ ოსებიდან ზოგი დარჩა, რადგან თავისი მიწა ჰქონდა, ზოგი არ დარჩა. შემდეგ, როცა უკვე საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა რუსეთში, რუსებმა ოსებში დაინახეს პოტენციური რევოლუციური ძალა.

***— დასაყრდენი, რომელსაც კავკასიაში ეძებდა რუსეთი.***

— რა თქმა უნდა. მაშინ მათ რამდენჯერმე მოაწყვეს ოსური გამოსვლები საქართველოში. მაშინ მათ სწორედ ის „იუჟნაია ოსეტია“ გაახსენდათ და ბოლშევიკური პარტიის კავკასიის ბიურომ, რომელიც მდებარეობდა როსტოვში, 1920 წელს ანუ მაშინ, როდესაც საქართველო იყო დამოუკიდებელი ქვეყანა და რუსეთს გქონდა მასთან ურთიერთობა, მიიღო დადგენილება „იუჟნაია ასეტინსკაია ავტონომნაია ობლასტის“ შექმნის შესახებ. ასეთი დადგენილება მიიღო უცხო ქვეყანაში უცხო პარტიამ. ამით მათ აბსოლუტური უკანონობა ჩაიდინეს. იმავე წელს იგივე დადგენილება გაიმეორა ბოლშევიკების ცეკამ მოსკოვში. 1921 წელს ბოლშევიკები საქართველოში შემოვიდნენ, რომ რუსეთის პარტიის გადაწყვეტილებები განეხორციელებინათ საქართველოში, მაგრამ დაახლოებით 10 თვე ვერ განახორციელეს, რადგან ტერიტორია ვერ უშოვეს. ოსები სახლობდნენ, ასე ვთქვათ, კუნძულებად. ნაწილი მიწებისა დასახლებული იყო ოსებით, დიდი ნაწილი მიწებისა იყო ქართველებით დასახლებული. ადგილობრივი ბოლშევიკური ხელისუფლება კი ეწინააღმდეგებოდა ამგვარი ტერიტორიული ერთეულის შექმნას. ბოლოს მაინც შექმნეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ისე, რომ შიგ შეიყვანეს რამდენიმე ათეული ქართული სოფელი — იმაზე უფრო მეტი ქართული სოფელი, ვიდრე ოსური დასახლებები იყო. სხვათა შორის, კიდევ ერთი რამ არის საინტერესო — ამ „სამხრეთ ოსეთის“ შექმნის პროცესში ოსები წერენ და წერენ თავიანთ პრეტენზიებს ამ ტერიტორიის შესახებ. უნდათ, სადაც კი ოსი ცხოვრობს (უმრავლესობაზე არ არის ლაპარაკი), „ოსეტიად“ გამოაცხადონ. ოსები ხიზნებად რომ შემოიყვანეს, ისინი მხოლოდ ხეობის მიდამოებში კი არ გაჩერდნენ, არამედ მთელ აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც კი მემამულეები უგლეხებოდ დარჩნენ და მიწა დარჩათ, მიჰყავდათ და მიჰყავდათ. ბაკურიანის ზემოთ სოფელ გუჯარეთშიც კი დაასახლეს. ოლქის შექმნის დროს, სადაც კი ოსი ცხოვრობდა, აცხადებდნენ, ჩვენიაო.

***— ყოველ შემთხვევაში, ოსები ძალით არავის შემოუყვანია საქართველოში და ძალადობით არავინ ამუშავებდა. ისინი ჩვენს ქვეყანაში ნებაყოფლობით, სამუშაოსთვის მოდიოდნენ.***

— რა თქმა უნდა.

***— ახლა ჩოჩიევს სურს, ვითარება ისე წარმოადგინოს, თითქოს ისინი საქართველოში შევიწროებულნი იყვნენ, იმ დროს, როდესაც მათ ყველაფერი ჰქონდათ, რომ განვითარებულიყვნენ, თავიანთი თავის რეალიზაცია მოეხდინათ. ქართველებმა მათ ოსური სკოლები გაუხსნეს და ყველა პირობა შეუქმნეს. ჩრდილო ოსეთში კი, ფაქტობრივად, ოსების გარუსება ხდება. კულტურული ავტონომია მათ ყველა შემთხვევაში გარანტირებული ჰქონდათ და აქვთ. ამ დროს ჩოჩიევი ამბობს, ქართველების მთავარი პოლიტიკური მიმართულება გამოიხატება ლოზუნგში: „საქართველო ქართველებისთვის“. ქართველებთან მეორეხარისხოვანი ადამიანები ვიქნებითო.***

— სხვათა შორის, ქართველებსა და ოსებს შორის სოციალურ და ყოფით დონეზე ყველაზე მჭიდრო ურთიერთობა იყო. ქართულ-ოსური ქორწინებები პროცენტულად აღემატებოდა ქართულ-სომხურსაც კი. ქართულ-ოსური ქორწინებები პროცენტულად მეტი იყო, ვიდრე — ქართულ-სომხური. ეს უზარმაზარი ფაქტია. ასე რომ, არავითარი დისკრიმინაცია არასოდეს ყოფილა. უბრალოდ, ყველა დემაგოგის ხელში ეს არის მასალა. „ჩვენ ვიყავით მეორეხარისხოვანი ადამიანები“ — ასეთი კლასიფიკაცია ოფიციალურად არასოდეს არსად არ არსებობდა. ვინ გაზომა, ვინ იყო პირველხარისხოვანი და ვინ — მეორეხარისხოვანი? ეს ტყუილია. რაც შეეხება ფორმულირებას: „საქართველო ქართველებისთვის“. აბსოლუტური პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ პირველად ეს დაიწერა (მათ შორის, ბროშურად, რომელიც რუსულად ნათარგმნია), ირინა სარიშვილის, გურამ მამულიასა და კიდევ ვიღაცების მიერ „ახალგაზრდა კომუნისტში“ თუ სადღაც, თითქოს ზვიად გამსახურდიამ ეს თქვა მიტინგზე. მე ვიყავი იმ მიტინგზე (რომელიც ჩატარდა კახეთში იმის გამო, რომ ჭიკაანში ლეკებმა სამი ქართველი დაწვეს ცეცხლში), სადაც ზვიად გამსახურდია გამოვიდა იმ მიტინგზე და თქვა ის, რაც სათქმელი იყო, მაგრამ ამის მსგავსი არაფერი უთქვამს. ამას გეუბნებით, როგორც მოწმე. არავითარი მსგავსი იმ სიტყვებისა — ვისია საქართველო და ვისი არა — ზვიად გამსახურდიას არ უთქვამს.

## შსს-მ უკანონო იარაღი ამოიღო

თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, თბილისში მცხოვრები, 1962 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი თეიმურაზ ქ. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ჩეხური წარმოების „ჩე-ზე“-ს სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, ერთი მჭიდი და 9 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

შსს-ს ინფორმაციით, დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს — სსსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

ნიუსპრესი

## 112-ზე ცრუ შეტყობინების განხორციელებისთვის სასჯელი მკაცრდება

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დასჯის ზომები განისაზღვრა და სასჯელი იმ პირთა მიმართ გამკაცრდა, ვინც გადაუდებელი დახმარების ერთიან ნომერ „112“-ს არამიზნობრივად გამოიყენებს ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების განხორციელების მიზნით. მშობლის ან მისი

შემცვლელი პირის პასუხისმგებლობის საკითხი დგება შემდეგი კანონდარღვევების შემთხვევაში:

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, 14 წლამდე არასრულწლოვნის მიერ „112“-ზე ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება გამოიწვევს მშობლის ან მისი შემცვლელი პირის დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით. 1 წლის განმავლობაში აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას 2500 ლარით.

16 წლამდე მოზარდის მიერ „112“-ზე არამიზნობრივი და ცრუ ზარის განხორციელება გამოიწვევს მშობლის ან მისი შემცვლელი პირის დაჯარიმებას 100-დან 300 ლარამდე ოდენობის თანხით. აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა დაჯარიმდება 500 ლარის ოდენობით.

უშუალოდ ზარის ინიციატორის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება შემდეგი კანონდარღვევების შემთხვევაში:

1.14 წლის ზევით მოზარდის მიერ „112“-ზე ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების განხორციელება ისჯება გამოსასწორებელი სამუშაო ვადით 1-დან 2 წლამდე ან 2-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა, გარემოებათა გათვალისწინებით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით 5– დან 7 წლამდე.

2. 16 წლის ზევით პიროვნება „112“-ზე არამიზნობრივი ზარის სისტემატურად განხორციელებისათვის დაისჯება 300 ლარის ოდენობით. 1 წლის განმავლობაში აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებით ჩამდენი პირი დაჯარიმდება 400 ლარის ოდენობით. ასევე, 16 წლის ზევით პიროვნება ცრუ ზარის განხორციელების შემთხვევაში დაჯარიმდება 500 ლარის ოდენობით. 1 წლის განმავლობაში აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებით ჩამდენი პირი დაჯარიმდება 1000 ლარით ან დაისჯება 15 დღე ღამემდე ვადით ადმინისტრაციული პატიმრობით.

ცრუ შეტყობინების მიწოდების შემთხვევაში მოქალაქეს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ „112“-ზე შეტყობინების განხორციელების მიზეზი მის მიერ გარემოებათა არასწორი, სუბიექტური შეფასებაა, როდესაც ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, პირმა შეიძლება ივარაუდოს გადაუდებელი დახმარების აუცილებლობა.

ნიუსპრესი

## გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაციის გაცემა მისი თანხმობის გარეშე დაუშვებელია“

„დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“ საგადასახადო კოდექსში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით, პარლამენტს მოუწოდებს გონივრულად მიუდგეს საკითხს და არ მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც კიდევ ერთი უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება ქვეყნის განვითარების გზაზე.

როგორც პარტიაში აცხადებენ, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ ინიცირებული კანონპროექტი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა საგაზაფხულო სესიაზე უნდა განიხილოს ეხება უმნიშვნელოვანეს საკითხს საგადასახადო საიდუმლოებასთან დაკავშირებით.

როგორც „დემოკრატიული მოძრაობა“ განმარტავს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლი ცალსახად განსაზღვრავს იმ პირთა და გარემოებათა წრეს, ვისთვისაც და კონკრეტულად რა შემთხვევებშია დასაშვები საგადასახადო ინფორმაციის მიწოდება ამა თუ იმ პიროვნებისა თუ ორგანიზაციის შესახებ.

„ინფორმაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა თუ სახელმწიფო დაწესებულებათა (სამინისტროები) წრის ზრდა, სხვა არაფერია თუ არა დღევანდელი ხელისუფლების მცდელობა განუზომლად გაზარდოს საკუთარი გავლენის სფეროები“ — აცხდებს პარტია და განმარტავს, რომ ცვლილებების პროექტის თანახმად, საგადასახდო ორგანოს უფლება ეძლევა, გადასახადის გადამხდელის შესახებ საგადასახადო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია სასამართლოს გადაწყვეტილების ან გადასახადის გადამხდელის თანხმობის გარეშე გადასცეს მთავრობას, ყველა სამინისტროს, სამართალდამცავ ორგანოს, სახალხო დამცველს, და სხვა.

„დემოკრატიული მოძრაობა“ აცხადებს, რომ ყოვლად დაუშვებელია, გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაციის გადაცემა თავად მისი თანხმობის გარეშე, ან/და სასამართლოს გადაწყვეტილების არ არსებობისას. კონფიდენციალური ინფორმაციის დაუცველობის ასეთი ფაქტი ეწინააღმდეგება, არა მხოლოდ საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, არამედ დემოკრატიულ და სამართლებრივ პრინციპებს, რაც საერთაშორისო სტანდარტებითაა დაცული და ნებისმიერი სამართლებრივი სახელმწიფოს მოვალეობაა.

ამასთან, პარტიის განმარტებით, ასევე, ბუნდოვანია ისეთი გარემოების დათქმა პირობის სახით, როგორიცაა „კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება“, რადგან ეს ზოგადი დებულება მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

„დემოკრატიული მოძრაობა“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოქმედი ხელისუფლების მიერ საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება ყოვლად მიუღებელია. იგი მიიჩნევს, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის დაუცველობის საფრთხის გაჩენის გარდა, სერიოზულად კნინდება სასამართლოს როლი, რის ხარჯზეც საქართველოს მთავრობას ყოველგვარი შეზღუდვისა და დამცავი ბერკეტების გარეშე ეძლევა საშუალება მოიპოვოს ნებისმიერი ინფორმაცია ნებისმიერ პირსა თუ ორგანიზაციაზე .

ნიუსპრესი

# ასტროლოგიური პროგნოზი აღმოსავლური კალენდრის ზოდიაქოს ნიშანთათვის

ეკა ირემაშვილი

ასტროლოგიურ პროგნოზს აღმოსავლური კალენდრის ზოდიაქოს ნიშანთათვის მიხეილ ცაგარელი მიმოიხილავს:

**ვირთხა** (...1948, 60, 72, 84, 96...) – ვირთხის წელიწადში დაბადებული ადამიანები წელს მეტად ყურადღებიანი უნდა იყვნენ. გეგმები სწრაფად შეიცვლება, საკმაოდ დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ, რათა ყველაფერი ახლებურად და თავიდან დაიწყოთ. წელს შესაძლებელია აღმოჩნდეთ ბიზნესსაქმიანობაში წარმატების წინაშე. განსაკუთრებით მაისიდან, ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ დაუშვით შეცდომა სტრატეგიის არჩევისას. ხშირად გაიხსენეთ თქმულება „კარგ პატრონს არა ჰყავს ცუდი ცხენი", ამიტომ ეცადეთ, გამოიყენოთ ნებისმიერი სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ. წელს შესაძლებელი იქნება მეტად სასარგებლო ნაცნობობის ჩამოყალიბება და მოლაპარაკების კარგად წარმართვა. ცხენის წელიწადი ხელს შეუწყობს თქვენი სასიყვარულო კავშირების გაუმჯობესებას. ახალი ნაცნობობა იშვიათ შემთხვევაში მოგიტანთ სიხარულს, მხოლოდ მაშინ, თუ ეს ნამდვილად თქვენი ბედი იყო. წელს დიდი როლი ეკისრებათ თქვენს ცხოვრებაში ოჯახს და მეგობრებს, ამიტომაც ეცადეთ მათ სათანადო დრო და ყურადღება დაუთმოთ, მაშინ ნებისმიერ დროს მიიღებთ მათგან დახმარებას და მხარდაჭერას. სხვა ნიშნებისგან განსხვავებით, თქვენ ცხენის სიჩქარით ნუ იცხოვრებთ, ეს ზედმეტად გადაგტვირთავთ, რის შედეგად შეცდომების ალბათობა მოიმატებს. წელს თქვენ იწყებთ ახალ ექვსწლიან განვითარების ციკლს, ამიტომ ნუ ჩაერთვებით ნაკლებად პერსპექტიულ პროექტებში. წლის პირველ ნახევარში მაღალია სასამართლო პროცესების, პარტნიორული კონფლიქტების, საკუთარი პოზიციის დაცვის ალბათობა, წლის მეორე ნახევარი ყოველმხრივ უფრო პერსპექტიულია.

**ხარი** (კამეჩი) (...1949, 61, 73, 85, 97...) – ცხენის სიჩქარე და მისი ცვალებადობა ნამდვილად არ შეესაბამება დინჯ და შრომისუნარიან ხარის ხასიათს. საკმაოდ ბევრ დროს და ენერგიას წაიღებენ პირადი ურთიერთობები, საოჯახო და მეგობრული კონტაქტები. მაქსიმალურად ეცადეთ მათთან გამოხატოთ თქვენი კეთილგანწყობა და სიყვარული, ცხენს ეს მოეწონება და მიიღებთ მისგან კარგ ცხოვრებისეულ საჩუქარს. თქვენ წელს უნდა დაიცვათ ახლობელთა სიმშვიდე. მათ უნდა იგრძნონ თქვენი მხარდაჭერა. ურთიერთნდობა წელს ორივე მხარეს ძალიან დასჭირდება. ხარი წელს არ უნდა განმარტოვდეს, არ უნდა დარჩეს მარტოსული, რასაც შეიძლება მოჰყვეს ნერვული სტრესი, ენერგოტონუსის და განწყობის დაკარგვა. მთავარია, წელს არ დაკარგოთ თვითრწმენა, არ აჩქარდეთ დეპრესიაში და შიშის მდგომარეობაში. ცვლილებებმა სამსახურში, შეიძლება ძალიან დაგძაბონ. წელს მოგიხდებათ ბევრი მუშაობა, დღის განრიგის წესის დაცვა, დისციპლინის გამოვლენა და ვალდებულებების შესრულება. ეს წელიწადი სასიკეთოა ახალი სასიყვარულო ურთიერთობებისა და ოჯახის შესაქმნელად. წლის პირველი ნახევარი უფრო რთული და დისკომფორტულია თქვენთვის, რთულდება ცვლილებებისადმი ადაპტაცია, მოიმატებს კონფლიქტების ალბათობა, შესაძლებელია ჯანმრთელობის პრობლემებმაც იჩინონ თავი. წლის მეორე ნახევარი უფრო პოზიტიურია, იგი ხელს შეუწყობს სასიკეთო ცხოვრებისეულ ცვლილებებს.

**ვეფხვი** (...1950, 62, 74, 86, 98...) – ვეფხვს ცხენთან მთლიანობაში კარგი ურთიერთობები აქვს, ამიტომაც წელიწადიც მეტად სასიკეთოა. ცხენის ენერგია, წელს მოგცემთ ახალ შემოქმედებით იმპულსს, რაც ხელს შეუწყობს ახალი გრძელვადიანი პროექტების დაწყებას. კარგად წარმოაჩენთ თქვენს შესაძლებლობებს სამსახურში, იზრუნეთ საკუთარი კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის კიდევ უფრო მეტად ამაღლებაზე, რაც ხელს შეუწყობს მაღალი თანამდებობისა და ხელფასის მიღებას. ენერგიის სიჭარბე, რომლითაც დაგაჯილდოებთ ცხენის წელიწადი, ფრიად დაგეხმარებათ კარიერაში, ბიზნესში, თუმცა შესაძლებელია პრობლემები შექმნას მან საოჯახო ურთიერთობებში. ამ სფეროში მოგიხდებათ მეტი სიფრთხილისა და თავდაჭერის გამოვლენა, რათა საქმე არ დასრულდეს დაშორებით. ეს ფრიად არასასურველი სცენარია ამ წლისა, რადგან პირადი ურთიერთობების დაშლას მოჰყვება სერიოზული პრობლემები კარიერაში და სხვა პერსპექტიულ პროექტებში. თუ თქვენ სრული ენთუზიაზმით გადაეშვებით საქმეებში, რათა ამით მიაღწიოთ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას თქვენი ოჯახის, ეს ყოველივე მთლიანობაში ყოველმხრივ გაზრდის ცხოვრებისეულ წარმატებებს. მეტი ყურადღება უნდა დაუთმოთ ჯანმრთელობას. მოიწესრიგეთ კვების რეჟიმი, ან დააწესეთ სწორი ფორმა დიეტისა, მოერიდეთ ფასტფუდებს და სხვა ქიმიური ნაერთების შემცველ საკვებს და სასმელს. წელს თქვენ მაქსიმალურად უნდა აყვეთ ცხენის მიერ შემოთავაზებულ სწრაფ ტემპს, ამიტომაც აუცილებელია ჯანმრთელობის სტაბილურობა, რათა არ დაკარგოთ წლის მასპინძლის კეთილგანწყობა. წლის მეორე ნახევარი განსაკუთრებით პოზიტიურია და წარმატებულია. პარტნიორული ცვლილებების, ლიდერული თვისებების გამოვლენის წელიწადია. წლის პირველი ნახევარი ხელს შეუწყობს ინვესტორების მოზიდვას. კარგი წელიწადია ქორწინებისთვის, ადგილსამყოფლის შესაცვლელად, შვილების გასაჩენად.

**კატა** (კურდღელი) (...1951, 63, 75, 87, 99...) – წინასწარგანუსაზღვრელი მოვლენების წელიწადია, რომელიც არაერთ საინტერესო ცხოვრებისეულ ცვლილებებთან იქნება დაკავშირებული. მეტი ყურადღება უნდა დაუთმოთ ოჯახს, მშობლებს, უძრავ ქონებას, საგვარეულო საკითხებს. სწორედ საგვარეულო კავშირებიდან და ურთიერთობებიდან თქვენ მიიღებთ იმ ენერგიას, რომელიც საჭირო იქნება თქვენი შემდგომი განვითარებისთვის. ეცადეთ გააუმჯობესოთ საოჯახო ურთიერთობები, დაეხმაროთ ახლობლებს, გადაწყვიტოთ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული და გადადებული საკითხები. ადრე ამ საკითხებს არ აქცევდით სათანადო ყურადღებას, მოვიდა დრო ამ საკითხების გადაწყვეტისა. ამასთანავე სიფრთხილე გმართებთ, რათა არ აღმოჩნდეთ ავანტიურისტი და მატყუარა ადამიანების წინაშე. რამდენჯერმე გადაამოწმეთ საბუთები. მოერიდეთ წელს საეჭვო კაპიტალდაბანდებებს, შესაძლებელია ყველაფერი დაკარგოთ. მშვიდი, სტაბილური ცხოვრება გარანტირებული გაქვთ, ამიტომ ნუ ეძებთ განსაკუთრებულ შემოსავლებს. კარგი წელიწადია საოჯახო და სასიყვარულო ურთიერთობებისთვის. საოჯახო ცხოვრება ჰარმონიულად წარიმართება, შეიძლება მისი გახალისება რაიმე სიურპრიზით, თუნდაც სასიამოვნო მოგზაურობით. ცხენი ითხოვს წელს კატისგან სწრაფი აღმასვლის დაწყებას კარიერასა და შემოქმედებით სფეროში. ნუ შეგეშინდებათ ცვლილებების, აქტიურად იმოქმედეთ, გამოიყენეთ ძველი კავშირები, შესაძლებელი იქნება მაღალი თანამდებობის დაკავება, უძრავი ქონების შეძენა. ჩააბარეთ 2013 გველის მიძინებული პერიოდი წარსულს, გამოცოცხლდით, იაქტიურეთ და მიაღწიეთ წარმატებებს.

**დრაკონი** (...1940, 52, 64, 76, 88, 2000...) – დრაკონი ცეცხლოვანი ძმაა ცხენისა, ამიტომაც წელს ფორტუნა თქვენსკენ შემოტრიალდება, ცხენი ამაზე იზრუნებს. თუმცა მოჭარბებულმა ენერგიამ, შესაძლებელია გარკვეული პრობლემებიც წარმოშვას, მოიმატებს ტრავმების ალბათობა. შესაბამისად ეცადეთ მაქსიმალურად აკონტროლოთ თქვენი ემოციები, აგრესია. მეტად ივარჯიშეთ, მოდუნდით, მათ შორის იოგა სისტემის გამოყენებით, რითაც ცოტა ჩააქრობთ თქვენში ზედმეტად აალებულ ცეცხლოვან ენერგიას, კარგია ამ მხრივ წყლის პროცედურების, ცურვის გამოყენება. ნუ იქნებით სულსწრაფი, კარგად გაიაზრეთ თქვენი იდეები, ნუ ჩააქრობთ რათა ამით პრობლემები არ დაიბევოთ როგორც სახლში, ასევე სამსახურში. ნუ გეშინიათ თქვენ მაინც არ ჩამორჩებით სწრაფად მორბენალ ცხენს. მეტად დაუგდეთ ყური სანდო მეგობრების რჩევებს. უფრო მეტიც, კარგი იქნება ასეთ მეგობრებთან, საერთოდ საქმის დაწყება, ორგანიზაციის ჩამოყალიბება, ეს წელიწადი ამის საშუალებას გაძლევთ. ოჯახის მქონე დრაკონებს წელს არავითარი წყალქვეშა დინებები არ ემუქრებიან. თუმცა ყურადღებას ნუ მოაკლებთ თქვენს პარტნიორს, მათ შორის საჩუქრების მეშვეობითაც. მარტოხელა დრაკონებს კი ყურადღება მართებთ, ცხენმა შესაძლებელია ზედმეტად გააფართოოს თქვენი ნაცნობთა წრე, ამიტომ თქვენი გართობის მიზნით იგი ამ წრეში ყველას, მათ შორის საეჭვო რეპუტაციის ადამიანებსაც შემოიყვანს, რამაც შეიძლება შემდგომ გაუგებრობები და სასიყვარულო კაზუსები გამოიწვიოს. ეს ერთგვარი, თქვენთვის განახლების წელიწადია, რომლის მეორე ნახევარი უფრო ეფექტური და წარმატებულია კარიერული წინსვლისა და მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, კომფორტული გარემოს მოსაწყობად.




**გველი** (...1941, 53, 65, 77, 89, 2001...) – ბრძენი გველი სარფიან შესაძლებლობებს გამონახავს ნებისმიერ სიტუაციაში, თუმცა წელს მას მეტად გაუჭირდება. ცხენის ტემპი, აშკარად დისკომფორტულია მისთვის. გველს დასჭირდება სერიოზულად ლავირება სიტუაციებში, რათა ბედის ბორბლის ქვეშ არ მოყვეს იგი. წელს თქვენი სუსტი წერტილი უკავშირდება ჯანმრთელობას როგორც ფიზიკურ, ასევე სულიერ ასპექტებს. უმჯობესია წელს ზედმეტად არ იაქტიუროთ და წინა პლანზე არ აღმოჩნდეთ. მეტი დრო დაუთმეთ საოჯახო საქმეებს, განაახლეთ და გაალამაზეთ თქვენი სახლი, მოაწყვეთ კომფორტი, ფინანსური მდგომარეობა ამის საშუალებას მოგცემთ. ეცადეთ სახლიდან არ გაიტანოთ თქვენი ფული, იდეები, ენერგია, რათა სულიერი სიმშვიდე არ დაკარგოთ. უმჯობესია დააგროვოთ ძალები შემდგომი წლისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს თქვენს შემდგომ გამარჯვებებს, წელს კი მეტი დრო დაუთმეთ თვითშემეცნებას, ფილოსოფიას, გააზრებას მოვლენებისა. ეს წელიწადი ხელს შეუწყობს საოჯახო ურთიერთობების მოწესრიგებას და გამაგრებას, შვილებთან მეტი ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას. ცხენის წელიწადში ძირითად წყაროს თქვენი ენერგიისა წარმოადგენს საგვარეულო, ამიტომ გააძლიერეთ ეს ენერგოწყარო ახლობლებთან კონტაქტით, მათი დახმარებით. ზედმეტ ეკონომიასაც თავი დაანებეთ, ცხენს არ უყვარს ძუნწი ადამიანები. წლის პირველ ნახევარში მოერიდეთ ზედმეტად ემოციურ და სულსწრაფ გადაწყვეტილებებს, რადგან ამ პერიოდში წინადადების უმრავლესობა შემდგომ არარეალური და პრობლემური აღმოჩნდება. წლის მეორე ნახევარში მოიმატებს თქვენში თვითრწმენა და იღბლიანობის ელემენტი. კარგი წელიწადია შვილების გასაჩენად, ახალი ოჯახის შესაქმნელად, წლის მეორე ნახევარში ბიზნესის გასაფართოებლად.

**ცხენი** (...1942, 54, 66, 78, 90, 2002...) – ცხენის წელიწადის მთავარი ფავორიტი ცხენია. წინა წელიწადში გადადებული საქმეები და პროექტები განხორციელდება წელს. მთელი თქვენი ენერგია უნდა ჩადოთ შემოქმედებითი იდეების რეალიზაციაში, ახალი საინფორმაციო ველის ათვისებაში, საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. ცხენი წელს ფრიად კრეატიული იქნება, მოიმატებს თქვენი თაყვანისმცემლების რაოდენობა. წელს შეგიძლიათ, სწრაფად და ეფექტურად ინავარდოთ, თუმცა დასვენებას ნუ დაივიწყებთ, თორემ ფინიშთან პირველი ვილაც სხვა მივა. ცხენი ყოველთვის ფაქიზად ეპყრობა საოჯაო საკითხებს, წელს შესაძლებელი იქნება საოჯახო, სანათესაო ურთიერთობების კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესება. ახლობლები მხარს დაუჭერენ თქვენს წამოწყებებს, თუმცა ეს მათთვის ადვილი არ იქნება. არ დაგავიწყდეთ, მათთვის მადლობის გადახდა. სიტყვით, გამოხედვით, კოცნით. დაუქორწინებელი ცხენებისთვის საუკეთესო დროა გაცნობისთვის, საქორწინო-სასიყვარულო კონტაქტებისთვის. ეს წელიწადი სასიკეთოა კარიერული განვითარებისთვის, განსაკუთრებით თუ მეტ ყურადღებას გამოავლენთ კოლეგების, პარტნიორების, ხელმძღვანელების მიმართ. თქვენი უნარი მოსმენისა და მოყოლისა ფრიად გაზრდის თქვენს პოპულარობას, მეტად მოთხოვნადი იქნებით. გამოავლინეთ სრულად თქვენი ნიჭი და უნარი, რათა ყველა იყოს აღფრთოვანებული გრაციოზული და სწრაფი სირბილით წარმატებული ცხენისა. წელს თქვენ იწყებთ ახალ ოთხ, ექვს და თორმეტიან განვითარების ეტაპებს. წლის პირველ ნახევარში, განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე განახორციელებთ თქვენს გეგმებს, წლის მეორე ნახევარში მეტად აკონტროლეთ ემოციები, ნუ გაახმაურებთ ინფორმაციას თქვენი გეგმების შესახებ. წლის ბოლოს სანამ მიიღებთ გადაწყვეტილებებს, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონეთ.

**თხა** (ცხვარი) (...1943, 55, 67, 79, 91, 2003...) – თქვენთვის ეს ცვლილებების წელიწადია, მოემზადეთ მძიმე სამუშაოს შესასრულებლად, მათ შორის საკუთარ თავთან მიმართებაში. ნუ შეგეშინდებათ ფულის დახარჯვისა სასარგებლო საყიდლებზე. შემოქმედებითი კუთხით კი მეტად დაეყრდენით ინტუიციას, მხოლოდ გამოცდილებაზე დაყრდნობა არ იქნება საკმარისი. ეს არის წელიწადი ძიებისა და მოპოვებისა, მათ შორის ახალი გამოცდილებისა. შესაძლებელია მოგიხდეთ სამსახურის შეცვლა, ძველა სამსახურა შესაძლებელია აღარ დაგაკმაყოფილოთ, რადგან იგი აღარ უწყობს ხელს თქვენს განვითარებას არც პროფესიონალურს და არც პირადულს. ქორწინება ის სფეროა, რომელიც წელს არ უნდა შეიცვალოს ან დაინგრეს. ახლობლებმა დელიკატურად უნდა მიიღონ ცვლილებები თქვენს ცხოვრებაში. რთულია იმის განსაზღვრა თუ სად მიგიყვანთ წელს სულიერი ძიება, ცნობილია მხოლოდ ის, რომ ძველ დონეზე იგი აღარ დარჩება. წლის პირველი ნახევარი უფრო რთულია, შეიძლება აღმოჩნდეთ კრიტიკის ან ინტრიგების ობიექტი. ეცადეთ თქვენს გეგმებში ჩართოთ ახალი პარტნიორები. წლის მეორე ნახევარში მოიმატებს თქვენი შარმი და სექსუალურობა, წარმატების შესაძლებლობა.

**მაიმუნი** (...1944, 56, 68, 80, 92, 2004...) – მაიმუნი მაინცდამაინც არ მოსწონს ცხენს მისი გამუდმებული მაიმუნობის გამო. თუმცა თქვენ გაქვთ ის თვისებებიც, რომლითაც მოხიბლავთ წლის მასპინძელს, ეს არის ოპტიმიზმი, გონებამახვილობა და უნარი ცვალებადი სიტუაციებისადმი მისადაგებისა. თქვენ მიიღებთ არაერთ სასარგებლო ცხოვრებისეულ გაკვეთილებს. წელს მოვლენები ორმაგი დინამიკურობით წარიმართება. თუმცა თქვენ ხშირად შეძლებთ სიტუაციების თქვენს სასარგებლოდ შემოტრიალებას. წელს გელოდებათ ბევრი საინტერესო ნაცნობობა, ადამიანები სათანადოდ შეაფასებენ თქვენს შემოქმედებით პოტენციალს. ნუ გამოავლენთ წელს ზედმეტად უყაირათობას, რაც მხოლოდ პრობლემების მომტანი იქნება. გაუფრთხილდით თქვენს ფინანსებს და შინაგან ენერგიას, ტყუილუბრალოდ ნუ დახარჯავთ ემოციებს. ცხენის წელიწადი კარგია იმისთვის, რომ მეტი დრო დაუთმოთ თქვენს ჯანმრთელობას, რადგან ჯანმრთელობის პრობლემები, რომლებსაც წინა წლებში არ აქცევდით ყურადღებას, შესაძლებელია, წელს მეტად გამძარფდეს. საერთო ჯამში კი ამ წელიწადს ექნება სასიკეთო შესაძლებლობებიც. სირთულეებს წლის პირველ ნახევარში ადვილად გადალახავთ. ეცადეთ, სტაბილურობა შეინარჩუნოთ პარტნიორულ, სასიყვარულო ურთიერთობებში. მოერიდეთ სარისკო და ავანტიურულ მოქმედებს, რათა პრობლემები არ წარმოქმნათ სახლში და სამსახურში. წლის მეორე ნახევარში ყველაფერში მეტი თავდაჭერა გმართებთ, განსაკუთრებით პარტნიორულ ურთიერთობებში. ცხენი ხელს შეუწყობს თქვენს კონტაქტებს, მოგზაურობას, ახალი შთაბეჭდილების მიღებას, თუმცა ყურადღება არ მოადუნოთ სასიყვარულო პარტნიორებსა და ახლობლებთან მიმართებაში.

**მამალი** (...1945, 57, 69, 81, 93, 2005...) – ცხენის წელიწადში მამლებს უხდებათ უფრო მეტი მუშაობა, ვიდრე მათ ეს თავდაპირველად ეგონათ, განსაკუთრებით ეს მოსალოდნელია წლის პირველ ნახევარში. კარგი წელიწადია სულიერი განვითარებისთვის და ურთიერთობების გასამყარებლად, საინტერესო აღმოჩენებისთვის. თქვენში მოიმატებს თვითრწმენა. ადამიანები იქნებიან აღფრთოვანებულნი თქვენი მიზანსწრაფვით, კეთილსინდისიერებით, ორგანიზატორული მონაცემებით და უნარით. მაქსიმალურად მოერიდეთ კონფლიქტს ხელმძღვანელებთან და გავლენიან პირებთან. გადამეტებული აქტიურობა და საკუთარი შესაძლებლობების გადაფასება საქმიან სფეროში პრობლემებს წარმოქმნის. აკონტროლეთ ფულის ხარჯი, რომელიც წელს მოიმატებს. ნუ იჩქარებთ ახალი საქმის დაწყებას, ამ შემთხვევაში იგი ფინანსურ წარმატებას არ მოგიტანთ. ასეთ დროს უმჯობესია, მოიცადოთ, სიტუაცია თავისით გამოსწორდება. საოჯახო ურთიერთობებში გელით კარგი ამბები, შესაძლებელია შვილების ან შვილიშვილების გაჩენა, სიურპრიზის ფორმით შესაძლებელია მიიღოთ მოულოდნელი დახმარება შორეული ნათესავებისგან. მარტოხელა მამლის ნიშნით დაბადებულთათვის ეს წელიწადი კარგია მხოლოდ ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად, ქორწინება უმჯობესია 2015 წლისთვის გადაიტანოთ. წლის პირველ ნახევარში შესაძლებელია ცვლილებები თქვენ ირგვლივ მყოფ ადამიანთა წრეში. წინსვლისთვის აუცილებლად გესაჭიროებათ საიმედო პარტნიორების მოძებნა, რომლებიც კომპეტენტურობით გამოირჩევიან. წლის მეორე ნახევარში უფრო კომფორტულად იგრძნობთ თავს, უფრო გაერკვევით გეგმებში. წლის ბოლოს აშკარად გააუმჯობესებთ ცხოვრების ხარისხს.

**ძაღლი** (...1946, 58, 70, 82, 94, 2006...) – კარგი წელიწადია ძაღლის ნიშნით დაბადებულთათვის. სასიკეთო ურთიერთობების, საოჯახო სიხარულის, შემოქმედებითი წარმატებების წელიწადია. საქმიან საკითხებში გამოავლინეთ მაქსიმალური ყურადღება, რათა ბუნებრივმა თქვენმა მიმნდობმა ხასიათმა უანგარობაში არ შეგიქმნათ პრობლემები. მოერიდეთ ფინანსურ კაპიტალდაბანდებებს, ეს წელიწადი მაინცდამაინც განსაკუთრებული ფინანსური წარმატებებით ვერ დაიკვეხნის, იმედი გქონდეთ მხოლოდ სტაბილური შემოსავლისა დაგვიანებების გარეშე. კარიერული წინსვლისთვის კი საჭირო იქნება ჩვეულებრივზე მეტი სამუშაოს ჩატარება. ნუ შეგეშინდებათ გადაღლის, თქვენი დახარჯული ენერგია წელს სწრაფად აღდგება, შრომითი გმირობები კი საგრძნობლად გაზრდიან ფინანსურ დივიდენდებს. წელს კოლეგები მეტად მხარს დაუჭერენ თქვენს ლიდერულ და ორგანიზატორულ პრეტენზიებს. მეტი დრო გაატარეთ მეგობრებთან, ისინი დაგეხმარებიან რთულ პერიოდებში, თქვენ კი არაერთხელ დარწმუნდებით მათ ერთგულებაში. სასიყვარულო ფრონტზე მოსალოდნელია სპონტანური ურთიერთობების ჩამოყალიბება, თუმცა ამ ურთიერთობებმა შეიძლება ყველაზე მეტად დაგღალოთ და გამოგფიტოთ, ამიტომ მოერიდეთ საეჭვო სასიყვარულო თავგადასავლებს. წლის პირველი ნახევარი მეტად დინამიურ ელფერს შეიძენს და ხელს შეუწყობს ახალი იდეების რეალიზაციას და პროფესიონალურ წინსვლას, ნათესავთა ცუდმა ამბებმა ან ავადმყოფობებმა გარკვეულწილად შესაძლებელია დაჩრდილოს ამ წარმატებებისგან მიღებული სიხარული. წლის მეორე ნახევარი ხელს შეუწყობს მოგზაურობას და სოციალური თუ ფინანსური სტატუსის გაუმჯობესებას.

**ტახი** (ღორი) (...1947, 59, 71, 83, 95, 2007...) – ტახის ზოდიაქო წელს უფრო წარმატებული იქნება. პირველ რიგში ყურადღების ფოკუსშია ოჯახი. საგრძნობლად გაუმჯობესდებიან აქ ურთიერთობები, რაც შეცვლის თქვენს კარიერას და მსოფლმხედველობას. ბევრი რამ წელს იქნება დამოკიდებული საყვარელ ადამიანზე, მათ შორის სამსახურშიც. არ არის გამორიცხული ისიც, რომ ცვლილებები პროფესიონალური კუთხით დაკავშირებული იქნება პარტნიორის ინიციატივასთან. დაუგდეთ ყური თქვენს პარტნიორს, მეტად მიაღწევთ წარმატებებს. ფინანსური წარმატება წელს მეტად მოაქვს საოჯახო ბიზნესს. უარს ნუ იტყვით შორეულ ნათესავთა მატერიალურ დახმარებაზე, თუ ასეთ წინადადებას მიიღებთ. საქმე არა მარტო ფულშია, არამედ სურვილში საგვარეულო წევრების გაერთიანებისა. ნუ დაგავიწყდებათ ჯანმრთელობაც, დაიცავით დღის რეჟიმი, სწორად იკვებეთ, ნუ გადაიტვირთებით. წლის დასაწყისში მოერიდეთ სარისკო წინადადებებს, ადგილსამყოფლის შეცვლას, სპეკულაციებს, მკვეთრ ცვლილებებს ურთიერთობებისა კოლეგებთან და ხელმძღვანელებთან. მოერიდეთ ინვესტიციების დაბანდებას და უყაირათოდ ფულის ხარჯვას, მსხვილი საყიდლების გაკეთებას, რადგან ფული განსაკუთრებით დაგჭირდებათ წლის მეორე ნახევარში უფრო მნიშვნელოვანი გეგმებისთვის. წლის მეორე ნახევარი მეტად უწყობს ხელს ბიზნესს, კარიერის განვითარებას, სასიყვარულო ურთიერთობებს, ფინანსურ და ცხოვრებისეულ წარმატებებს.

# 2013 წლის 10 საუკეთესო საჩოგბურთო მატჩი

**საჩოგბურთო 2014 წელი ავსტრალიის ღია პირველობით დაიწყო. მწვანე კონტინენტზე ჯერ საკვალიფიკაციო ბრძოლებია და სანამ სპორტსმენები ახალი სეზონისთვის 'ხურდებიან~, მანამდე, მოდით, გადავავლოთ თვალი გასული სეზონის 10 საუკეთესო საჩოგბურთო მატჩს.**



**ავსტრალიის ღია პირველობის მე-4 რაუნდი**

ნოვაკ ჯოკოვიჩი ამარცხებს სტანსილას ვავრინკას 1:6; 7:5; 6:4; 6:7; 12:10

ეს მარათონული შეხვედრა 5 საათსა და 2 წუთს გაგრძელდა. ნოვაკ ჯოკოვიჩმა მაინც აჯობა შვეიცარიელს, რომელმაც მატჩის შემდგომ მისი მდგომარეობა ასე დაახასიათა – ვიბრძოლე, როგორც ძაღლმა. ეს იყო ხარისხისა და მაღალი კლასის 5-საათიანი სიამოვნება ჩოგბურთის მოყვარული ყველა ადამიანისთვის. ბოლო გათამაშებული ქულის შემდეგ, სერბმა მაისური შემოიხია იმის დასამტკიცებლად, რომ მასში გლადიატორის სისხლი ჩქეფს. 1 კვირის შემდეგ ჯოკოვიჩმა ფინალიც მოიგო და მე-6 დიდი სლემის ტურნირის დაეუფლა, ხოლო მე-4 „ავსტრალიის ღია პირველობას". სტენმა კი განვითარება განაგრძო და მისთვის 2013 წელი კარიერაში საუკეთესო აღმოჩნდა.

– ჩემი კარიერის საუკეთესო შეხვედრა ვითამაშე, განსაკუთრებით მე-5 სეტში, – ამბობს შვეიცარიელი.

2-2 მოგებული სეტის შემდეგ, ნამდვილი დრამა დაიწყო, მე-5 სეტი 104 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა. ვავრინკას 4 ბრეიკ პოინტიც კი ჰქონდა გადამწყვეტ სეტში, როცა 4:3 იყო წინ, მერე ნოვაკს ჰქონდა 2 მატჩპოინტი 22-ე გეიმში. ყველაფერი კი ნოვაკის ჩაწოდებით დასრულდა. მატჩპოინტი მთლიანი შეხვედრის დრამატული გათამაშება იყო, სერბი ბოლო ძალებით გასრიალდა და კიდევ უფრო დაღლილ ვავრინკას ბექჰენდიდან შემოატარა ბურთი.

– ნამდვილად უმაღლესი დონის მატჩი იყო. ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი, საინტერესო, დაძაბული და ამაღელვებელი მატჩი ვითამაშე. რა შესანიშნავი შეხვედრა იყო, დაუჯერებელია, – ვერ ფარავდა ნამატჩევს სერბი აღფრთოვანებას.

**საფრანგეთის ღია პირველობის ნახევარფინალი**

რაფაელ ნადალი ამარცხებს ნოვაკ ჯოკოვიჩს 6:4; 3:6; 6:1; 6:7; 9:7

ეს ნახევრფინალური შეხვედრა „საფრანგეთის ღია პირველობაზე" სინამდვილეში ფინალი იყო. ნოვაკ ჯოკოვიჩს სურდა, 1-ლი ჩოგბურთელი გამხდარიყო 20 წლის განმავლობაში, ვინც წლის საწყისი სლემები მოიგო, თან კარიერული სლემის შესრულებას მოახერხებდა. თავის მხრივ, რაფაელ ნადალს მე-8 მოგებით რეკორდის დამყარება სურდა „როლან გაროსის" კორტებზე. ორივე მათგანმა საშუალო სირთულის გზა გაიარეს ნახევარფინალამდე.

ერთმანეთის წინააღმდეგ შეხვედრაში ტიტანებს არასოდეს გაუცრუებიათ მაყურებლის მოლოდინი. თითქმის 5-საათიანმა შეხვედრამ თავად ჯონ მაკინროიც კი მონუსხა, რომელმაც აღიარა, რომ საუკეთესო სათიხნარო შეხვედრის მოწმე გახდა. თითქოს ყველაფერი მარტივი იყო ესპანელისთვის, რომელიც მე-4 სეტსაც კი იგებდა, მაგრამ ნოვაკი რისი ტიტანი იქნებოდა, ბრძოლის გარეშე გადაეცა ფინალის საგზური მეტოქისთვის. უცბად შეიცვალა სიტუაცია და იდეალური ტაიბრეიკის საშუალებით მოიგო კიდეც მე-4 სეტი.

მე-5 სეტსაც სწორედ სერბი იგებდა მანამ, სანამ ერთ-ერთი გათამაშებისას ბადეს შეეხებოდა და ქულას ნადალს მიანიჭებდა მსაჯი. საბოლოოდ 9:7. ეს იყო ლამაზი და ემოციურად დატვირთული შეხვედრა, რომელსაც არ დაუკარგავს ინტერესი დაწყების მომენტიდან დასრულებამდე.

– დაუჯერებელი შეხვედრა იყო და დიდი პატივია მასში მონაწილეობა, ერთადერთი, რასაც ვგრძნობ, იმედგაცრუებაა. სულ ეს არის, – განაცხადა სერბმა ჩოგბურთელმა.

**უიმბლდონის ნახევარფინალი**

საბინა ლისიცკი ამარცხებს აგნეშკა რადვანსკას 6:4; 2:6; 9:7

მადლობა საბინა ლისიცკის ჩინებული თამაშისთვის „უიმბლდონზე." ბალახის სეზონის ერთადერთი დიდი სლემის ტურნირის ბადე მე-2 კვირაში ხელზე გადაგვეშალა, ასპარეზობას თითქმის ყველა ფავორიტი გამოეთიშა, მათ შორის სერენა უილიამსი, რომელიც სწორედ საბინმა გაისტუმრა „პალმ ბიჩზე". ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოულოდნელობა. უმაღლესი განთესვით აგნეშკა რადვანსკაღა იყო დარჩენილი, რომელიც ზედიზედ მე-2 ფინალს უმიზნებდა.

არ იქნებოდა სამართლიანი მწარე დასასრულით. ცივი საბინა საჭირო დროს გახდა ცხელი და თავისი შემტევი ლამაზი ჩოგბურთით საოცრად მშვიდი აგნეშკა ააღელვა. რადვანსკა, რომელსაც უყვარს კომბინაციების დაწყობა და თავისი სტილის მეტოქისთვის მოხვევა, ამ ეტაპზე გაუმართლებელი აღმოჩნდა. საბინას ჰქონდა ის საოცარი მუხტი, რომელსაც ვერაფერი დაუპირისპირა პოლონელმა.

– კარგი უკვე გავაკეთე სერენას წინააღმდეგ და დღესაც შევძლებ იმავეს გამეორებას, მთავარია, კონცენტრაცია მოვიკრიბო. დიახ, სწორედ ეს სიტყვები შესძახა საკუთარ თავს საბინამ, რაც მოგვიანებით „ბიბისის" ჟურნალისტებს უამბო.

ლისიცკის 2 ცდა დასჭირდა მატჩის მოსაგებად. ბოლო ფორჰენდიდან დარტყმული მოგებული ქულის მერე ბალახზე დაეცა და მომენტით ტკბობას შეუდგა.

**ამერიკის ღია პირველობის ფინალი**

სერენა უილიამსი ამარცხებს ვიქტორია აზარენკას 7:5; 6:7; 6:1

როგორც სეზონმა გვაჩვენა, 2013 წელი სერენა უილიამსის იყო. თუმცა „ამერიკის ღია პირველობის" ფინალში მეტოქის მიერ ნაჩვენებმა საჩოგბურთო მატჩმა აჩვენა, რომ არც ვიკა იყო წლეულს უშანსოდ, მე-3 დიდი სლემი მოეგო. განსაკუთრებით საინტერესო მე-2 სეტი იყო.

მათ ზედიზედ მე-2 ფინალი ითამაშეს „ფლეშინგ მიდოუზე" და მანამ, სანამ სერენა ყველას და ყველაფერს ზედმეტი პრობლემების გარეშე იცილებდა, ამასობაში ვიკამ 2:1 დაწინაურება მოახერხა ამერიკელის წინააღმდეგ გამართულ შეხვედრებში, რომელიც 2013 წელს ჩაატარეს. თუმცა ვიკას ეს სლემზე არასოდეს გაუკეთებია, არადა, 7 ცდა ჰქონდა.

სერენამ, ჩვეულებისამებრ, კარგად დაიწყო და გამარჯვებასთან ახლოს იყო, ხომ იცით, როგორ პატარა ბავშვივით ხტუნავს ხოლმე. ჯერ იყო და 5:4-ზე არ ჩააწოდებინა მატჩზე, მერე 6:5-ზე და ტაიბრეიკზე გადაიყვანა მე-2 სეტი, რომელიც მოიგო კიდეც. როგორც 2012 წლის სეზონში, ამჯერადაც ბოლო სეტმა გამოავლინა გამარჯვებული.

მე-2 სეტი იყო ვიკას გამბედაობისა და მებრძოლი ხასიათის ნათელი მაგალითი და როგორც სეზონის განმავლობაში ვნახეთ, ის ერთადერთია ქალთა ტურში, ვისაც შეუძლია სერენას დიდებული დარტყმების მოგერიება და შეტევების განხორციელება. შესანიშნავი სანახავი იყო მათი ბრძოლა, მაგრამ ამერიკელმა მოახერხა აღელვებას გამკლავებოდა და ბოლომდე მიეყვანა თავისი დაწყებული შეტევები თითოეულ გათამაშებაში. სწორედ ასე მოიგო მეხუთედ „ამერიკის ღია პირველობის" ტურნირი და 17 დიდი სლემი დაუგროვდა.

შეიძლება ითქვას, ვიკასთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მატჩს, რადგან შეეძლო, საუკეთესოთა რიცხვში შესულიყო, მაგრამ გარემოებებმა და სერენას განვლილმა გზამ ამის საშუალება არ მისცა და კვლავ სერენაა საუკეთესო.

**ავსტრალიის ღია პირველობის ფინალი**

ვიქტორია აზარენკა ამარცხებს ნა ლის 4:6; 6:4; 6:3

ვინც ეს მატჩი ნახა, ალბათ, ახსოვს, რა დრამა მოჰყვა ვიკას სამედიცინო შესვენებას ნახევარფინალში სლონ სტივენსის წინააღმდეგ. საკმაოდ უცნაურად ჩანს, რომ ფინალში სწორედ მისმა მეტოქემ ჩინელმა ნა ლიმ გამოიყენა 2 სამედიცინო შესვენება. პირველ სეტში ლიმ გასაოცარი ჩოგბურთი აჩვენა და მოიგო კიდეც სეტი და როცა მე-2-ში ვიკამ ბრეიკი შეასრულა, ჩინელს ფეხი კოჭში გადაუბრუნდა. დრო დასჭირდა, სანამ ფეხს შეუხვევდნენ და თამაშის გაგრძელებას შეძლებდა.

ჩანს, მაყურებლის სიმპათია ლისკენ იხრებოდა, რაც ვიკამ აღნიშნა კიდეც და დასძინა, უარესსაც კი ველოდიო. უცნაურობამ პიკს მე-3 სეტში მიაღწია, როცა თამაში ავსტრალიის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ფეიერვერკის გამო 8 წუთით შეჩერდა. ლი კიდევ ერთხელ წაიქცა, ამჯერად თავი დაარტყა კორტზე და სამედიცინო შესვენებაზე შემოწმება ჩაუტარდა. ამდენი უცნაური გარემოებისა და ლის შესვენებების გამო თითქოს ვიკა უნდა მოშვებულიყო და სათამაშო ხარისხი დავარდნოდა, მაგრამ – პირიქით.

ამდენი საინტერესო შემთხვევისა და 16 გაკეთებული ბრეიკის წყალობით მართლაც ყველაზე უცნაური ფინალი გამოდგა დიდი სლემის ფინალებს შორის. ეს ვიკა იყო, ვინც თავისი მამაცობა გამოავლინა და გამარჯვება მოიპოვა. ლიმ ყველაფერი იღონა თავისი უიღბლობა დაემარცხებინა და დრამატული ღამე, რომელსაც ფონად მრავალფეროვანი საჩოგბურთო მატჩი გასდევდა მხოლოდ ფინალისტის რანგში დატოვა, სამწუხაროდ, ჭკუა არ ეყო, რომ ვიკას გასტოლებოდა.

– რომ არ წავქცეულიყავი, იქნებ სხვა ისტორია გამოსულიყო, ვერასოდეს გაიგებ, ფაქტი ერთია, ვეცემოდი და არაფერი იცვლებოდა, – ამბობდა ჩინელი ქალბატონი ნამატჩევს.

ამ მოგებით ვიკა გახდა მე-5 მოქმედი ჩოგბურთელი, რომელმაც 2 ან მეტი სლემი მოიგო და, რაც მთავარია, რეიტინგში პირველ პოზიციაზე აღზევდა.

**დევისის თასი**

ტომაშ ბერდიჰი/ლუკას როსოლი ამარცხებენ მარკო კადინელი/სტანისლას ვავრინკა 6:4; 5:7; 6:4; 6:7; 24:22

ეს წყვილთა შეხვედრა, რომელიც წელს თებერვალში ჩატარდა ჩეხებსა და შვეიცარიელებს შორის, ამ სიაში რამდენიმე მიზეზის გამო მოხვდა. ეს მატჩი „დევისის თასის" ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივია, მნიშვნელობა არ აქვს ერთეულთა თანრიგია თუ წყვილთა. ეს იყო მომაჯადოებელი და ნერვიული შეხვედრა, მისი დაწყებიდან დასრულებამდე, აი, ისეთი, ფრჩხილების კვნეტას რომ დაგაწყებინებს ადამიანს.

7-საათიანი შეხვედრა მოიცავდა ბადესთან ლამაზ დარტყმებს; თითქოს კალმით დახატეს ბურთის ტრაექტორიაო, ისეთ დარტყმებს დაბრუნებაზე, რომელზეც მოწოდებაზე მოთამაშენი ჩოგანსაც კი ვერ ახვედრებდნენ... საყვირების გამაყრუებელი სტვენა ტრიბუნებიდან თითოეული მოგებული ქულის შემდეგ. ეს შეხვედრა გულგრილს არავის დატოვებდა, ვერც კი მოწყდებოდი ადგილს. განსაკუთრებით მაშინ, როცა შვეიცარიელებმა 12 მატჩ პოინტი გადაარჩინეს და ბოლოს მარკომ ორმაგი შეცდომა დაუშვა, რამაც ჩეხებს ავტომატური გამარჯვება მიანიჭა, მე-13 ცდაზე.

– არასოდეს მითამაშია ასეთი ხანგრძლივი მატჩი, – განაცხადა ბერდიმა გულგატეხილი შვეიცარიელი აუდიტორიის წინაშე. ჩეხების გუნდმა დაამტკიცა, რომ თითოეული შეხვედრა ძალზედ მნიშვნელოვანია და მნიშვნელობა არ აქვს რამდენ ხანს გასტანს ის. საბოლოოდ ჩემპიონობა სწორედ მათ იზეიმეს.

**უიმბლდონის ნახევარფინალი**

ნოვაკ ჯოკოვიჩი ამარცხებს ხუან მარტინ დელ პოტროს 7:5; 4:6 7:6; 6:7; 6:3

ტურის ორმა ყველაზე რთულმა მონაწილემ რქები შეკრეს და 5-სეტიანი ტრილერი მოაწყვეს, გაგიკვირდებათ და კომედიური სიტუაციებიც მრავლად იყო, რამაც ლონდონის თეატრის სანახაობასაც კი აჯობა. ჯოკოვიჩმა იმდენი იფორთხიალა ბალახის კორტებზე, ისედაც გატყავებული საფარი უარეს მდგომარეობაში ჩააგდო, სხვა რა გზა ჰქონდა, ხუან მარტინის ყუმბარისებური დარტყმების პოვნა და კორტში ჩაბრუნება ლამის ტრიბუნებიდან უწევდა. და კიდევ ერთი: ტურნირის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი ნახევარფინალური დაპირისპირება გახდა.

მიუხედავად მიწაზე რამდენჯერმე დაცემისა, რაც მეტად საჭირო იყო პოტროს მძიმე ფორჰენდის მიღებისას, ნოვაკმა შეძლო 2:1 დაწინაურებულიყო სეტებში. დელ პოტრომ მაინც მოახერხა „ქამბექის" გაკეთება მე-4 სეტში. რასაკვირველია, არგენტინელმა არ მოაწყინა „უიმბლდონის" ცენტრალურ კორტზე შეკრებილი აუდიტორია და მცირე იუმორის ჩარევით სეტებში ანგარიში გაათანაბრა.

არგენტინელი თითქოს განწყობაზე მოვიდა და მოსაგებად ემზადებოდა, მაგრამ ჯოკოვიჩმა მოახერხა თამაშის სადავეების ხელში აღება და გამარჯვება იზეიმა ამ მარათონულ შეხვედრაში. საოცარი იყო აუდიტორიის რეაქცია, უცებ გაჩუმდნენ და რამდენიმე წამის შემდეგ მხურვალე აპლოდისმენტებით დააჯილდოვეს ნახევარფინალის მონაწილეები.

– ეს ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი იყო, რაშიც კი მონაწილეობა მიმიღია, ამასთან – ძალიან ამაღელვებელი, – აღნიშნა სერბმა, რასაც ჩვენც ვეთანხმებით.

**ამერიკის ღია პირველობის ნახევარფინალი**

რიშარ გასკე ამარცხებს მილოშ რაონიჩს 6:7; 7:6; 2:6; 7:6; 7:5

სანამ ხალხის ყურადღება ამსტრონგის სახელობის კორტზე როჯერ ფედერერის ტომი რობრედოსთან მარცხით იყო დაკავებული, მე-17 კორტზე ღამის განათებაზე ძველი სტილის და კიდევ უფრო საინტერესო შეხვედრა მიმდინარეობდა, ტურნირის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო.

ფრანგი რიშარ გასკე და კანადელი მილოშ რაონიჩი მეოთხედფინალის მონაწილის ვინაობას არკვევდნენ. საწყისი სეტის წაგების შემდეგ, ჩვეულებისამებრ, წყნარი გასკეს ხასიათში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, გაბრაზებულმა კორტზე აქეთ-იქით მოფანტა წინდები, რომელიც თავისი საფირმო ბექჰენდის მოძრაობით შეასრულა.

ამ ქცევამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა რამდენად სურდა მას ამ შეხვედრის მოგება, თან თუ გავითვალისწინებთ მსგავსი შეხვედრების მის სტატისტიკურ მაჩვენებელს. მაყურებელი განსაკუთრებით მაშინ გააქტიურდა და უბიძგებდა მოთამაშეებს, როცა რიშარმა მე-4 სეტი მოიგო. წარმოიდგინეთ, როგორ სურდათ მე-5, გადამწყვეტი სეტის ხილვა.

მათი სურვილი რეალობად იქცა, მას შემდეგ, რაც მილოსმა მატჩ პოინტი ვერ გამოიყენა საკუთარ ჩაწოდებაზე. დაღლილი რაონიჩის ჩაწოდებას იმდენად დიდი ეფექტი აღარ ჰქონდა და რიშარმაც მოახერხა გადამწყვეტ სეტში 6:5 დაწინაურება და შემდეგ თავად ჩააწოდა მატჩზე. წარმოიდგინეთ, ბედნიერი რიშარი, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, მოიგო რთული 5-სეტიანი, საბოლოოდ თავდაჯერებულობისთვის მშვენივრად წაადგება. ტურნირზე კი ნახევარფინალში წააგო. 2007 წლის „უიმბლდონის" შემდეგ აღნიშნულ ეტაპზე პირველად მოახერხა გასვლა.

**ამერიკის ღია პირველობის მე-2 რაუნდი**

ზიე ჟენგი ამარცხებს ვენუს უილიამსს 6:3; 2:6; 7:6

რამდენიმესაათიანი წვიმის შედეგად გადადებული შეხვედრა ვენუს უილიამსმა და ჟენგმა სულისკვეთებით განმსჭვალული ნამდვილი ორთაბრძოლა გააჩაღეს, რომელმაც ტრიბუნებზე შეკრებილი ხალხი აღაფრთოვანა და სუნთქვაშეკრული უყურებდნენ გათამაშებებს.

პირველი სეტი, როგორ იტყვიან ხოლმე, ცალმხრივი იყო, ჩოგბურთს ჟენგი თამაშობდა. ვენუსმა, ალბათ, ვერ შეძლო გადადებული მატჩის გამო დროულად მობილიზება.

მეორე სეტში კი ამერიკელმა თავისი თამაში იპოვა, ასპარეზზე მისი პირველი ძლიერი ჩაწოდება გამოვიდა, რომელმაც კარიერის მანძილზე მრავალჯერ მოაპოვებინა გამარჯვება, მათ შორის 7 დიდი სლემის ტიტული.

აი, მესამე სეტში კი ორივემ უმაღლესი კლასი აჩვენა და ერთმანეთის ძლიერ დარტყმებს კიდევ უფრო ძლიერად პასუხობდნენ, თანაც ეს ლამაზი გათამაშებები უკანა ხაზიდან მიმდინარეობდა. 5:3-ზე ჟენგი მატჩზეც კი აწვდიდა, მაგრამ ამერიკელმა მალევე დაიბრუნა დაკარგული ბრეიკი, ბოლო ულამაზესი თამაშით ბადესთან ანგარიში გაათანაბრა. ადგილობრივები თავისკენ მიიმხრო, ისედაც მისკენ იყვნენ, მაგრამ ამჯერად აქტიურობისგან უბიძგა.

არა და ტაიბრეიკზე ვენუსმა 22-დარტყმიანი გათამაშება მოიგო და ვიფიქრეთ, თამაშსაც მოიგებდა, მაგრამ ჟენგი ჩვენს ფიქრებს არ იზიარებდა და საიდანღაც მოახერხა გამარჯვება.

– დიდ ბოდიშს გიხდით, – აი, რა თქვა ჩინელმა ქალბატონმა მატჩის დასრულების შემდეგ. ბუნებრივია, ამერიკაში ამერიკელს ქომაგობდნენ და მისი გამარჯვება სურდათ. კიდევ ერთი კითხვა რჩება, რამდენ ხანს აპირებს ვეტერანი ვენუსი კორტებზე ყოფნას. როგორც მისმა გამოსვლამ ცხადყო, ჯერ არ აპირებს „პენსიაზე" გასვლას.

**სტენფორდის ფინალი**

დომინიკა ციბულკოვა ამარცხებს აგნეშკა რადვანსკას 3:6; 6:4; 6:4

დამამცირებელი სიდნეის ფინალის შემდეგ, იანვარში, სადაც აგნეშკამ ორმაგი „ბუბლიკი" (6:0; 6:0) მიართვა დომინიკას, არავინ ელოდა და იმედიც არ ჰქონდათ, რომ ივლისში სტენფორდის ფინალში მოუგებდა. მინიატურული სლოვაკი ბოლო 9 ნათამაშები სეტიდან 4-ში „ბუბლიკის" ამარა დარჩა აგნეშკას წინააღმდეგ შეხვედრებში და, რა გასაკვირია, რომ პირველი სეტი წააგო კიდეც. არც არავინ დაადანაშაულებდა ანგარიშის გამო.

162-სანტიმეტრი სიმაღლის დომინიკას სხვა გეგმები ჰქონდა. განაგრძო რა აგრესიული შემტევი ჩოგბურთის ჩვენება, რასაც ველარ გაუძლო აგნეშკამ და ჩაწოდება დაკარგა. დომინიკამ ერთერთი შედეგიანი დარტყმით მოახერხა ბრეიკ პოინტის გამოყენება და თავად მოემზადა სეტზე ჩასაწოდებლად, რაც წარმატებით გამოუვიდა.

ციბულკოვა ბოლო სეტში ოდნავ აღელდა და ორმაგი შეცდომის შემდეგ საკუთარი ჩაწოდებაზე ასაღები გეიმი მეტოქეს გადააბარა. ამის შემდეგ დაიწყო კორტის ყველა ნაწილში მოძრაობა და, რაზეც ჩოგანი მიუწვდებოდა, ყველა ბურთის მეტოქის კვადრატში ჩაბრუნება. შემდეგ გეიმებში უბრალოდ გაანადგურა დომიმ პოლონელი მეტოქე და 5:4 გავიდა წინ, როცა მატჩზე აწვდიდა, 4 შანსი გაანიავა და ბოლოს, როგორც იქნა, გადამკვეთი ბექჰენდიდან დარტყმით მოიპოვა ტიტული.

ეს ძალიან მამაცური საქციელი იყო დომისგან, რომელმაც შეძლო, თავის თავში იპოვა ძალა და დაამარცხა ისეთი მოწინააღმდეგე, რომელთანაც უარყოფითი ბალანსი ჰქონდა. ეს სწორედ ის გამბედაობაა, რაც ჩოგბურთს ახასიათებს, მიყვება პიროვნებას, ირწმუნოს საკუთარი ძალები, რომ უფრო დიდ ეტაპზე გადავიდეს კარიერაში.

---

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

## სირიის სკოლებში რუსული ენის სწავლება პოლიტიკური მოსაზრებებით არაა განპირობებული



სირიის სკოლებში რუსული ენის სწავლება განპირობებულია საგანმანათლებლო პროცესის მოთხოვნებით და არა – პოლიტიკური მოსაზრებებით. ამის შესახებ სირიის განათლების მინისტრმა, ხაზვან ალ-უაზმა განაცხადა.

„სირიელი მოსწავლეებისთვის რუსული ენის სწავლება რუსეთის ცივილიზაციასა და მის კულტურასთან გაცნობის, ინფორმაციის წყაროს მრავალფეროვნების მიზნით შემოვიღეთ“, – განაცხადა სირიელმა მინისტრმა.

სირიის განათლების მინისტრის გადაწყვეტილებით, სირიის საშუალო სკოლებში რუსული ენის შესწავლა არჩევითი იქნება. ახალი სასწავლო სეზონიდან მეშვიდე კლასიდან მოსწავლეები მეორე უცხო ენად რუსულ ან ფრანგულ ენას აირჩევენ. უცხოური მედიის ბოლო ინფორმაციით კი, ქვეყანაში ბრძოლა სირიის გამათავისუფლებელ არმიასა და შეიარაღებულ დაჯგუფება „ერაყის ისლამური სახელმწიფოს“ წევრებს შორის მიმდინარეობს. განადგურებულია რამდენიმე შენობა, მათ შორის უზენაესი სასამართლოც.

## ავღანეთში თვითმფრინავის ჩამოვარდნის შედეგად სამი ამერიკელი დაიღუპა

სამი ამერიკელი დაიღუპა ავღანეთში, აშშ-ის სამხედრო თვითმფრინავის ჩამოვარდნის შედეგად. ამის შესახებ „ეიბისი ნიუსი“ იუწყება. „სამხედრო თვითმფრინავის ჩამოვარდნის შედეგად „აისაფის“ ორი სამხედრო და ერთი სამოქალაქო პირი დაიღუპა“, – ნათქვამია ნატო-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, მზვერავი თვითმფრინავი ემეს-12 ავღანეთის აღმოსავლეთით, ღამით დაზვერვის განხორციელებისას ჩამოვარდა.

ამასთან, აშშ-ის თავდაცვის უწყების განცხადებით, ამ დროისთვის არ არსებობს სამხილი, რომ თვითმფრინავი მტრის იერიშის შედეგად ჩამოვარდა.

თავის მხრივ, ავღანური ხელისუფლება აცხადებს, რომ აშშ-ის საზღვაო ქვეითების დანაყოფის ჯარისკაცებს მხრიდან ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლის შედეგად ოთხი წლის ბიჭი დაიღუპა, იტყობინება სააგენტო „როიტერი“.

ინციდენტი ხუთშაბათს, პროვინცია ჰელმენდში, წინასწარი მონაცემებით, ცუდი ამინდის პირობების გამო მოხდა. „მტვერი იდგა, საზღვაო ქვეითებმა იფიქრეს, რომ მათ წინ მტერია და ცეცხლი გახსნეს, რის შედეგადაც ის (ბავშვი) დაიღუპა“, – განაცხადა პრეზიდენტ ჰამიდ კარზაის ოფისის წარმომადგენელმა ომარ ზვაკმა.

„აისაფის“ წარმომადგენელმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ სამხედროები ინციდენტის გამოძიებას ჩაატარებენ, დანაყოფები ყველა შესაძლებელ ზომას მიმართავენ სამოქალაქო მოსახლეობის დაღუპვის თავიდან ასაცილებლად.



მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვის ასეთი შემთხვევები არაერთხელ გახდა დასავლეთის სამხედრო კოალიციისა და ავღანეთის ხელისუფლების ურთიერთობის დაძაბვის მიზეზი, აღნიშნავს სააგენტო.

ამ ფონზე, აშშ-ს ხელისუფლებამ შეშფოთება გამოთქვა ავღანეთის ხელისუფლების გეგმით გამოუშვას ციხიდან ის პატიმრები, რომლებსაც ვაშინგტონი საშიშ დამნაშავეებად მიიჩნევს. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

ქაბულში აცხადებენ, რომ საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ ბაგრამში არსებულ სამხედრო ბაზაზე მყოფი 88 პატიმრიდან 72 იქ იმყოფებოდეს – არ არის.

ამის მიუხედავად, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯენ ფსაკიმ 72 პატიმარს „საშიში დამნაშავეები“ უწოდა. მისივე თქმით, არის ყველანაირი სამხილი იმისა, რომ მათ ტერორისტულ დანაშაულებებთან აქვთ კავშირი.

დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ პატიმრების გათავისუფლება კიდევ უფრო გაართულებს ავღანეთისა და აშშ-ს ისედაც რთულ ურთიერთობებს.

„ვაშინგტონ პოსტი“ კი ამერიკელ მაღალჩინოსანზე დაყრდნობით წერს, რომ ავღანეთის პრეზიდენტი ჰამიდ კარზაი ამერიკასთან უსაფრთხოების შეთანხმების დადებას საპრეზიდენტო არჩევნებამდე არ დათანხმდება.

შეგახსენებთ, რომ სწორედ ეს შეთანხმება განსაზღვრავს 2014 წლის შემდეგ ავღანეთში ამერიკელი სამხედროების დარჩენას. თუ შეთანხმება არ დაიდო ამერიკა ქვეყნიდან ყველა ჯარისკაცს გაიწვევს, რაც ე.წ „ნულოვან ვარიანტს“ ნიშნავს. ამ დროისათვის ავღანეთში 46 000 ამერიკელი სამხედრო იმყოფება.

ამ შეთანხმების გარდა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას ყარზაის სხვა გადაწყვეტილებაც ართულებს-ავღანეთის პრეზიდენტის წარმომადგენელმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ იმ პატიმრების გათავისუფლებას გეგმავენ, რომლებიც ბაგრამის ავიაბაზაზე მდებარე ციხეში არიან დაპატიმრებულნი. აღნიშნულს ამერიკა ეწინააღმდეგება-ვაშინტონის განცხადებით, ეს პატიმრები ამერიკელი სამხედროების მკვლელობაში მონაწილეობდნენ.

## აშშ-ის სენატმა უკრაინელი ხალხის მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო

### უკრაინელი ჩინოვნიკების მიმართ სანქციების დაწესება, შესაძლოა, რეალობა გახდეს

– მიმდინარე წლის 7 იანვარს აშშ-ის სენატმა უკრაინელი ხალხის მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

აღნიშნული დოკუმენტი უკანასკნელ ხანს უკრაინაში განვითარებულ პროცესებს მიეძღვნა. მის გარშემო კარგა ხანია ცხარე დისკუსია მიმდინარეობდა.

#### ჩვენ მხარს ვუჭერთ უკრაინელი ხალხის მისწრაფებას სამართლიანობისა და დემოკრატიისაკენ

რეზოლუციაში ნათქვამია, რომ უკრაინელმა ხალხმა დემოკრატიისა და სამართლიანობისაკენ უპრეცედენტო სწრაფვა გამოავლინა. ამისი ნათელი დადასტურებაა ის ფართო მხარდაჭერა, რაც ევროინტეგრაციის პროცესს ხვდა. ევროკავშირთან ასოცირების თაობაზე ხელშეკრულების გაფორმებას ემხრობოდა როგორც პოლიტიკური ელიტა, ასევე წამყვანი ბიზნეს-ჯგუფები და მოსახლეობის ფართი მასები. ეს თანაბრად ეხება როგორც უკრაინის დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ რეგიონს, სადაც რუსულენოვანი მოსახლეობა დომინირებს.

– მიუხედავად ამისა, – ნათქვამია დადგენილებაში, – პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა ევროკავშირთან ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა, რამაც მასობრივი პროტესტები გამოიწვია. უკრაინელი ხალხის მოთხოვნა სამართლიანია და აშშ ამას მთლიანად უჭერს მხარს.

დოკუმენტში დიდი ადგილი ეთმობა უკრაინის ხელისუფლების მიერ მშვიდობიანი დემონსტრაციების დარბევის მცდელობას. ნათქვამია, რომ აშშ გმობს დემონსტრანტების მიმართ ძალის გამოყენებას, რასაც ადგილი ჰქონდა გასული წლის 30 ნოემბერსა და 11 დეკემბერს. იქვე დასახელებულია იმ ჩინოვნიკების გვარები, რომელსაც ძალადობა ედებათ ბრალად. მათ შორის არიან შინაგან საქმეთა მინისტრი ზახარჩენკო, ხარკოვის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე დობკინი, ხარკოვის მერი კერნესი და ა.შ. რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ ყველა, ვინც მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალა გამოიყენა, უნდა დაისაჯოს. ამავე დროს, ნათქვამია, რომ მომავალში ძალის გამოყენება (როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მხრიდან) უნდა გამოირიცხოს.

– მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ ძალას, თავი შეიკავოს როგორც რადიკალური ნაბიჯებისაგან, ასევე ანტისემიტური, ექსტრემისტული ლოზუნგებისაგან, რაც უკრაინული საზოგადოების გახლეჩას უწყობს ხელს, – ნათქვამია დადგენილებაში.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ ყველა საკითხი მხოლოდ მშვიდობიანი დიალოგის გზით უნდა გადაიჭრას, ამიტომ როგორც ხელისუფლებამ, ისე ოპოზიციამ საერთო ეროვნულ კონსენსუსს უნდა მიაღწიოს.

#### რატომ მიიღო სენატმა ხსენებული რეზოლუცია

იანუკოვიჩის მიერ ევროინტეგრაციის შეჩერებამ მასობრივი აღშფოთება გამოიწვია. ქუჩაში მილიონამდე ადამიანი გამოვიდა. ამას თვით ოპოზიციის ლიდერებიც არ მოელოდნენ.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის




ცფ,ფყრჯ ჰტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 LBRTGE22
fyu8 N GE28LB 0122 1802 48686 000



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs
cohfab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib
2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2
[j,bc vjyfcnthb8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC
LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB
BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`

უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

## ორშაბათი 13 იანვარი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00" 09.00" 10.00" 12.00" 16.00" 19.00" 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 მხ/ფ **"განრისხებული ფანტომასი"** 17.00 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 18.00 ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** 19.30 "ქართული ჯარი" 21.00 ტ/სერ. **"მაფიოზი"** 22.00 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" (პ/ე) 23.30 ცენტრალური საახალწლო კონცერტი: "გილოცავთ ახალ წელს" 02.00 მხ/ფ **"სიყვარულით გაბრუებული"** (მ. რაიანი)

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ოდისეები" – "რიო დე ჟანეირო" 08.30 მხ/ფ **"დაუვიწყარი მოგზაურობა"** 10.10 მხ/ფ **"ისევ 17"** 11.50 დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" I ნაწ. 12.30 მხ/ფ **"სიყვარულის ამბავი"** (ვ.ბითი) 14.00 "ეპიცენტრი" (შაბ. გ/ჩვ) 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. **"მაგდა ემი"** 9 სერ. 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 ქართ. მხ/ფ **"არდადაგებზე"** 22.35 საახალწლო კონცერტი 00.00 მხ/ფ **"ნახევრად პროფესიონალი"** (ვ.ჰარელსონი)

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 1 სერ. 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"**. 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 ფულთან თამაში (გ/ჩ) 16.03 სერ. **"დაბრუნება"** 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 9 სერ. 20.50 სერ. **"სილა"** 22.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 9 სერ. (გ/ჩ) 23.00 იუმორინა – 2013 (გ/ჩ) 01.10 მხ/ფ **"ყველა ამბობს" რომ მიყვარხარ"**

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"**11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"**12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე"16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 კომედი კონცერტი ახალი გ/ჩ 201400.00 31-ის კონცერტი გ/ჩ02.00 მხ/ფ **"მოახლე მანჰეტენიდან"** 04.00 მხ/ფ **"კარნავალის ღამე"** 06.00 მხ/ფ **"ზოროს ნიღაბი"**

06.10 ეთნოგრაფია 06.25, 16.05 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.50 მხ/ფ **"აურზაური სალხინეთში"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.40 კვირიაკე 12.10 მხ/ფ **"რას გინახავს,ვეღარ ნახავ"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.00 განთიადის სტუმარი 15.30 სპექტაკლი **"აკომპანიატორი"** 16.30 მოკ/ფ **"რეკორდი"** 17.30 კონცერტი - ანს. **"ამარტა"** 18.10 საქართველო არის ესე 18.30 ტელეზღაპარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.45, 02.30 სიახლენი 19.25 მხ/ფ **"სიყვარული ყველას უნდა"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10, 22.20 საახალწლო (ერთსულოვნება) გაგრძელება 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 საუფლონი 23.40 შობას გილოცავთ 00.00 პატრიარქის მილოცვა 00.05 მრავალჟამიერი 00.10 საახალწლო ჩვეულებანი 01.15 განთიადის სტუმარი 01.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 4.00, 6.00, 23.25 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30, 9.15 ფარული კამერა (საბ.) 8.30 მულტფილმები 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** (გამ) 12.30 მხ/ფ **"კოლეჯი ავალონი"** 14.30, 15.30, 6.30 ფარული კამერა 17.45, 18.45 "ყოველდღიური აბები" 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 21.40 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 22.50 მუსიკალური პროექტი "საუკუნის ნოსტალგია-3" 0.05 მუს./ფ. **"ჯადოსნური ღამე"** 1.35 საახალწლო კონცერტი ("მაესტროს" არქივიდან) 4.30 მხ/ფ **"მწვრთნელი პაემნისთვის"**

## სამშაბათი 14 იანვარი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 მხ/ფ **"ზუმი-2"** (ს. მარსო) 17.00 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 18.00 ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** 19.15 "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" 21.00 ტ/სერ. **"მაფიოზი"** 22.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 23.00 მხ/ფ **"ყოფილი შეყვარებულების აჩრდილები"** (მ. დუგლასი) 00.50 მხ/ფ **"თინეიჯან დი – ბედის მედიატორი"** (ჯ. ბლეკი)

08.00 ვენის სიმფონიური ორკესტრის 2014 წლის საახალწლო კონცერტი 10.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" 2 ნაწ. 12.00 "შვიდკაცა" 15 წელი სცენაზე 14.00, 16.00 ტ/სერ. **"მაგდა ემი"** 15.00, 17.00 "ბრიფინგის დრო" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.00 ქართ. მხ/ფ **"ცისფერი მთები"** 22.30 კონცერტი: გიო და ბიჭები 23.40 მხ/ფ **"დაპირება არ ნიშნავს დაქორწინდე"** (ბ.აფლეკი)

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.35 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 2 სერ. 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"**. 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 იმედის გმირები 15.25 რომ გადახვალ" გააჩერე 16.03 სერ. **"დაბრუნება"** 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 9 სერ. 20.50 სერ. **"სილა"** 21.50 ახალი ქართული ხმა (პ/ე) 00.00 მხ/ფ **"ქორწილის ჩინებული დღე"**

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"**11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"**12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე"16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 იღბლიანი ფეისები და ა.შ 23.00 ვანოს შოუ საახალწლო 00.00 მხ/ფ **"გოძილა"** 04.00 მხ/ფ **"ცეკვის სახლში დაბრუნება"** 06.00 მხ/ფ **"ლეგენდა ზოროზე"**

06.10 საგალობელი 06.15 სპექტაკლი **"აკომპანიატორი"** 06.45 საახალწლო (ერთსულოვნება) 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 03.00 სიახლენი 10.35 ქართული მულტფილმი 10.50 პატრიარქი ლოცავს საქართველოს 11.30 საუფლონი 12.10 მხ/ფ **"სიყვარული ყველას უნდა"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 კონცერტი - ანს."ჩვენებურები" 16.05 დოკ/ფ "ლადო ასათიანი" 17.00 ერთსულოვნების სალონი 18.05 ტელეზღაპარი 18.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.25 ქართული თეატრის დღე - **"ძველი აფიშა"** 19.20 კონცერტი - ანს."შინი" 20.00 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05, 22.25 შობას გილოცავთ "ერთსულოვნება" (გაგრძელება) 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 საუფლონი 23.40 ჩვენი ფონდი 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 3.00, 4.30, 6.00, 01.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30, 9.10 ფარული კამერა (საბ.) 8.30 მულტფილმები 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 9.30 მუსიკალური პროექტი "მაესტრო.ბასტი-ბუბუ" 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** (გამ) 12.30 მხ/ფ **"პატარძლის მეჯვარეები"** 14.10 "პულსის" საახალწლო მუს./ფ. 15.30, 5.00, 6.30 ფარული კამერა 17.45, 18.45, 0.30, 5.45 "ყოველდღიური აბები" 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 21.45, 2.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 3.30 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"** 0.00 მუსიკალური პროექტი"საუკუნის ნოსტალგია-1" 1.30 მუსიკალური პროექტი"საუკუნის ნოსტალგია-3"

## ოთხშაბათი 15 იანვარი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 მხ/ფ **"ფანტომასი სკოტლანდ იარდის წინააღმდეგ"** 17.00 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 18.00 ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** 19.30 "ჩვენი ეზო" 21.00 ტ/სერ. **"მაფიოზი"** 22.00 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 23.30 მხ/ფ **"მაგნოლია"** (ჯ. მური)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "ღვინო და მეცნიერება" 14.00, 16.00 ტ/სერ. **"მაგდა ემი"** 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 23.00 მხ/ფ **"იმედია მოვახერხებთ"**

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00,11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 3 სერ. 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"**. 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.03 სერ. **"დაბრუნება"** 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 11 სერ. 20.50 სერ. **"სილა"** 22.00 მაგთის გათამაშება (პ/ე) 22.15 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 00.00 მხ/ფ **"დღის ცივი შუქი"**

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"**11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"**12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე"16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 "ნანუკას შოუ" საახალწლო (1 იანვრის გ/ჩ)00.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა00.30 მხ/ფ 02.30 კურიერის დაიჯესტი03.00 მხ/ფ (ტიტ.)

06.10 საგალობელი 06.15 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.40 შობას გილოცავთ "ერთსულოვნება" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.45 ქართული თეატრის დღე - **"ძველი აფიშა"** 11.15 ჩვენი ფონდი 11.30 საუფლონი 12.10 დროის ჩანაწერები 12.50 მოკ/ფ **"რა გაცინებსჰ!"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05, 00.30 განთიადის სტუმარი 15.30 კონცერტი - ანჩისხატის გუნდი "ნადი" 16.45 კვირიაკე 17.50, 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 18.15 ტელეზღაპარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"აბეზარა"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.30 ეპოქის სახელები 21.55 ფოტოგალერეა 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუფლონი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 4.00, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30, 9.15 ფარული კამერა (საბ.) 8.30 მულტფილმები 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** (გამ) 12.30 მხ/ფ **"მწვრთნელი პაემნისთვის"** 14.10, 15.30, 6.30 ფარული კამერა 14.30 "პულსი" (გამ.) 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 17.45, 18.45, 0.30, 2.30, 4.30, 5.30 "ყოველდღიური აბები" 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 21.45, 1.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 3.00 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"** 6.00 ფარული კამერა

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

## ხუთშაბათი 16 იანვარი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 მხ/ფ **"ბანზაი"** 17.00 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 18.00 ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** 19.30 "შემოძახილი" 21.00 ტ/სერ. **"მაფიოზი"** 22.00 თოქ-შოუ: "არენა" (პ/ე) 23.00 "უცნობი მუსიკა" 00.30 მხ/ფ **"ობოლი"**

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "ალენ ბაშუნგი" 14.00, 16.00 ტ/სერ. **"მაგდა ემი"** 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 23.00 მხ/ფ **"ნიკიტა"**

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 4 სერ. 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"**. 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 15.05 კაცების შოუ (გ/ჩ) (გაგრძელება) 16.03 სერ. **"დაბრუნება"** 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 12 სერ. 20.50 სერ. **"სილა"** 22.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 10 სერ. (გ/ჩ) 23.00 ღამის შოუ (გ/ჩ) 00.00 მხ/ფ **"მანოლეტე"**

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"**11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"**12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე"16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 პროფილი00.30 მხ/ფ 02.30 კურიერის დაიჯესტი03.00 მხ/ფ ტიტ.

06.10 საგალობელი 06.15 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.40 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.45 საუფლონი 11.05 ქართული ალბომი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ **"აბეზარა"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 კონცერტი -როსინი "პატარა საზეიმო მესა" 17.20 მოკ/ფ **"სერენადა"** 17.50, 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 18.10 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.30 "პორტრეტები" 20.10 მოკ/ფ **"ჭა"** 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.10 "ერთსულოვნების სალონი" 22.25 დოკ/ფ "ქართველები უკრაინაში" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუფლონი 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 0.00, 2.15, 4.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30, 9.15 ფარული კამერა (საბ.) 7.30, 8.10, 9.15 მულტფილმები 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** (გამ) 12.30 მხ/ფ **"მომხიბვლელი ჭკუისკოლოფი"** 14.15, 15.30, 5.15, 6.30 ფარული კამერა 17.45, 21.30, 0.30, 2.45, 4.30 "ყოველდღიური აბები 18.25, 0.45, 4.45 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 21.45, 1.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 3.00 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

## პარასკევი 17 იანვარი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 მხ/ფ **"ბინგო ბონგო"** 17.00 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 18.00 ტ/სერ. **"გულის მუსიკა"** 19.05 დ/ფ. "ბედნიერება თეფშზე" 21.00 ტ/სერ. "მაფიოზი" 22.00 თოქ-შოუ "პირველი სტუდია" (პ/ე) 23.30 "ახალი ქართული კინო" – მხ/ფ **"დატირება ტელეფონით"** 00.30 მხ/ფ **"დათქმული დრო"**

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "როცა ეგვიპტელები წითელ ზღვაზე დაცურავდნენ" 14.00, 16.00 ტ/სერ. **"მაგდა ემი"** 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 23.00 მხ/ფ **"მარტოხელა გმირი"** (ბ.უილისი)

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 5 სერ. 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"**. 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 კულინარიული დუელი (გ/ჩ) 16.03 სერ. **"დაბრუნება"** 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 13 სერ. 20.50 სერ. **"სილა"** 22.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 11 სერ. (გ/ჩ) 23.00 "ოქროს გლობუსის" დაჯილდოების ცერემონია – 2014 01.00 მხ/ფ **"მიმტანები"**

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"**11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე"16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 კომედი შოუ (კვირის გ/ჩ) 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 20.50 ეროვნული ლატარეა23.00 ვანოს შოუ00.30 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.10 საგალობელი 06.20 დოკ/ფ "ყველაზე, ყველაზე" 07.10 დოკ/ფ "მსოფლიო საგანძური" 07.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.45 მოკ/ფ **"სერენადა"** 11.10 დოკ/ფ "ქართველები უკრაინაში" 11.30 საუფლონი 12.10 პორტრეტები 12.50 მოკ/ფ **"ჭა"** 13.25 პატერიკი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 კონცერტი - ანდრე რიე 17.00 კვირიაკე 18.10 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"ყველაზე სწრაფები მსოფლიოში"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.25 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუფლონი 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 0.00, 2.15, 4.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30, 8.10, 9.15 მულტფილმები 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** (გამ) 12.30 მხ/ფ **"12 საშობაო პაემანი"** 14.30 "პულსი" (გამ.) 15.30, 5.15, 6.30 ფარული კამერა 17.45, 21.30, 0.30, 2.45, 4.30 "ყოველდღიური აბები 18.25, 0.45, 4.45 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 21.45, 1.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 3.00 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

## შაბათი 18 იანვარი

08.00 საბ. ან/სერ. "ტატონკას თავგადასავალი" 09.00 საბ. მხ/ფ "ღამის დარაჯთა ლეგენდები" 11.30 საბ. გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 I არხი წარმოგიდგენთ – კონცერტი: მანანა მენაბდე 14.00 მხ/ფ **"იქ სადაც მდინარე მიედინება"** 16.30 "გურმანია" 17.00 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 18.00 ტ/სერ. **"გულის მუსიკა"** 19.00 "ეტალონი" 21.00 "შეხვედრები მცხეთაში" 22.00 "წითელი ზონა" 23.30 დოკ/მხ/ფ **"ისინი არხეინებს გვიწოდებენ"** 01.30 მხ/ფ **"ს. დარკო"**

08.00, 10.00, 16.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 მხ/ფ **"ბავშვები უყურადღებოდ"** 12.30 დ/ფ "ნამდვილი პანამა" 13.30 მხ/ფ **"ჰარი პოტერი და ნახევარსისხლა პრინცი"** (დ.რედკლიფი) 17.00 მხ/ფ **"ფანტომასი"** (ჟ.მარე) 19.00 დ/ფ "ალენ ბაშუნგი" 20.00 მხ/ფ **"ზუმი"** (ს.მარსო) 22.00 ტ/სერ. **"ლამაზი ანტონიო"** 2 სერ. 23.00 მხ/ფ **"შერლოკ ჰოლმსი"** (ჯ.ლოუ)

08.00 ან/ფ "ჯადოქარი გოგონები'' 4 სერ. 08.25 მხ/ფ **"ლესი"** 10.25 ეკოვიზია 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 11 სერ. (გ/ჩ) 12.45 სერ. **"ჰანა მონტანა"** 14.30 რომ გადახვალ, გააჩერე (გ/ჩ) 15.00 ქ.მხ/ფ **"რაჭა ჩემო სიყვარულო"** 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 14 სერ. 20.50 სერ. **"სილა"** 22.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 12 სერ. (გ/ჩ) 23.00 კაცების შოუ (გ/ჩ) 00.00 მხ/ფ **"ცუდი დედიკო"** 01.35 მხ/ფ **"სახალისო თამაშები"**

08.00 კურიერის დაიჯესტი08.30 მხ/ფ 10.00 ეკი ვოკი გ/ჩ11.00 იღბლიანი ბორბალი გ/ჩ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00 კურიერი12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 შერეკილები15.30 "ნანუკას შოუ" - გ/ჩ 18.55 სერ. **"ტიტების დრო"**20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"**00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ01.00 მხ/ფ

06.10, 17.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა" 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართ. მულტფილმი 10.55 კვირიაკე 12.10 მხ/ფ **"ყველაზე სწრაფები მსოფლიოში"** 13.30 საუფლონი 13.55 სატელევიზიო არქივიდან "გვილოცავენ ექიმები" 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 14.55 შვიდ გზის ლოცვა 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 ოპერა - **"გერი"** 18.10 საქართველოს ქალაქები 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ქრისტიანული ხელოვნება 22.25 ჟურნალისტის დღიური 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუფლონი 00.35 დროის ჩანაწერები 01.25 მხ/ფ **"მუსიკის ჰანგები"** I სერ.

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 4.00, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 ფარული კამერა (საბ.) 8.00 მულტფილმი ქუჩის მავნებლები 9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 10.30 "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, 20.55 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 18.45, 0.30, 2.30, 4.30, 5.30 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 21.45, 1.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 3.00 **სერიალი "მომავლის გაელვება"** 6.00 ფარული კამერა

## კვირა 19 იანვარი

08.00 საბ. ან/სერ. "ტატონკას თავგადასავალი" 09.00 ქართ. ტ/ფ. "გზა მაცხოვრისა" 10.00 "ნათლისღება" (პ/ტრ) 14.00 დ/ფ. "დღესასწაული – ნათლობა აჭარაში" 14.30 ქართული მხ/ფ **"ჭირვეული მეზობლები"** 16.00, 20.00 "მოამბე" 16.30 "ვაშინგტონი დღეს" 17.00 დ/ფ. "შობაზე შეყვარებულები" 18.00 I არხი და ფონდი "იავნანა" წარმოგიდგენთ – "ქალაქური მელოდიები" 20.30 "ტელებლოგი" 21.00 სატელევიზიო თეატრის სპექტაკლი: **"ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს"** 23.00 მხ/ფ **"წითელი ვიოლინო"** 01.00 მხ/ფ **"და მოვა სიყვარული"**

08.00 ქართ. დ/ფ "რუსთაველის ნაკვალევზე" 09.00 "ბრიფინგის დრო" 10.00 ქართ. დ/ფ "ძველი ქართული საგალობლები" 10.30 მხ/ფ **"პატარა პრინცესა"** 12.15 ქართ. დ/ფ "შინ დი თეთრი" 12.45 მხ/ფ **"გაგიჟებული"** 14.20 ქართული დ/ფ "ათონის ქართველთა სავანე" 14.50 მხ/ფ **"ფეხსაცმელი და ვარდი-კონკიას ამბავი"** (რ.ჩემბერლენი) 17.15 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "საბერძნეთი ათენი" 17.45 ანსამბლი "ერისიონი" 18.50 მხ/ფ **"ცხოვრება ისეთი, როგორიც არის"** 20.20 II არხი წარმოგიდგენთ: – პატრიარქის შემოქმედება პარიზში 22.00 ქართ. მხ/ფ **"დიდედები და შვილიშვილები"** 23.20 მხ/ფ **"ყველასათვის ჩემპიონი"** (ჯ.ლენგი)

08.00 ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" 5-6 სერ. 09.00 მხ/ფ **"მეხთამტყორცნელი"** 11.00, 14.00, 17.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 12 სერ. (გ/ჩ) 13.00 კულინარიული დუელი 14.30 იმედის გმირები 15.00 ქ.მხ/ფ **"არაჩვეულებრივი გამოფენა"** 17.40 ახალი ქართული ხმა (გ/ჩ) 20.00 პანორამა 21.00 ღამის შოუ (გ/ჩ) 22.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 13 სერ. (გ/ჩ) 23.00 თამარ გვერდწითელი 01.00 მხ/ფ **"დევნილი"** (ბ. დელ ტორო) 02.30 მხ/ფ **"ქვის მთლელი"** (ჯ. პაკულა) (ტიტ.)

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ 10.30 ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 გააცინე და მოიგე (4 იანვრის გ/ჩ) 14.00 ეკი ვოკი 18.50 იღბლიანი ბორბალი 20.00 გააცინე და მოიგე 21.00 P.S 23.00 კომედი შოუ 00.30 მხ/ფ

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 საკვირაო სახარების განმარტება 08.30 საქართველოს ქალაქები 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.00 ნათლისღება უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა (ტრანსლაცია) 13.00 მოკ/ფ **"თეთრი ქვები"** 13.35 საუფლონი 14.00 ქრისტიანული ხელოვნება 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.15 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.50 ეპოქის სახელები 17.15 დოკ/ფ "ხილული სასწაულები" 18.35 დროის ჩანაწერები 19.20 დოკ/ფ 'ნათლისღება" 19.35 მხ/ფ **"მზე შემოდგომისა"** 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.40 კვირიაკე 21.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუფლონი 00.40 პორტრეტები 00.20 მხ/ფ **"მუსიკის ჰანგები"** II სერ.

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 4.00, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 ფარული კამერა (საბ.) 8.00 მულტფილმი "ქუჩის მავნებლები" 9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 10.30 "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, 20.55 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 2.30, 4.30, 5.30 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 18.30, 0.30 ჟურნალისტური გამოძიება სტუდია "მონიტორის" (გამ.) 21.45, 1.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 3.00 **სერიალი "მომავლის გაელვება"** 6.00 ფარული კამერა

# აშშ-ის სენატმა უკრაინელი ხალხის მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო

დასაწყისი მე-9 გვერდზე

— ჩემი აზრით, აქციებზე მაქსიმუმ ათი-ოცი ათასი ადამიანი უნდა შეკრებილიყო, — აღიარებს ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი არსენი იაცენიუკი.

გასაგებია ის დაბნეულობა, რაც რევოლუციის პირველ დღეებში უკრაინული ოპოზიციის ლიდერებს ახასიათებდათ. ერთნი მოითხოვდნენ, რომ პოლიტიკური მოთხოვნებისაგან თავი შეეკავებინათ, მეორენი, პირიქით, როგორც პრეზიდენტის ისე პარლამენტის ვადამდელი არჩევნებისაკენ მოუწოდებდნენ. ხალხი უფრო მეორე ვარიანტისაკენ იხრებოდა, მაგრამ ცხადი იყო, რომ ამისი მიღწევა მარტივი არ იყო.

— იანუკოვიჩი თავისი ნებით არ გადადგება. თავის პრივილეგიებს არც პარლამენტართა უმრავლესობა დათმობს. ამიტომ საერთოეროვნული გაფიცვის ორგანიზებაა აუცილებელი, — აცხადებდა ორგანიზაცია „სვობოდას" ლიდერი ოლეგ ტიაგნობოკი.

საერთო ეროვნულ გაფიცვას კი სათანადო სტრუქტურები სჭირდება. უნდა შეიქმნას საგაფიცვო კომიტეტი, რომელსაც მთელ უკრაინაში თავისი ფილიალები უნდა ჰქონდეს. ასეთი რამ კი არ არსებობდა. შესაბამისად, მასობრივი აქციები ძირითადად „მაიდანზე" დგომითა და ზოგიერთი შენობის დაკავებით შემოიფარგლა. ამან ხელისუფლებას სულის მოთქმის საშუალება მისცა. ვიქტორ იანუკოვიჩი მოსკოვს ეწვია, სადაც პუტინისაგან სრული მხარდაჭერა მიიღო.

— რუსეთის პრეზიდენტმა იანუკოვიჩს მილიარდები ტყუილად როდი მისცა. პუტინმა ამით უკრაინაზე ზემოქმედებისათვის უძლიერესი ბერკეტი მიიღო. ამას გარდა, ვლადიმერ ვლადიმიროვიჩმა თავის უკრაინელ კოლეგას არაორაზროვნად განუცხადა, რომ „მაიდანის" ძალისმიერი მეთოდებით დაშლას მხარს დაუჭერდა, — თვლის უკრაინელი ექსპერტი სერგეი ნაზოჟენკო.

„მაიდანის" ასეთი დაშლა კი ვითარებას კიდევ უფრო გაამწვავებდა. იანუკოვიჩი იძულებული გახდებოდა, მეორე ნაბიჯიც გადაედგა და საგანგებო მდგომარეობა შემოეღო. საეჭვოა, რომ ეს მიეღო როგორც დასავლეთ, ისე ცენტრალურ უკრაინას. შესაბამისად, მოხდებოდა ძალადობის ესკალაცია და უკრაინის დაშლა.

— პუტინის მიზანიც ესაა, — თვლის უკრაინის პარლამენტის დეპუტატი ინა ბოგოსლოვსკაია, — რადგან მთელი უკრაინის „საბაჟო კავშირში" ჩათრევა შეუძლებელია, უნდა მოხდეს მისგან აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონების ჩამოშორება. მრეწველობის ძირითადი ნაწილი ხომ აქაა თავმოყრილი.

მოსკოვიდან დაბრუნებული იანუკოვიჩი ბევრად ხისტი გახდა. ახლა ის აშკარად აცხადებდა, რომ არ ცნობს მათ, ვინც „მაიდანზე" დგას. მმართველი პარტიის ზოგიერთი წევრი კი ამბობდა, რომ „მაიდანზე" უსაქმურები და მაწანწალები შეიკრიბნენ, რომელთაც იქ დგომისათვის ფულს უხდიან. ნებისმიერი თავმოყვარე ქვეყანა ასეთ უმსგავსობას აღკვეთსო. უკრაინის უშიშროებამ ოპოზიციონერ დეპუტატებს სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა დასო ბრალად და მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეც აღძრა. მმართველ პარტიის ზოგიერთი დეპუტატი (კოვალენკო, ცარიოვი, კოლესნიჩენკო) უკვე ღიად აცხადებდა, რომ დეპუტატის მანდატს ვერავინ ამოეფარება და თავისი საქციელისათვის ყველა პასუხს აგებს. კრემლის მხარდაჭერით გათამამებული იანუკოვიჩიც მოქმედებაზე გადავიდა. ევრორევოლუციის პირველ დღეებში ის შოკირებული იყო. ყველა უკრაინულმა ტელეარხმა მოვლენები ობიექტურად გააშუქა და ხელისუფლება უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. ხსენებულ ტელეარხებს ცნობილი უკრაინელი ოლიგარქები აკონტროლებდნენ, რომლებიც ადრე იანუკოვიჩის მხარდამჭერებად მოიაზრებოდნენ. ასე მაგალითად, ტელეკომპანია „უკრაინას" რენატ ახმეტოვი აკონტოლებს, „ინტერს" კი — მეორე ცნობილი მაგნატი ფირტაში. მათი საქციელი იანუკოვიჩმა ღალატად აღიქვა. მოსკოვში ვიზიტის შემდეგ იანუკოვიჩმა ყველა ოლიგარქი დაიბარა. უკრაინელი ჟურნალისტების ცნობით, ყველაზე ცხარე საუბარი პრეზიდენტს ახმეტოვთან და ფირტაშთან ჰქონდა.

— შედეგად მიღწეულ იქნა კონსენსუსი. ოლიგარქებიც იანუკოვიჩის მხარდამჭერებად დარჩნენ, — წერს „უკრაინსკა პრავდა".

ჰაერში ძალადობის სუნი დატრიალდა. კრემლი მის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტის გამოყენებით ცდილობდა, რათა ვითარება კიდევ უფრო დაეძაბა. აშშ-ის ინტერესებში ეს არ იჯდა. ვაშინგტონმაც აქტიური კონტრქმედებები გააჩაღა, რაც უკრაინის ერთიანობის შენარჩუნებისა და დაძაბულობის განმუხტვისაკენაა მიმართული. აშშ-ის სენატის რეზოლუცია ამ მიმართულებით გადადგმული პირველი სერიოზული ნაბიჯია.

### რა შედეგებს გამოიღებს რეზოლუცია

უკრაინელი ექსპერტის სერგეი ლეშჩენკოს ცნობით, სენატის რეზოლუცია იმისი ნიშანია, რომ აშშ-მ უკრაინის ამჟამინდელ ხელისუფლებასთან მოლაპარაკების ყველა საშუალება ამოწურა და ახლა საქმე ძალისმიერ ზეწოლამდე მივიდა.

— რეზოლუცია იანუკოვიჩისათვის უკანასკნელი გაფრთხილებაა. ამის შემდეგ, შესაძლოა, სანქციები დაწესდეს, — თვლის ლეშჩენკო.

რადიო „თავისუფლების" ცნობით, უკრაინის მიმართ არ განმეორდება ის სცენარი, რასაც ბელორუსის მიმართებით ჰქონდა ადგილი. სანქციებს დაუწესებენ არა უკრაინულ სახელმწიფოს, არამად ზოგიერთ ჩინოვნიკს, რომელიც ადამიანის უფლებებს არღვევს და ქვეყანას ანტიდემოკრატიული მეთოდებით მართავს.

— შესაძლოა, ამ ხალხს აშშ-სა და ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალონ, მათი ანგარიშები ბანკებში „დააპატიმრონ", — იტყობინება რადიო „თავისუფლება".

მსგავს აქციას ერთხელ უკვე ჰქონდა ადგილი. 2003 წელს პრეზიდენტ კუჩმას ადამიანის უფლებების დარღვევა დასდეს ბრალად. მისი გარემოცვის ზოგიერთ წევრს აშშ-ის ტერიტორიაზე შესვლა აეკრძალა, მათ შორის უკრაინული ფეხბურთის ერთ-ერთი თავკაცი



სურკისიც მოხვდა. მას ბრალად დასდეს მმართველ კლანთან კავშირი, რომელიც ადამიანის უფლებებს არღვევდა. მართალია, შემდგომში ხსენებული დადგენილება გაუქმდა, მაგრამ მანამდე ბევრმა უკრაინელმა ოლიგარქმა უსიამოვნო წუთები გადაიტანა.

— ჩვენი ოლიგარქების უმრავლესობას ანგარიშები ევროპისა და აშშ-ის ბანკებში აქვს. თუკი დასავლეთთან ურთიერთობები გაფუჭდა, ეს მათთვის ნამდვილი კატასტროფა იქნება, — წერს „უკრაინსკა პრავდა" .

გამომდინარე აქედან, გასაგებია, თუ რატომ ანიჭებს იანუკოვიჩი აშშ-სთან ურთიერთობებს ასეთ დიდ მნიშვნელობას. გაზეთ „უკრაინსკა პრავდის" ცნობით, უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ აშშ-ში გავლენიანი ლობის შესაქმნელად უკვე მილიონობით დოლარი დახარჯა, თუმცა უკანასკნელმა მოვლენებმა მთელ ამ სამუშაოს ხაზი გადაუსვა.

— თუკი იანუკოვიჩი ძალისმიერ სცენარზე მაინც წავა, მას ომი მოუწევს არა მხოლოდ ოპოზიციასთან, არამედ უკრაინელი ოლიგარქების უმრავლესობასთან და თავისი გარემოცვის ზოგიერთ წევრთანაც კი. ფაქტიურად, პრეზიდენტი მთელ ხალხს უნდა დაუპირისპირდეს, რაც მისთვის კარგად არ დამთავრდება, — თვლის ბი-ბი-სი.

ამრიგად, იანუკოვიჩზე ზემოქმედების ბერკეტები არა მხოლოდ რუსეთს, არამედ დასავლეთსაც გააჩნია.

### უკრაინელთა რეაქცია სენატის დადგენილებაზე

უკრაინული ოპოზიცია აშშ-ის სენატის დადგენილებას დადებითად შეხვდა. არსენი იაცენიუკმა განაცხადა, რომ უკრაინელ ხალხს დასავლეთის მხარდაჭერის იმედი მუდამ ჰქონდა და მოხარულია, რომ ეს გამართლდა. აღსანიშნავია უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიცია, რომელმაც აშშ-ის სენატის დადგენილების საპასუხოდ საგანგებო განცხადება გააკეთა. მასში ნათქვამია. რომ ხსენებული რეზოლუცია უკრაინელთა ევრომისწრაფებების მხარდაჭერას ნიშნავს, ევროინტეგრაცია კი უკრაინის საგარეო პოლიტიკისათვის მუდამ პრიორიტეტული მიმართულება იყო და მომავალშიც ასე დარჩება.

— ჩვენ აშშ-სთან თანასწორი და ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობების დამყარებას მუდამ ვცდილობდით და მომავალშიც შევეცდებით, — ნათქვამია განცხადებაში, — უკრაინელი დიპლომატები კმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ აშშ მხარს უჭერს უკრაინაში მშვიდობის შენარჩუნებას.

რაც შეეხება მმართველი რეგიონების პარტიის პოზიციას, ის დეპუტატმა ანა გერმანმა გააჟღერა. მან განაცხადა, რომ მიესალმება აშშ-ის სურვილს, შეინარჩუნონ მშვიდობა უკრაინაში. გერმანმა ყურადღება გაამახვილა რეზოლუციის ერთ-ერთ პუნქტზე, სადაც ნათქვამია, რომ თავი უნდა შეიკავონ როგორც ძალის გამოყენების, ასევე ანტისემიტური და ექსტრემისტული ლოზუნგებისაგან.

— ჩვენს ოპონენტებს ვურჩევდი, ეს პუნქტები ყურადღებით წაიკითხონ, — ამბობს გერმანი.

### როგორი იქნება უკრაინისათვის დამდეგი 2014 წელი?

აშშ-ის სენატის დადგენილება კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ დასავლეთი უკრაინის დათმობას არ აპირებს. დღეს ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც ქვეყანაში მძიმე ვითარება შეიქმნა. ეკონომიკა მოშლილია, გრივნის პოზიციები — შესუსტებული, რუსეთი კი ზეწოლის პოლიტიკას განაგრძობს, რაც უკრაინის დაშლისაკენაა მიმართული. იმის მიხედვით, თუ რა ბიუჯეტის მიღება სურს მმართველ პარტიას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2014 წელს უკრაინელთა ეკონომიკური მდგომარეობა დამძიმდება, შესაბამისად, ხელისუფლებასა და ხალხის ფართო მასებს შორის უფსკრული გაღრმავდება.

— საპროტესტო აქციები გაგრძელდება. შესაძლოა, რაღაც მომენტში ისინი ჩაცხრეს, მაგრამ შემდეგ ახალი ძალით იფეთქებს. 2014 წელიც აქციებისა და სამართლიანობისათვის ბრძოლის ფონზე ჩაივლის, — თვლის პოლიტოლოგი ვადიმ კარასიოვი.

მძიმე ეკონომიკური ვითარება მმართველ ელიტას ძალაუფლების დაკარგვის საფრთხის წინაშე აყენებს. დსთ-ის ბევრმა ქვეყანამ, როცა ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, საშველად კრემლს მიმართა და „საბაჟო კავშირში" ამოყო თავი. უკრაინის პრეზიდენტისათვის ამისი გაკეთება ძნელი იქნება, რადგანაც მას როგორც ოლიგარქების, ასევე ხალხის წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევს. მასობრივ საპროტესტო ტალღასთან გამკლავება კი იოლი ნამდვილად არ იქნება.

— სავარაუდოდ, იანუკოვიჩი ლავირების პოლიტიკას გააგრძელებს, არც ევროკავშირთან ასოცირების თაობაზე ხელშეკრულებას მოაწერს ხელს და არც „საბაჟო კავშირში" შევა, — თვლის რადიო „თავისუფლება".

ლავირების პოლიტიკა ძალზე სახიფათოა. შესაძლოა, იანუკოვჩმა 2014 წელს ხელისუფლების შენარჩუნება შეძლოს, მაგრამ 2015 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მოგება გაუჭირდება.

— უკრაინაში ცვლილებები გარდაუვალია, — თვლის ზბიგნევ ბზეჟინსკი.

ცნობილი ამერიკელი ანალიტიკოსის აზრით, უკრაინამ სახელმწიფოებრიობის დამკვიდრების პირველი ორი ეტაპი დაასრულა.

— შესაძლოა, ზოგიერთმა გვითხრას, რომ ბევრი შანსი ხელიდან იქნა გაშვებული, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს მაინც წარმატებული ხანა იყო. უკრაინული სახელმწიფო მსოფლიო რუკაზე დამკვიდრდა, თანაც უკრაინამ სეპარატიზმი თავიდან აიცილა და ტერიტორიული მთლიანობა შეინარჩუნა, — ამბობს ბზეჟინსკი.

ამერიკელი პოლიტოლოგი აღნიშნავს, რომ კასტურ-კლანური სტრუქტურების თანამედროვე ევროპული სტრუქტურებით ჩანაცვლების დრო დადგა. უკრაინაშიც ახლა სწორედ ეს პროცესი მიმდინარეობს. ძალზე საყურადღებოა, რომ ახალგაზრდობა მისი უმთავრესი მამოძრავებელი ძალაა. დამოუკიდებლობის ოცი წლის მანძილზე უკრაინაში ახალი თაობა გაიზარდა, რომლის იდეოლოგიაა პატრიოტიზმი. ის პრიმიტიული რუსოფობიისაგან შორსაა, მაგრამ ესმის, რომ მათი ქვეყანა ევროპის და არა ევრაზიის ნაწილია, რომ პეტლიურა, ბანდერა, შუხევიჩი ან კონოვალეცი ეროვნული გმირები არიან, რომლებიც დამოუკიდებლობისა და დასავლურ სივრცეში დამკვიდრებისათვის იბრძოდნენ. დღევანდელი საპროტესტო მოძრაობის უმთავრესი მიზანიც ევროპასთან დაახლოებაა. ბზეჟინსის აზრით, ამას უდიდესი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა გააჩნია, რადგანაც როგორც უკრაინის, ისე რუსეთის მომავალზეც იქონიებს გავლენას.

— უკრაინა უფრო ადრე, ვიდრე გვიან, ევროკავშირის წევრი გახდება. რუსეთიც უფრო გვიან, ვიდრე ადრე, ევროოჯახს შეუერთდება, — მიიჩნევს ბზეჟინსკი.

7 იანვარს ანუ შობა დღეს მაიდანი კვლავ ხალხით იყო სავსე. დღესასწაულის მიუხედავად, საპროტესტო აქციები გრძელდება.

**ნიკა თევზაძე**

---

## ცფვუკჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

გიორგი ბეგლარიშვილი, ელენე ახმეტელი, ფირუზ კოჩობაშვილი, თენგიზ მუშკუდიანი, დონარა კინწურაშვილი, ლერი ესაიაშვილი, სერგო ასათიანი, მამუკა მოცრაძე, დალი დარბაიძე, სვეტლანა ავეტიკიანი, ლია მოსეშვილი, ლიანა ლაშხია ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ჯამბულ გაბუნიას მეუღლის

**ნათელა ბედია-გაბუნიას**

გარდაცვალების გამო.

---

თანაგრძნობას ვუცხადებთ ვაჟა ბადაგაძეს დედის

**თამარ ბადაგაძის**

გარდაცვალების გამო.

მეზობლები

---

თემურ ჭელიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა უახლოესი ნათესავის დალი ხომერიკის მეუღლე

**იასონ ცერცვაძე**

და თანაუგრძნობს ოჯახს.

---

ცფვუკჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ჳბბქტ,ფ .ჯდტქლქტ7
რდბპბს უფჳლფ7 !@-ლფყ!& ცფფსფვლტ8

---

## h3ჯცეჯ3ლბ ,

**შვეულად:** 1. ქართველი მწერალი, რომან „რკინის თეატრის" ავტორი; 2. ამერიკელთა მეტსახელი ლათინურ ამერიკაში; 3. მე-20 საუკუნის დასაწყისის მოხეტიალე ქართველი მევიოლინე, მომღერალი; 4. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 5. მარცვლეულის ამღები კომბაინის წინა, სამკალი ნაწილი; 7. თურქეთის პარლამენტი; 11. ქუთაისთან დამეგობრებული ფრანგული ქალაქი; 12. საქირაო ეტლი ევროპის ქალაქებში ძველად; 13. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია; 14. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 15. ისრაელის კალათბურთელთა გუნდი; 17. ქართველი ფსიქოლოგი, აკადემიკოსი; 19. უკრაინის პარლამენტი.

**თარაზულად:** 5. მუნჯი კინოს აკომპანიატორი პიანისტი ძველად; 6. ფრანგული სიგარეტი; 8. თიხისა და თაბაშირის ნარევის გამოწვით მიღებული სამშენებლო მასალა; 9. ღვინის დანალექი; 10. მორის რაველის ცნობილი საორკესტრო ნაწარმოები; 11. აეროპორტი თელავივში; 13. მცენარეულის მჭამელი ცხოველი; 14. ნეონის ნათურის გამომგონებელი ფრანგი ფიზიკოსი; 16. ყვავილის ცენტრალური ნაწილი; 18. კვირა დღის ქართული სახელწოდება; 20. მსხვილი სოსისი; 21. პეკინის ისტორიული სახელწოდება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



## ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმეც.ყც,ეკბ h3ჯცეჯ3ლც,ბც გფცე[ც,ბ5

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. თუნუქი; 2. ვისლა; 3. ძოწი; 5. ჯუღური; 6. „სააბი"; 7. ბოჰემია; 11. სკივრი; 13. პიანინო; 14. ყენია; 15. „ვეჯვუდი"; 16. პუდინგი; 17. კაკადუ; 19. ატომი; 20. ბიზე.

**თარაზულად**: 1. თევზაძე; 4. გურჯი; 8. წნორი; 9. ღალა; 10. უოლესი; 12. მერკური; 14. ყავა; 15. „ვალენსია"; 16. „პანჩი"; 18. შავრა; 21. კანოე; 22. გურზუფი; 23. მადიარი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ანგოლა; 2. აზალია; 3. ლეპტოპი; 4. მირკანი; 5. ფსირცხა; 7. ბუნგალო; 11. პროზა; 12. ხენდრო; 13. კალორია; 14. კასკადი; 15. „ბეტისი"; 17. აფექტი; 19. ვაგა.

**თარაზულად**: 5. ფარნეზე; 6. კოდექსი; 8. იენა; 9. კობზა; 10. ციტატა; 11. „პეჟო"; 13. კომუნიკე; 14. კროკი; 16. გაუდი; 18. ეზოპე; 20. დაუგავა; 21. სპეტაკი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

1 ianvari

აშშ დოლარი — 1,7421

ევრო — 2,367

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,8598

100 რუსული რუბლი — 5,3343

## ამინდის პროგნოზი 11 იანვრისთვის




## fcnhjgjhjuyjpb

·ღჯჟფპ ეფბსღფჟბცობყცს=

### 11 იანვარი _ წარმატებული დღეა

**ვერძი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – სახლში დიდი სიხარული გელოდებათ. **ტყუპები** – შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **ლომი** – ყველა საქმე გამოგდით, რასაც ხელს მოჰკიდებთ. **ქალწული** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მორიელი** – არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ. **მშვილდოსანი** – თქვენი საქმეები კარგად მიდის, არ ელოდით. **მშვილდოსანი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** – დაისვენეთ, გაერთეთ, გადაღლილი ხართ. **მერწყული** – დაფიქრდით და ისე იმოქმედეთ. **თევზები** – წარმატებული დღეა, იაქტიურეთ.

### 12 იანვარი _ შემოქმედებითი დღეა

**ვერძი** – ფულის პრობლემა არ გაქვთ, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **კურო** – უჩვეულო დღეა, ცხოვრების შეცვლა გინდათ. **ტყუპები** – კითხვები გაწუხებთ, მალე ყველაფერს გაიგებთ. **კირჩხიბი** – მეგობრებისგან ახალ ამბებს გაიგებთ. **ლომი** – თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ, გახარებული ხართ. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **მორიელი** – ეს დღე მშვიდ სიტუაციაში გაატარეთ, აკონტროლეთ ჯანმრთელობის მდგომარეობა. **მშვილდოსანი** – ახლობლები სიურპრიზს გიმზადებენ. **მშვილდოსანი** – ყველაფერი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. **თხის რქა** – ყველა საქმეს ბოლომდე მიიყვანთ, უფროსობა დაგაჯილდოვებთ. **მერწყული** – ნურავის დაელოდებით, საქმე თქვენ მოაგვარეთ. **თევზები** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ, პრობლემა დაგავიწყდებათ.

უბცეჰღტ,ს ,ტცყბტჰ ცქჟც=

## სკანდალი საქართველო-ნიგერიას შორის

თბილისში ნიგერიის მოქალაქე გაძარცვეს და სასტიკად სცემეს. ინციდენტი გამსახურდიას პროსპექტზე მოხდა. დაზარალებული რესპუბლიკურ საავადმყოფოშია მოთავსებული მას ტვინის ღია ტრავმები და თავის ქალის მოტეხილობები აღენიშნება. ინიციდენტთან დაკავშირებით რეაგირება უკვე მოახდინა იგბოს ტომის მეფემ, რომელიც ნიგერიაში ერთ-ერთ მსხვილ დაჯგუფებას წარმოადგენს, მათი რიცხვი 26 მილიონს აღემატება. დაზარალებული რიჩარდ არიზე საქართველოს მთავრობას მიმართვას თხოვნით, დაუყოვნებლივ გამოძიონ მომხდარი ინციდენტი.

პირველი რადიო

## h3xცღx3ლბ ფ

**შვეულად:** 1. საჭმლის მომნელებელ ორგანოების ერთობლიობა; 2. კეთილი, ლმობიერი ხასიათის ადამიანი; 3. ტბა აფხაზეთში; 5. ციმბირის წყლულის ქართული სახელწოდება; 6. სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში; 7. პიროტექნიკური ტკაცუნა; 11. ვაშინგტონის გარეუბანი, სადაც განთავსებულია აშშ-ს სადაზვერვო ცენტრი; 13. საადგილმამულო საკრედიტო დაწესებულება ძველად საქართველოში; 14. ფინელი სატირიკოსი მწერალი; 15. გერმანელი მხატვარი, ფერწერული ტილო „მაჭანკალი"-ს ავტორი; 16. ფირმა „ადიდასის" დამფუძნებელი; 17. ოქროქსოვილის ძველი ქართული სახელწოდება; 19. ევროპელ ებრაელთა სალაპარაკო ენა; 20. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი.

**თარაზულად:** 1. პურის ნაჭრების შესაწვავი ელექტროხელსაწყო; 4. სარბენ ბილიკზე დადგმული სპეციალური წინაღობა მძლეოსნობაში; 8. მდინარის თევზი; 9. მცირე ალკოჰოლიანი გამაგრილებელი სასმელი; 10. პატარა მწერი, მუმლი; 12. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 12. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 15. კარლ მარქსის თხზულება; 16. სამი და ოთხწლიანი ცხენების დოღი; 18. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 21. სახელმწიფო ახლოაღმოსავლეთში; 22. რაიმე მოქმედების საპასუხო ქმედება; 23. ძვირფასბეწვიანი კურდღელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




## ხათუნა იოსელიანი 70 წლისაა

ეკა ირემაშვილი

ამერიკაში მოღვაწე ქართველი მსახიობი ხათუნა იოსელიანი 70 წლის გახდა. როგორც წესი, მანდილოსნებს ასაკს არ ეკითხებიან და არც თვითონ ამჟღავნებენ ხოლმე, თუმცა ამ შემთხვევაში მსახიობმა თავად განაცხადა, რომ 9 იანვარს 70 წელი უსრულდებოდა.

ის საქართველოდან 7 წლის წინ წავიდა. ამის მიზეზი კი იუბილარი მსახიობის თეატრის გარეშე დარჩენა გახდა. მან არჩევანი ამერიკის შეერთებულ შტატებზე შეაჩერა და ნიუ იორკში სცენის მოძებნაც შეძლო. საქართველოდან შორს მას მიეცა შესაძლებლობა, სცენაზე ეთამაშა და სპექტაკლებიც დაედგა. ნიუ იორკში არსებობს ქართული თეატრი, რომელსაც „ნიუ იორკის ქართული თეატრი" ჰქვია. ამ თეატრში მოღვაწეობს იუბილარი მსახიობი, რომელმაც, როგორც რეჟისორმა, დადგა ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღები". სპექტაკლში თავადაც მიიღო მონაწილეობა და მთავარი გმირის დედის როლიც შეასრულა. ამით ხათუნა იოსელიანის შემოქმედებითი გეგმები არ დასრულებულა. სამომავლოდ მისი სურვილია დადგას „მერე რა რომ სველია, სველი იასამანი" და „შთამომავლობა". ამ უკანასკნელში



მსახიობს ფატი გურიელის როლის თამაში სურს, რადგან როცა გიგა ლორთქიფანიძემ მარჯანიშვილის თეატრში დადგა ეს სპექტაკლი, ფატი გურიელის როლი ვერიკო ანჯაფარიძემ შეასრულა. რუსთავის თეატრში მოღვაწეობისას ხათუნა იოსელიანმა ფატი გურიელის როლი უკვე გოგი ქავთარაძის მიერ დადგმულ „შთამომავლობაში" ითამაშა. 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით, თეატრმა ხათუნა იოსელიანისთვის შემოქმედებითი სალამოს ჩატარებაც გადაწყვიტა.

გასული წლის ნოემბერში კი მსახიობმა ამერიკის მოქალაქეობაც მიიღო. სამომავლოდ იგი საქართველოში გასტროლზე ჩამოსვლას და თბილისში იმ სპექტაკლების წარმოდგენას გეგმავს, რომელსაც ნიუ იორკის ქართული თეატრი დგამს.

70 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ხათუნა იოსელიანმა სოციალურ ქსელში უამრავი მილოცვა და თბილი წერილები მიიღო. როგორც ხელოვანი აღნიშნავს, მისთვის ყველაზე მთავარი ადამიანების მხრიდან სითბოსა და სიყვარულის გამოხატვაა.

## საქართველოს ნაკრების მეტოქეები ბარსელონაში გაირკვევა

3 თებერვალს ბარსელონაში ევროპის 2015 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის კენჭისყრა გაიმართება. ძველი კონტინენტის 28 ქვეყნის ნაკრებთან ერთად კენჭისყრაში მონაწილეობას საქართველოც მიიღებს და, შესაბამისად, იმ მეტოქეებს შევიტყობთ, რომელთა წინააღმდეგაც მოგვიწევს ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოსაპოვებლად ბრძოლა.

ფინალური ეტაპის 8 საგზური დაკავებულია. 7 მათგანი მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის მონაწილეებს ეკუთვნით, რომლებმაც მუნდიალზე ასპარეზობის უფლება, თავის მხრივ, ევრობასკეტ 2013-ზე წარმატებული თამაშით დაიმსახურეს. ესენი არიან სლოვენიაში შარშან გამართული ევროპირველობის ჩემპიონი საფრანგეთი, პრიზიორი ლიტვა და ესპანეთი, ასევე მომდევნო ადგილებზე გასული ხორვატია, სლოვენია, სერბეთი და უკრაინა. მე-8 ნაკრები ესტონეთია,



რომელმაც გასულ აგვისტოში ევრობასკეტ 2013-ის მიღმა დარჩენილ გუნდებს შორის გათამაშებული ევრობასკეტ 2015-ის საგზური მოიგო.

დღესდღეობით ევრობასკეტ 2015-ის შესარჩევი ეტაპისთვის რეგისტრირებულია 29 ნაკრები, თუმცა ეს რიცხვი უთუოდ შემცირდება. საქმე იმაშია, რომ კენჭისყრამდე 2 დღით ადრე ფიბა გამოაცხადებს იმ ნაკრებთა ვინაობას, რომლებიც მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე „უაილდ ქარდით" დაიშვებიან. ფიბა-ს უკვე შერჩეული ჰყავს ის ნაკრებები, რომელთაგან, სავარაუდოდ, 4-ს მსოფლიოს პირველობის საგზურით დააჯილდოებს. ესენი არიან: გერმანია, რუსეთი, პოლონეთი, ფინეთი, ისრაელი, იტალია და თურქეთი. შესაბამისად, ამ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან ევრობასკეტ 2015-ის შესარჩევ ტურნირს ისინი გამოაკლდებიან, რომლებიც ფიბა-სგან მსოფლიო პირველობის „უაილდ ქარდებს" დაიმსახურებენ.

მაშასე, 2014 წლის 3 თებერვალს ბარსელონაში დაგეგმილი კენჭისყრის შემდეგ ცნობილი გახდება ევრობასკეტ 2015-ის შესარჩევი ტურნირის ჯგუფები და, შესაბამისად, შევიტყობთ, თუ რომელ ნაკრებებთან მოგვიწევს ბრძოლა კონტინენტის პირველობის ფინალურ ეტაპზე ზედიზედ მესამედ მოსახვედრად.

## ფრანგული ჟურნალი ოლანდის სკანდალური ფოტოს გამოქვეყნებას გეგმავს

ფრანგული ჟურნალი „ქლოსერი" საფრანგეთის პრეზიდენტის ფრანსუა ოლანდის სკანდალური ფოტოების გამოქვეყნებას გეგმავს, სადაც ოლანდისა და მსახიობ ჟული გეიეს სასიყვარულო კავშირის შესახებ ჭორები „მტკიცდება".

თავად ოლანდი, სავარაუდოდ, ჟურნალს სასამართლოში უჩივლებს. სახელმწიფოს მეთაური აღნიშნავს, რომ ამ სტატიით დაირღვა მისი უფლება პირად ცხოვრებაზე. აღსანიშნავია, რომ ოლანდმა არ უარყო მისი კავშირები მსახიობთან.



ჟურნალის მიერ გაკეთებულ განცხადებაში საუბარია, რომ სპეციალურ ნომერში ფოტოები გამოქვეყნდება, სადაც მსახიობსა და პრეზიდენტს შორის ახლო ურთიერთობაა ასახული. ჟურნალი ირწმუნება, რომ ახალ წელს პრეზიდენტი სწორედ ამ მსახიობთან ერთად შეხვდა.

ამავე დროს, ჟურნალისტებმა გამოთქვეს შეშფოთება იმის გამო, რომ პრეზიდენტისა და მსახიობის შეხვედრებს ესწრება დაცვის მხოლოდ ერთი წევრი, რითაც პრეზიდენტის უსაფრთხოება ეჭვქვეშ დგება.

ოფიციალურად ოლანდის მეგობარ ქალად ითვლება ასევე ჟურნალისტი ვალერი ტრიერვეილერი, რომელმაც თავის დროზე ჩაანაცვლა კანონიერი მეუღლე სეგოლენ რუაიალი.

## მეხის დაცემის შედეგად 3 ადამიანი დაიღუპა, 22 კი დაშავდა

მეხის დაცემის შედეგად, 3 ადამიანი დაიღუპა და 22 დაშავდა. შემთხვევა არგენტინაში მოხდა. ადგილობრივი მედიის ცნობით მეხი ზუსტად იმ ადგილს დაეცა, სადაც სანაპიროზე მყოფმა ადამიანებმა წვიმის გამო თავი შეაფარეს.

დაშავებულებიდან ორის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. სამართალდამცველებმა სანაპირო დროებით დახურეს. იანვარსა და თებერვალში არგენტინაში საკურორტო სეზონია, რის გამოც იქ ათასობით ტურისტი ჩადის.

პირველი რადიო

## სამხრეთ აფრიკის წამყვანი რადიოსადგური ქართული მუსიკის პოპულარიზაციას იწყებს

სამხრეთ აფრიკის წამყვანი რადიოსადგური, კეიპ-თაუნში საქართველოს საპატიო კონსულთან ჯერალდ ვილმანთან ერთად, ქართული მუსიკის პოპულარიზაციის იწყებს. კეიპ ტაუნის წამყვანი რადიო-სადგურის რუბრიკა „მშვენიერი მსოფლიოს" (ჭჰატ ა ჭონდერფულ ჭორლდ) ყურადღების ცენტრში, ქართული მუსიკა მოექცა. ქართული მუსიკისადმი მიძღვნილი გადაცემების ციკლი 5 იანვიდან დაიწყო და მარტის ბოლომდე გაგრძელდება. ყოველ კვირა დღეს სამხრეთ აფრიკელ რადიომსმენელს საშუალება მიეცემა გაეცნოს სხვადასხვა ქართულ კომპოზიციას. გადაცემას კეიპ ტაუნში საქართველოს საპატიო კონსული, დოქტორი ჯერალდ ვოლმანი უძღვება.

მსგავსი პროექტი დოქტორ ჯერალდ ვოლმანის ინიციატივით და მხარდაჭერით პირველად 2011 წელს განხორციელდა. ქართულმა მუსიკამ სამხრეთ აფრიკელი მსმენელის დიდი მოწონება დაიმსახურა. რის გამოც, გაჩნდა ინციატივა ქართულ მუსიკას 2014 წელსაც მიეძღვანს გადაცემათა ციკლი. ამით სამხრეთ აფრიკელ მსმენელს შესაძლებლობა ეძლევა რეგულარულად ეზიაროს ქართულ ხალხურ, კლასიკურ და თანამედროვე მუსიკას და გაეცნოს ქართულ კულტურას.

პირველი რადიო